

№1265



Handwritten red and green notes and signatures, including the date 1921.07.122.

ქართული კავშირის კომიტეტის ორგანო



Handwritten number 1-2

ტფილისი
სახელმწიფო სტამბა
1921.

1921

შ ი ნ ა ა რ ს ი:

	გვერდი.
1. ერობის საქმიანობა 1920 წ.	3
2. ს. ავალიანი—საქართველოს ერობის მოღვაწეობა	5
3. ლ. ასათიანი—ერობათა მოღვაწეობა გასულ 2 წელში აღ- მინისტრიატიულ დარგში	11
4. სერგ. გერსამია—საერობო წვრილი ერთეულები ანუ თემები	18
5. აპ. წულაძე—შეფუტკრეობა და ერობა	22
6. ლ. ასათიანი—ერობა და საფულო გადასახადი	25
7. მ. ურჩიაშვილი—სასურსათო საქმის მდგომარეობა სიღნაღის მაზრაში 1920—1921 სას. სამ. წელს	35
8. ი. ლომოური—შრომის დამცველი კანონმდებლობა ევრო- პის სახელმწიფოში.	41
9. ი. მეტრეველი—ჩვენი აგრონომები და სოფელი	49
10. ი. ნოდია—შორეულ აღმოსავლეთის მოკლე ეკონომიურ მი- მოხილვის გამო მინაწერი	50
11. განმანი—პატარა წერილები	52
12. „ „ „ ორკვირეული მიმოხილვა	58
13. საერობო ფინანსების კანონ-პროექტი	62
14. გ. მ.—ერობა	71
15. X—სამთო-სატეხნიკო კურსები	76
16. ზ. ჭ.—ქართული ჩუქურთმების ხელოვნების ისტორია	78
17. მოქალაქეობის კანონის განმარტება	79
18. იოსებ იმედაშვილი—გაერთიანებული საქართველო და ხე- ლოვნება	87
19. „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ გამომცემლობა	95
20. ავტორებს და მთარგმნელებს	96
21. ქრონიკა	98
22. ხომლ ლი—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (დ. კლდიაშვილის მოთხრ. ტ. I—II)	116
23. გულკეთილი—ლადო ალექსიამესხიშვილი (ნეკროლოლი)	122

ხომლ ლი

№ 1—2

იანვარი—15—31

1921 წ.

Handwritten red signature or stamp

მეცნიერებათა

5672

ორკვირეული საერთო ჟურნალი


წელიწადი მეორე

ერთბათა კავშირის კომიტეტის ორგანო



თბილისი
სახელმწიფო სტამბა
1921.





ეროვნების საქმიანობა 1920 წელს.

ჯერ კიდევ ნორჩს და ფეხმოუმავრებელ საეროებო ორგანიზაციებს მეტად რთულსა და დამაბრკოლებელ პირობებში უზღებოდათ მუშაობა წარსული წლის განმავლობაში. გარდამავალი ხანის შედეგები, ფინანსური ხელმოკლეობა, სათანადო ტრადუციისა და პრაქტიკის უქონლობა აფერხებდა ეროვნების საქმიანობას. მაგრამ მიუხედავად ამისა, წარსული წლის განმავლობაში საეროებო მოღვაწეთა საქმისადმი სიყვარული, ნაკისრ მძიმე მოვალეობის შეგნება, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ზევნი ეროვნების საქმიანობა წელს უფრო ნაყოფიერი და რესპუბლიკის ინტერესებთან მიზანშეწონილი იქნება.

ეროვნებს არ დაუტოვებიათ არც ერთი დარგი, არც ერთი მომენტი ჩვენი ცხოვრებისა, რომ სათანადო ყურადღება არ მიექციოთ. უპირველესად წარსულ წელს ახასიათებს ეკონომიური კრიზისი, რამაც ძალზე გაამწვავა მდგომარეობა, როგორც სოფლად ის ქალაქად; ეროვნები შეძლებისადაგვარად ებრძოდნენ ამ კრიზისის გამომწვევ პირობებს: ისინი ადგილობრივ ნაწარმოებს ხელიდან გლეჯდნენ ჩარჩ-ვაკრებს; ყიდულობდნენ მას მხცოვრებლებიდან და საჭიროების დროს ისევ მათზე ყიდდნენ დაკლებულ ფისებში; აარსებდნენ სამრეწველო დაწესებულებებს; ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისისა და გურიის ეროვნების მოღვაწეობა; მაგრამ ისიც კი უნდა ვთქვათ, რომ უსისტემობისა, და წინასწარ გეგმისა და პირობების გაუთვალისწინებლობის გამო ზოგი ეროვნების მიერ დაწყებული სამრეწველო საქმე ბევრჯერ მარცხით გათავდა: ფულები მილიონობით იხარჯებოდა, მაგრამ ზარალის მეტი ზოგ ეროვნებს დაწყებულ სამრეწველო საქმიდან არა უნახავთ-რა; მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ წარსულ წელს ჩადენილ შეცდომებს, წელს გაკვეთილად გამოიყენებენ ეროვნები.

ადმინისტრაციის გასაწმენდათ, და გზების გასაყვანადაც სათანადოთ ზრუნავდნენ ჩვენი ეროვნები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი ეროვნებს: ადმინისტრაცია ვერ სდგას თავის სიმალლეზე; ბევრია მათში თავხედი და უპასუხისმგებლო პირნი, რომელთაგან განწმენდალ უნდა იქნას ადმინისტრაცია, რომ-

ლის ავკარგიანობას უღარესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის; მის უნარიანობაზეა დამოკიდებული ცენტრალური მთავრობის პრესტიჟისა და ავტორიტეტის ხალხში განმტკიცება, რადგანაც ფართო მასა ამა თუ იმ კომისარ-მილიციონერის ცუდი თუ კარგი მოქმედებით აფასებს საერთოდ მთავრობის პოლიტიკას.

გზების საქმეც ვერ არის სანუგეშო მდგომარეობაში; მეტად ძნელია პროვინციებში მოგზაურობა; გზებს დიდხ ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა აქვს, ამისათვის ერობებმა წელს უსათუოდ უნდა მოამთავრონ გზების მოწესრიგების საქმე; მათ სავსებით უნდა გამოიყენონ წარსულ წელს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული დეკრეტი საგზაო ბეჭდრის შესახებ, რომლის თანახმად ყველა ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს გზის გაყვანა-შეკეთებაში.

არც კულტურული მუშაობა დაუტოვებია ჩვენს ერობას უყურადღებოდ: წარსულ წლის განმავლობაში რამოდენიმე ათეული დაბალი და უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებელი გაიხსნა სხვა და სხვა პროვინციებში. მაგრამ, საქმეს მეტად აფერხებდა საქირო მასწავლებელთა კონტიგენტის ნაკლებობა, რის გამოც ხშირად ერობები იძულებული იყვნენ სკოლა ჩაებარებიათ სრულიად მოუმზადებელ და უმეტარ მასწავლებელთათვის. ჩვენ ეს დიდ შეცდომად მიგვაჩნია, რადგანაც უვარგის მასწავლებელთა ხელში მოზარდის ნორჩი გონება საბოლოოდ ფუჭდება; ამ გარემოებას მომავალში მაინც დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ერობებმა, თუ უნდათ, რომ შესაფერი მზრუნველობა გამოიჩინონ მომავალი თაობისადმი, რომელზედაც დამოკიდებულია რესპუბლიკის მომავალი; სკოლა არ უნდა გახსნან ისე, თუ შესაფერი მასწავლებელი და სასკოლო მოწყობილება არ ექნებათ. მასწავლებლების მოსამზადებლად კი აუცილებელ საქროებას შეადგენს მზრებში და არსდეს საოსტატო სემინარიები, რომლის მიზანი იქნება რიგიანი მასწავლებლების მომზადება; მართალია ეს დიდ ხარჯს გამოიწვევს, მაგრამ საერო განათლების საქმე იმდენათ დიდმნიშვნელოვანია, რომ მისთვის ქონება არ უნდა დავზოგოთ.

გაიხსნა აგრეთვე უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოები; აწყობდენ საკვირაო სკოლებს სახალხო ლექციებს, მაგრამ საცქერხართ ყველგან არა. ამ მხრივ წელს მეტი ენერგია უნდა დახარჯონ ერობებმა; სისტემატიურად, ყოველთვის უნდა განეპარტოს ხალხს მომენტის მნიშვნელობა; მით უმეტეს ეს აუცილებელია დღევანდელ გართულებულ მო-

მენტში, როცა ათასგვარი აგიტატორები, ჩვენი მტრების მიერ მოსყი-
დულნი დაწანწალებენ სოფლად და ეწევიან ანტისახელმწიფოებრივ
აგიტაციას; სასტიკი ბრძოლაა მათ წინააღმდეგ საქირია.

მთავრი ყუჩადღება წარსულ წელს თავდაცვის საქმეს მოუხდა.
ერობებს კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი თუ რა ბედი ეწეოდა ჩვენს
რესპუბლიკს, რომ კარზე მომდგარი მტრები შემოქრილიყვნენ ჩვენს
შიწა წყალზე. ამიტომ იყო რომ ერობები თავდაცვის საქმისთვის ყო-
ველივე ღონეს ხმარობდნენ; არ ზოგავდნენ არც ქონებას და არც შრო-
მას ზურგს გასამაგრებლად; თუ მობილიზაციები ჩვენში ყოველთვის
ბრწყინვალედ ჩატარდა, ამაში უსათუოდ მიუძღოდათ დიდი ღვაწლი
ჩვენს ერობებს; თუ უკანასკნელად მოსალოდნელი ომი აგვცდა და
„უომოთ ომი მოვიგით“ ეს ჩვენი თავდაცვის საქმის მტკიცე ნიადაგზე
დაყენებით. საშიშროებას ვერ არ განუფლია. კიდევ ირღვა ჩვენს გარ-
შემო ღრუბლები; ჩვენი გაწითლებული მეზობლები, რომლებსაც „ხა-
ზეინობს“ საბჭოთა რუსეთი, არღვევენ ჩვენთან დადებულ ხელშეკრუ-
ლებას, მოგვისპეს ნავთი, შარს გვდებენ და გამომწვევ ნოტებს გვიგ-
ზაყნიან ყოველდღე; ამისათვის ჩვენი ერობები წელსაც მზად უნდა
იყვნენ თავდაცვის საქმისათვის; უმთავრესი ყურადღება დღესაც აქეთ-
კენ უნდა მიაპყრონ; ამ შემთხვევაში ერობებზე ბევრი რამ არის
დამოკიდებული და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ისინი თავდადებას
გამოიჩენენ ქაეყნის და თავისუფლების გადარჩენის საქმეში.

ერობების აწინდელ საქმიანობას საფუძვლად დაედება წარსული
წლის გამოცდილება, მომზადებული ნიადაგი, გამორკვეული პოლიტიკა,
რაც უსათუოდ ჯზრუნველს ყოფს მიმდინარე წლის განმავლობაში
ერობების ნაყოფიერ მოღვაწეობას, რასაც სულით და გულით უსურ-
ვობთ.

საქართველოს ერობის მოღვაწეობა.

ერობამ საქართველოში განსაკუთრებულ პირობებში დაიწყო მუ-
შაობა. ომიანობისაგან განიავებული ეროვნული სიმდიდრე, გალატაკი-
ბული ერი, აფხრიაქებული ურთიერთობა, აი ის მძიმე პირობები, რო-
მელიც წილად ხვდა ერობის მოღვაწეებს. გარშემო გართულებული
პოლიტიკური მდგომარეობა, განუწყვეტელი მოლოდინი უცხოელების

შემოსევის და გაოხრების მტრული განწყობილება ირგვლივ. ამას უნდა დაეძინათ ისიც, რომ საქართველოში არ იყო გამოცდილება, არ იყვნენ მომზადებული მოღვაწეები. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა ერობამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა და ყოველდღე ასრულებს. საქართველოს რესპუბლიკის ერობის მოღვაწეობის დაფასების დროს უნდა იქნეს აუცილებლათ გათვალისწინებული თუ რა დროს და რა პირობებში დაედო საფუძველი ერობის მუშაობას. ერობამ დიდი მუშაობა გასწია, მტკიცე საფუძველი დაუდო ადგილობრივ მართველობის საქმეს. შესაძლებელია ბევრისათვის არ სჩანდეს შედეგი ერობის მოღვაწეობისა, შეიძლება ის არ არის ისეთი ბუმბერაზი, როგორც ბევრს უნდა იყოს, მხოლოდ არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ ერობის მოღვაწეობას ჯერ სრული სამი წელიწადიც არ შესრულებია.

ბევრი ნაკლი აქვს ერობის მოღვაწეობას, ბევრი შეცდომებიც არის დაშვებული. მხოლოდ თუ ავსა და კარგს ერობის წარსულ მოღვაწეობას დავაფასებთ, უეჭველი იქნება, რომ შეცდომები, აუცილებელი იყო, ბოლოს და ბოლოს კი დადებითი შედეგები ნათელი იქნება.

რა გააკეთა ერობამ?.. რა ღვაწლი მიუქღვის მას ერის წინაშე და შინაური ურთიერთობის სიმტკიცისათვის. სრული ცნობები ერობის ბიუჯეტების არ გვაქვს და ძნელია სავსებით საკითხის გამოკვლევა. იმ ცნობების მიხედვით, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობთ შეიძლება გათვალისწინება ერობების მუშაობისა, ერობა ზრუნავდა და ზრუნავს ხალხის განათლებაზედ. სხვა და სხვა ერობამ ამ²საქმისათვის დახარჯა თავის ბიუჯეტიდან:

ე რ ო ბ ა	ბიუჯეტი	სახალხო განათლებაზე დაიხარჯა	%
1. ოზურგეთის . . .	55.088.090	20.721.560	45.1
2. სენაკის ¹⁾	12.153.437	4.765.760	39.2
3. შორაპნის	43.707.059	11.956.296	27.8
4. გუდაუთის ²⁾	2.447.143	672.066	27.4

¹⁾ ბიუჯეტი არის: 1919 წ. ²⁾ 9/1—15/IV 1920 წ.

5. ლუმბისტანის	17.897.925	4.034.000	22.5
6. თიონეთის	28.014.539	5.377.890	19.1
7. გორის ³⁾	50.660.952	8.767.140	17.5
8. ლეჩხუმის	20.330.924	3.288.320	16.1
9. ზუგდიდის	71.907.557	11.005.650	15.2
10. კოდორის	20.652.902	2.988.686	14.4
11. ტფილისის ⁴⁾	28.080.236	3.408.970	12.1
12. ბორჩალოს ⁵⁾	70.930.932	5.931.923	8.3
13. ღუშეთის ⁶⁾	16.362.489	977.312	5.9
14. ახალციხის	5.199.628	149.940	2.8
15. რაჭის ⁷⁾	7.109.328	2.020.569	2.8

ერობა დიდ ყურადღებას აქცევს სახალხო განათლებას. უდიდესი დიდი ბიუჯეტში დათმობილი აქვს განათლების საქმის მოწყობას. ერობამ კარგა იცის, რომ ერის წარმატების საფუძველი განათლება არის და ამ საქმეს პირველ რიგში აყენებენ.

სახალხო განათლების გაწეულ ხარჯებს თუ შევადარებთ სხვა და სხვა მაზრებში აღენიშნავთ თვალსაჩინო განსხვავებას. მეტი წილი ბიუჯეტიდან სახალხო განათლებაზედ იხარჯება დასავლეთ საქართველოში, შემდეგ სოხუმის ოლქში. აღმოსავლეთ საქართველოში ბიუჯეტის ხარჯები სახალხო განათლებაზე შედარებით მცირეა. აღმოსავლეთ საქართველოში თიონეთის ერობა სახალხო განათლებაზე ხარჯავს 19,1% ბიუჯეტისას. ამ ერობის მოქმედებას ანგარიში უნდა გაუწიოთ. თიონეთი ძლიერ ჩამორჩენილი მაზრა არის და ამ მაზრას ესაჭიროება დიდი ყურადღება; ერობაც ასე იქცევა და ბიუჯეტში დიდ ადგილს უთმობს სახალხო განათლებას. ოზურგეთის და სენაკის ერობა პირველ რიგში არიან: პირველი ხარჯავს სახალხო განათლებაზე 45,1%, მეორე 39,1% მთელი ბიუჯეტისას. უკანასკნელ რიგში არიან ახალციხის და რაჭის ერობა, თითოეული ხარჯავს სახალხო განათლებაზედ 2,8% ბიუჯეტისას.

³⁾ 1/VI 1919 წ.—1/VI 1920 წ. ⁴⁾ 1/VI 1919 წ.—1/VI 1920 წ. ⁵⁾ 1/VI—1/XII 1920 წ. ⁶⁾ 1/1—1/VI 1920 წ. ⁷⁾ 1/1—1/VI 1920 წ.

ერობა ზრუნავს ხალხის ჯანმრთელობაზე, იცავს ხალხის ავლადი-
დობას საქონლის ქარისაგან და ავადმყოფობისგან.

ე რ ო ბ ა	ბ ი უ ჯ ე ტ ი	სამკურნალო-სა- სახიტარო ნა- წილზე დაი- ხარჯა	%	საბეითლო ნა- წილზე დაი- ხარჯა	%
1) კოდორის	20.652.902	7.131.006	34,5	298.291	1,4
2) გუდაუთის	2.447.143	781.921	21,8	—	—
3) თიონეთის	28.014.539	4 390.200	15,6	1.673.840	5,9
4) ლეჩხუმის	20.330.924	3.126.820	15,3	275 520	1,3
5) სენაკის	12.153.437	1.843.900	15,1	134 000	1,1
6) ოზურგეთის	55.088.090	6 501.000	15,1	1.573.700	3,5
7) დუშეთის	16.362.489	2.302.100	14,0	567 500	3,6
8) ზუგდიდის	71.907.557	7.701 000	10,7	1.447.180	2,0
9) ლუშისტ-ნის	17.897.925	1.925.000	10,7	300.000	1,6
10) ახალციხის	5.199.628	537 398	10,3	—	—
11) ტფილისის	28.080 236	2.254.350	8,0	545 340	2,2
12) გორის	50.660.952	3.488.200	7,8	346.504	0,6
13) შორაპნის	43.707.059	2 939.734	6,7	1.307.000	2,9
14) ბორჩალოს	70.930.932	4.313 210	6,0	1.588.965	2,2
15) რაჭის	7.109.328	728.861	1,0	155.075	0,2

სამკურნალო და საბეითლო დახმარებაში დიდი სხვა და სხვაობაა
ერობებში. სამკურნალო დახმარებაზედ უდიდეს ხარჯებს ეწევიან სო-
ხუმის ოლქის ერობები. ფიოქეთის, ლეჩხუმის სენაკის უკანასკნელი
ადგილი უჭირავს რაჭის ერობას, ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავი არის
მოღვაწეობა თიონეთის ერობისა, რომელიც სამკურნალო და საბეითლო
დახმარებას სხვა ერობებთან შედარებით მეტ ყურადღებას აქცევს.

რესპუბლიკის ერობების ბიუჯეტს თუ ავიღებთ (გარდა თელავის,
სიღნაღის, ქუთაისის, სამურზაყანოს და ახალქალაქის), ანუ ოცი ერო-
ბიდან 15 ერობის ბიუჯეტი იყო 440 მილიონი მან. ამ ბიუჯეტიდან
დაიხარჯა სახალხო განათლებაზედ 79 მილიონი მანეთი ანუ 17,8%
სამკურნალო დახმარებაზედ 44 მილიონი ანუ 10,0%
საბეითლო სა-
ჭიროებაზედ 7 მილიონი ანუ 1,5%
განათლებას, სამკურნალო საქმეს
რესპუბლიკის ყველა ერობამ დაახარჯა 130 მილიონი მან. ანუ 29,5%.

ერობები კიდევ ორ დიდ საქმეს აწარმოებენ. ერობები სხვა და
სხვა ღონისძიებას ეწევიან ეკონომიურ და წეს-წყობილების აღორძინე-
ბისათვის და უდგებიან სათავეში წარმოებას.

ეკონომიური ნიადაგის განმტკიცებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. რამდენათაც ამ საქმის მოწყობას ერობა შესძლებს, იმდენათ შექმნან სათანადო პირობებს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვის. ეს დებულება სავსებით მიღებული არის და სათანადო მუშაობას აწარმოებს:

ე რ ო ბ ა	ბ ი უ ჯ ე ტ ი	ეკონომიური აღორძინებისათვის დახარჯული	%
1) ბორჩალოს	70.930.932	10.941.795	15,4
2) ზუგდიდის	71.907.557	7.030.795	9,9
3) სენაკის	12.153.437	1.123.400	9,2
4) ოზურგეთის	55.088.090	3.816.530	8,1
5) შორაპნის	43.707.059	3.021.571	6,9
6) თიონეთის	28.044.539	1.771.040	6,2
7) ახალციხის	5.199.628	293.700	5,6
8) ტფილისის	28.080.236	1.565.710	5,4
9) გორის	50.660.952	2.582.283	5,0
10) გუდაუთის	2.447.143	94.030	3,8
11) ლეჩხუმის	20.330.924	877.000	3,7
12) დუშეთის	16.352.489	605.360	3,6
13) ლუმისტიანის	17.897.925	617.000	3,4
14) რაჭის	7.109.328	214.750	0,2

ერობის ხარჯები ეკონომიურ აღორძინებისათვის შეღარებით არ არის დიდი. ერობები თავის ბიუჯეტიდან ამ დიდ საგანს უთმობენ შეძლებისამებრ. დასავლეთი საქართველოს ერობა ამ საქმეს მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე აღმოსავლეთი საქართველოსი. დასავლეთ საქართველოში ყველაზედ უფრო ნაკლები ხარჯები აქვს გაწეული რაჭის ერობას.

ერობა ნელ-ნელა აწყობს ადგილობრივ საკუთარ წარმოებას, სასურსათო საქმეს თითქმის ყველა ერობა აწარმოებს. ერობებს მოწყობილი აქვთ: სახერხავი და ხის ქარხნები (გორის ახალციხის, თიონეთის, ოზურგეთის, ზუგდიდის, რაჭის, ლუმისტიანის); წისქვილები (დუშეთის, ახალციხის, თიონეთის, ოზურგეთის, სენაკის); საცხოვი ქარხანა და დაზგები (თიონეთის, ოზურგეთის); ყველის წარმოება (დუშეთის,

ახალციხის); აბრეშუმის ამოსახვევი (ოზურგეთის); კრამიტის და აგურის ქარხანა (სენაკის).

ეროზის წარმოებას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის ნაბიჯი წარმოების გასაზოგადოებრივობისა. მხოლოდ ამ დარგს დიდი ნაკლიც აქვს. ეროზს გატაცებული არის წარმოების მოწყობით. ამისათვის კი არა აქვს საჭირო თანხები და ძნელი ხდება წარმოების სათანადო მოწყობა. გარდა ამისა არ არის დამუშავებული გეგმა, წინასწარი განსაზღვრული ხაზი მოქმედებისა. ხშირათ არის, რომ ოარი და მეტი ეროზა ერთსა და იმავე საქმეს აწყობენ მცირე თანხებით; არ არის საკმაო სპეციალიზაციები. საქმე ფერხდება და ბევრს გული უტყდება. ეროზის წარმოება კი ძლიერ სათუთი საქმეა. დიდი სიფრთხილე და განსაკუთრებით ვრცელი გეგმის დამუშავება არის საჭირო. საჭიროა შეთანხმება ეროზათა შორის, რათა ერთი და იგივე წარმოება რამდენიმე ეროზამ არ აწარმოოს, რის შედეგი არის უნაყოფოთ ძალების და თანხების გაბნევა და დაქსაქსვა. ეროზის წარმოებას დიდი მნიშვნელობა ექნება ეროზის ბიუჯეტის გასამაგრებლათ. დადგა უკვე ისეთი ხანა, როდესაც წარმოების მუნიციპალიზაციაში უნდა იქნეს შეტანილი წინასწარი გეგმა.

ეროზების წარმოებისათვის გაწეული ხარჯები შემდეგია:

ე რ ო ბ ა	ბიუჯეტი	წარმოებისთვის დახარჯა	%
1. ზუგდიდის	71.907.557	25.381.350	36.2
2. ბორჩალოს	70.930.932	12 650 084	17 0
3. თიონეთის	28.014.539	4.781.056	17.0
4. გორის	50.660.952	7.913.670	15.6
5. ახალციხის	5.199.628	500.000	9.6
6. შორაპის	43.707.059	2.000.000	4.5
7. სენაკის	12 153.437	402 800	3.3
8. ლეჩხუმის	20.330.924	378.200	1.7

15 ეროზიდან, რომლების შესახებ გვაქვს ბიუჯეტები მხოლოდ 8 ეროზას აქვს საკუთარი წარმოება. სხვა და სხვა მიზეზების გამო ეროზები ვერ კიდებენ ხელს საკუთარ წარმოებას. ჩვენ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ თუ რა ფინანსიური შედეგები მოჰყვა ეროზის წარმოებას ძლიერ საყურადღებო იქნებოდა ვიცოდეთ რა ინარჯება წარმო-

ებაზედ, ღირებულება წარმოებისა, რა პროცენტებში იხატება მოგება. ამ ცნობებზე მინდვით შეიძლება მსჯავრი დავდეთ ერობის წარმოებას და მას თუ რამოდენათ არის იგი მოწყობილი. ჯერ ასეთი ცნობები არა გვაქვს. ზემო მოყვანილი ცხრილი კი გვეუბნება უდიდესი წილი ბიუჯეტის ხარჯებისა წარმოებისათვის გაუწევია ზუგდიდის ერობას, შემდეგ ბორჩალოს, თიონეთს და გორს. დანარჩენი ერობების ხარჯები მდარეა.

15 ერობის ბიუჯეტიდან 440 მილ. მანეთიდან ეკონომიურ აღორძინების და ეკონომიური ნიადაგის განმტკიცებისათვის დახარჯულია 30 მილიონი, ანუ 6,8%, წარმოებისათვის 50 მილიონი ანუ 11,2%, საერთოდ სხვა და სხვა ეკონომიური მიზნებისათვის 18,1% მთელი ბიუჯეტისა.

ჩვენ არა გვაქვს სხვა ცნობები ერობების ბიუჯეტის შესახებ. ჩვენ გამოვიკვლიეთ მხოლოდ ის ცნობები, რომლებიც მოიპოვედა. ამ ცნობების მიხედვით ერთი რამ არის სრულიად უდავო: ერობა ადგილობრივ ჩაუღდა დიდ შეურნეობას, ამ შეურნეობას აწარმოებს, ერობა ადგილობრივ უძღვება კულტურის განმტკიცებას. შესაძლებელია ნაყოფი ამ მოღვაწეობისა ჯერ არ სჩანს, მხოლოდ ერობამ ორი წლის განმავლობაში რყევსა და ნგრევის ხანაში აღმშენებლობითი მუშაობას ჩასჭადა ხელი, რყევა და ნგრევა შეჩერა. ერის ეკონომიურ და სულიერ სიმტკიცეს მჭიდრო საფუძველი დაუდო და ვალდებულნი ვართ ეს ამაგი დავაჭვასოთ. უნაკლულო სამყაროში არაფერი არ არის. ერობის მოღვაწეობასაც მოვეძებნება ნაკლი.

ს. ავალიანი.

ეროვნული მოღვაწეობა გასულ 2 წელში ადმინისტრაციულ დარგში

(საერთო მიმოხილვა).

ადმინისტრაციული ორგანიზაცია მანებში 1918 წლის მეორე ნახევარში, ე. ი. ერობის დაარსების წინა დღეს დაახლოვებით შემდეგ სურათს წარმოადგენდა. სამაზრო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, რომელთაც რევოლიუციის პირველ ხანებში გამოცემულ

კანონების ძალით მინდობილი ჰქონდათ ადმინისტრაციის მოწყობა მაზრაში, ფაქტიურად აღარ მოქმედებდნენ.

სოფლის კომიტეტები გადაიქცნენ სოფლის სასამართლოებათ. მაზრის და რაიონის კამისრები ინიშნებოდნენ ცენტრიდან გუბერნიის კომისრის წარდგენით და სოფლის კამისარი კი ირჩეოდა სოფლის ყრილობის მიერ. სამხედრო ბეგრის საქმე მინდობილი ჰქონდა ცენტრიდანვე დანიშნულ სამხედრო უფროსს. ამნაირად შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული ორგანიზაცია ძალიან წააგავდა რევოლუციის წინ არსებულს იმ განსხვავებით, რომ სახელები თანამდებობის პირთათვის სხვა იყო (მაზრის უფროსის, ბოქაულის, მამასახლისის და სოფლის სასამართლოს მაგიერ—მაზრის კამისარი, რაიონის კამისარი, სოფლის კამისარი და სოფლის კომიტეტი) და რომ მათ ნიშნავდა არა რუსული მეფური მთავრობა, არამედ ქართული დემოკრატიული მთავრობა.

ეს უკანასკნელი გარემოება რასაკვირველია სრული გარანტია იყო იმისი, რომ ადმინისტრაცია საერთოდ გაქვნილი იყო ერთგულებით დემოკრატიისადმი. მაგრამ ის ფაქტი, რომ მაზრის მოსახლეობა არ იღებდა მონაწილეობას ადმინისტრაციის მოწყობაში, უკვე იძლეოდა თავის უარყოფით შედეგებს. ცენტრი დატვირთული იყო იმდენ დიდ სახელმწიფოებრივ, მეტადრე საგარეო, საქმეებით, რომ მას არა ჰქონდა არაერთარი შეძლება მალ-მალე გაეწია კონტროლი მაზრის ადმინისტრაციის მოქმედებისათვის, დაწვრილებით გაეცნო სოფლის ადმინისტრაციული წყობილების („სოფლის კანცელარიის“) ყველა მხარეები, თავის დროზე მიექცია ყურადღება ადმინისტრაციის ჯამაგორის და ფურაჟის მომატების საჭიროებისათვის. ამასთან ცენტრისათვის ეს საერთო კითხვა იყო და ამიტომ, რაკი ამ კითხვის გადაჭრა იყო დაკავშირებული სხვა კითხვების გადაჭრასთან, რასაკვირველია იგი დაგვიანებით გადაიჭრებოდა.

ბუნებრივია, რომ ეს პირობები უარყოფით მოქმედებდნენ ადმინისტრაციის მუშაობაზე და ყველამ ვუწყით, რა საჩივრები იყო პრესაში სწორედ 1918 წ. მეორე ნახევარში ადმინისტრაციის მოქმედების შესახებ მაზრებში.

ერობებმა, დაარსდნ თუ არა, პირველი ყურადღება სწორედ ადმინისტრაციულ დარგს მიაქციეს. ვნახოთ რა გააკეთეს მათ

მ ი ლ ი ც ი ა .

1919 წ. 28 იანვრის კანონის ძალით (კანონი 1916.—1919 წ.) მილიცია გადასცეს ერობებს. ამ დროს მილიციის მოსაწესებურენი იპედენად მცირედ ჯამაგირის და ფურაჟის ფულს იღებდნენ, რომ იგინი იძუნებოლნი იყვნენ ან პირდაპირი შიმშილი განეცადათ, ან მიემართათ უკანონო საშუალებებისათვის საჭირო სახსრის საშოვნელად, რაც გზას უხსნიდა ყოველნაირ ბოროტმოქმედებისაკენ. რამდენად დაჰკარგა მილიციის საძსახუომა თავისი ნამდვილი ხასიათი სწანს იქიდან, რომ ერთ ერთ მაზრაში ამ ხანაში აღმოჩენილი იყო, რომ მაზრის კომისარს ქრთამი შესთავაზეს მარტო იმიტომ, რომ მას მიეცა მილიციონერის ადგილი. მაშასადამე მილიციაში მიდიოდნენ აშკარად გამორჩენის მისაღებად.

ერობებისათვის ნათელი იყო, რომ პირველყოფლისა საჭირო იყო მილიციის მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესება, რომ უმისოდ ვერავითარ გამოსწორებას ვერ შეიტანდნენ მასში. მაგრამ როგორ, რით, როცა ერობები ეს არის რაც დაარსდენ და არავითარი მნიშვნელოვანი თანხის პატრონი არ იყვნენ? მათ გამონახეს შემდეგი ზომა: ძლიერ შეამცირეს მილიციონერთა რიცხვი, მეტადრე სოფლის მილიციისა და აქედან დარჩენილი თანხა მოახმარეს მომატებას. ამის შემდეგ რადიკალურად შესცვალეს მილიციის პერსონალური შემადგენლობა. ეს იყო ის აუცილებელი ზომები, რომელნიც მოთმენას ვერ ელოდდენ და იგი გატარებული იყო ერობების მიერ თავ თავის მაზრებში ერთმანეთში შეუთანხმებლად თვით ცხოვრების კარნახით. ერთგვარი სისტემა ადმინისტრაციის მოწყობაში, ასე ვსთქვათ, ადმინისტრაციული პოლიტიკა, შემუშავებული იყო ერობათა მიერ რამდენიმე ხნის მერე სპეციალურ ყრილობაზე, რომელიც მოაწვია ამ საკითხზე ახლად არჩეულმა ერობათა ცენტრალურმა ბიურომ. ეს იყო 1919 წ. მაისში. ამ დროისთვის ერობებს უკვე ჰქონდათ საკმაო გაცნობა ადმინისტრაციულ საკითხთან ადგილობრივ და საკუთარი გამოცდილება და მათ შეეძლოთ გამოემუშავათ ზემოხსენებული ადმინისტრაციული პოლიტიკა. ყრილობამ გასტანა დაახლოვებით ერთი კვირა და შეიმუშავა ვრცელი რეზოლიუცია, რომელიც არკვედა ამ საკითხში ყველა კითხვებს (ერობა და მთავრობა, ერობა და ადმინისტრაცია, სახსარი, ადმინისტრაციის გაჯანსაღება, მილიციის ორგანიზაცია).

ბი შემოკლებით მთავარი დებულებანი ერობათა მიერ შემუშავებული გეგმისა: უქადება ე. წ. სამაზრო აღმინის ჯრაცია— მაზრის და რაიონის კამისრები, რჩება, ისევე როგორც ქალაქებში, — მილიცია და მისი მოსამსახურენი; ამ მილიციას ეკისრება მარტო სამილიციო საქმეები (დაცვა წესიერებისა და სხვ). საერობო საქმეები კი (სტატისტიკა, ვხები და სხვა), რომელთაც წინად იგი ასრულებდა, გადღის ერობაზე; ერობა უნდა იყოს განკერძოებული მილიციის ყოველდღიურ მუშაობისაგან, არ გაითქ იფოს მასში და არ გადიქცეს მილიციის სამმართველოდ, ეს ორი დაწესებულება და მათი ფუნქციები არ უნდა აირიოს; ერობა არის მომწყობი, ხელმძღვანელი და კონტროლები მილიციის, როგორც ერობის ერთ ერთი აპარატის, რისათვისაც ის აძლევს მილიციას გარკვეულ საეროო წესებს, როგორ შეასრულოს მან თავისი მოვალეობა (გამოძიების მოხდენა, ფულის აკრეფა და სხვ.) ყოველივე საჩივარი, შემოსული მილიციის მოქმედებაზე, ახდენს სისტემატიურ რევიზიებს, აღრიცხავს ბოროტმოქმედების რიცხვს და მსვლელობას მაზრაში, (რამდენია აქედან გამოკრეფული და რამდენი არა და სხვ.) სამილიციო რაიონები, რომელზედაც დაყოფილია ყოველი მაზრა უნდა დაპატარავდეს, რათა რაიონის მილიციის უფროსს ჰქონდეს შედეგა პირადათ გასწვდეს ყოველ უკანონო შემთხვევას, რომელიც მოხდება რაიონის ფარგალში; ბურჯნი წესიერების დაცვისა მაზრაში უნდა იყვნენ სწორედ რაიონის მილიციის უფროსები თავისი მილიციით, სოფლის მილიციის როლი კი ამ საქმეში ჩაითვალოს შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანად და ამიტომ მათი რიცხვი ყოველ სოფელში შემოკლდეს, 5-ს მ გივრად დაწესდეს 2 თითო საზოგადოებაში და სოფლის კომისრის თანამდებობა მოისპოს.

ამ პრინციპის თანახმად ერობათა ყრილობამ შეიმუშავა ახალი სტატა სამაზრო და სასოფლო მილიციისა, საცა ყურადღებას იქცევს მხვათა შორის 3 გარემოება— 1) რიცხვი მილიციაში მოსამსახურეთა შემოკლებულია ძველთან შედარებით 1055 კაცით, 2) მიღებულია მხედველობაში მილიციის ყველა საკიროვებანი, რისათვისაც დაწესებულია ახალი კრედატები ფოსტის ხარჯისთვის, სადარჯოების შენახვისათვის, მოულოდნელი ხარჯისათვის, რკინის გზით მოგზაურობისათვის და უბედურ შემთხვევისაგან დაზარალებულთა დახმარებისათვის. 3) ჯამაგრი და ფურაჟის ფულის რაოდენობა შესამჩნევად მომატებულია და ნაგარავუღვევია იმ ანგარიშით, რომ იგი ეყოს მოსამსახურეს და არ აი-

ქულოს იგი მიმართონ უკანონო სახსარს. ერობათა გეგმა მილიციის რეორგანიზაციის შესახებ მთავრობის მიერ სავსებით იყო მიღებული და მათ მიერ შემუშავებული შტატები იქცა კანონად 1920 წ. აპრილის 8 (კანონი № 103—1920 წ.) ეს გეგმა გატარებული იყო ყველა ერობათა მიერ ცხოვრებაში და როგორც გვაჩვენებენ ის ცნობები, რომელიც პრესაში იყო გამოქვეყნებული და რასაც ადასტურებენ ზოგიერთი სტატისტიკური ცნობანი, რომელისაც ჩვენ გვქონდა შეძლება გვენახა. მილიცია გაჯანსაღების გზას დაადგა. ის მობილიზაციები, რომელთაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ დროს, დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, აღარ გვესმის ყაჩაღების თარეშზე ბაზრებში, თუ მოდის ცნობები უფრო იმის შესახებ, რომ ეს თუ ის ძველი ყაჩაღი დაიჭირესო. 1919 წ. გადასახადები—პირველად რევოლიუციის მერე—აიჭრითა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ 2 წელიწადში არავითარ სერიოზულ უთანხმოებას ერობის და მთავრობის შორის მილიციის გამგებლობის სფეროში ადგილი არა ჰქონია. ერობის დებულების თანახმად მაზრის ერობას ევალდებოდა წვრილი საერობო ერთეულის მოწყობა მაზრაში. მასვე ევალდებოდა ამ ერთეულის ტერიტორიის და მისი კომპეტენციის გამორკვევა. ჯერ გადასაჭრელი იყო პირველი საკითხი, ურომლისოდ შეუძლებელი იყო წვრილ ერთეულის ხმოსნების არჩევა. ერობაში მომუშავენიც ჯერ ამ კითხვას გამორკვევას შეუდგნენ. აღმოჩნდა, რომ ამ კითხვის შესახებ 2 აზრი არსებობს: ერთნი ფიქრობენ, რომ წვრილ ერთეულის ფარგალი უნდა იყვეს პატარა, ყოფილი სოფლის საზოგადოების ტერიტორია, მეორენი კი მომხრენი არიან, რომ ამ ერთეულს დიდი ტერიტორია ჰქონდეს, —რაიონი შემდგარი რამდენიმე სოფლის საზოგადოებისაგან. ამ ორმა მიმართულებამ იჩინა თავი ერობათა წარმომადგენლების ყრილობაზედაც, რომელიც მოხდა 1919 წ. დამდეგში. მიიღეს იმისთანა რეზოლიუცია, რომელიც ამ საკითხის გადაჭრას ანდობდა ცალცალკე ერობებს ადგილობრივი პირობების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში დაარსდნენ რაიონული საერობო ერთეულები, დასავლეთში კი სოფლის საზოგადოების და ამაზე უფრო პატარა ფარგლის ერთეულები. ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობაზე, რომელიც მოხდა 19 წლის შექოლგომას გადაწყდა დაერქვას ამ წვრილ ერთეულებს—თემი.

ამავე ყრილობაზე პირველად შეეხნენ ერობათა ცენტრის ორგანი-

ზაციის გამორკვევის დროს თემის კომპეტენციის საკითხს. ზოგიერთებმა განოსტყვეს ის აზრი, რომ ერობამ უნდა გადასცეს თემს მის ფარგალში მოწყობილი ყველა საერობო დაწესებულებანი. რადგან ამ საკითხს შეეხებენ გაკვრით, არაფიზიკური სახელმძღვანელო პრინციპი არ იყო მიღებული. მაშასადამე ესეც მიენდო თვით ცხოვრების მსვლელობას, ცალცალკე ერობათა შემოქმედების უნარს ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ერობებიც, წინდაწინ შედგენილ გარკვეულ აზრის გარეშე ამ საკითხში, ეცნობოდნენ დაარსებულ თემთა სახეს და აძლევდნენ მათ საერობო მუშაობის ამა თუ იმ ნაწილს, მერე თუ საჭიროება დაინახავდა აკისრებდნენ კიდევ ახალ საქმეებს, ან პირიქით თემისთვის გადაცემულ საქმეს ისევ თავის ხელში იღებდნენ. ცვლილებას ახდენდნენ აგრეთვე ამა თუ იმ სოფლების შუადგომლობით თემის ტერიტორიაში. ეშველებოდნენ თემებს დაკისრებულ საქმეების შესრულებაში, აძლევდნენ ინსტრუქციებს და აუქმებდნენ მათ უკანონო დადგენილებებს, როცა სოფლები, რომელთა თვალში ერობა იყო ბუნებრივი მეთაურობე თემის მოქმედებაზე, ამაზე ჩიოდნენ. არც თემები იყვნენ წინამდებენი, რომ ერობას ეხელმძღვანელა მათ მუშაობაში, პირიქით გასაჭარში მუდამ მას მიმართავდნენ.

აი ამნაირად მიუხედავთ იმისა თუ, როგორ გულისხმობდა თემს არსებული საერობო კანონი, ნელ ნელა თვით საერობო მუშაობის პროცესში ყველა მაზრებში თანდათანობით შეიქმნა დაახლოებით ერთნაირი, შერთალია თავისებური, ტიპი წვრილი საერობო ერთეულისა და ამასთან ერთად საერობო მოღვაწეთა შეხედულებაშიც დამკვიდრდა უკვე გარკვეული, მთავარ პრინციპებში მაინც, გეგმა თემის ორგანიზაციისა.

ეს გეგმა მიუხედავთ ზოგიერთი საერობო ტერიტორიების წინამდებეობისა მიღებული იყო როგორც საფუძველი თემის და ერობის ახალი დებულების პროექტის ერობათა წარმომადგენლებს სუკანასკნელ კონფერენციაზე გასულ წლის დასასრულში.

აი ეს გეგმა: თემი არის პირველი საფეხური თვითმართველობის, მაზრის ერობა—მეორე საფეხური; (ამრიგად უარყოფილია მ საფეხურიანი თვითმართველობა,—ერობა, რაიონული თემი, სოფლის საზოგადოება, რომელიც იყო ზოგიერთ ალაგებში;) თემის ტერიტორია—საერთოდ არის სოფლის საზოგადოების ტერიტორია, საბოლოოდ არ-

კვევს მას მაზრის ერობის ყრილობა; თემი არის ერობის თანამშრომელი საერთო საერობო მუშაობაში და ასრულებს ამ მუშაობის ყოველივე დარგში განსაკუთრებულ ნაწილს; როგორც ნაწილს, რას სახელდობრ, ამას არკვევს მაზრის საერობო ყრილობა; ერობა ხელმძღვანელობას და კანტროლს უწევს თემის მუშაობას, ამტკიცებს მის ბიუჯეტს და აუქმებს თემის უკანონო (ზოგიერთ შემთხვევებში აგრეთვე მიზან შეუწონილ) დადგენილებებს; თემის აღმასრულებელი ორგანოა თემის თავი.

ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება და კერძოდ თემის ადმინისტრაციის და მილიციის მოწყობა უნდა შეადგენდეს ერობის ადმინისტრაციული მოღვაწეობის უდიდეს საგანს; ეხლა თემის ადმინისტრაციაში დიდი სიჭრელეა, —ზოგან დარჩა სოფლის კომისრები, ზოგან ისინი მოისპო და იმათ მაგიერ დაარსდა თანამდებობა ერობის რწმუნებულისა, ზოგან ადმინისტრაციული საქმეები თემში დაევალა გამგეობის თავმჯდომარეს, ან ერთერთ წევრს. საჭიროა ამის მოწესრიგება. სხვა ადმინისტრაციულ საქმეთა შორის მილიციის და თემის მოწყობის მერე, დიდი დრო და ენერჯის დახარჯვა მოითხოვა ერობიდან სამხედრო ბეგრის საქმემ. განსახილავ ხანაში სამხედრო უფროსები და სამხედრო საკრებულოები მაზრებში მოისპო და მათი მოვალეობანი დაეკისრა ერობებს, მასთან დაარსებულ სამხედრო აღრიცხვის ნაწილებს და თემებს ერობის ხელმძღვანელობით (კანონები № 125 და 167 1919 წლის) ერობებს თეებთან ერთად დაეკისრა აგრეთვე განთავისუფლება ერთად ერთი ოჯახის მარჩენალთა (კანონი № 59, 1919 წლისა) და დახარების მიცემა როგორც მობილიზაციით გაწვეულთათვის აგრეთვე ომში დაშავებულთათვის (კანონები № 154, 1920 წლის და 36 და 74—1919 წ.)

ამ სამხედრო სექციების ასრულებაში ერობებმა შეიტანეს შედარებით ძველ ბიუროკრატიულ დაწესებულებებთან სიცხოველე; ამასთან ერთად მობილიზაციის ენერჯიულად გატარებით, დეზერტირების დევნით და სასტიკი კანტროლით, იმაზე რომ ერთად ერთი მარჩენალის განთავისუფლების სახით არა ხდებოდეს დამალვა სამხედრო ბეგრისაგან, გაჰოაა შეაოაყეს, რომ ისინი სდგანან სახელმწიფოებრივ და არა თავის კუთხის თვალსაზრისზე. მთავრობის მიერ, როგორც ვიცით, მოხდენილი იყო სენატორიული რევიზიის გამოსარკვევად, თუ რამდენად სწორად შეასრულეს თვითპარტველობებმა თავისი მოვალეობანი

ამ საქმეებში და რაოდენადაც ჩვენ ვაცით ამის შედეგი, დასკვნა საერთოდ ერობების მოღვაწეობის შესახებ ამ დარგში სრულიად დამაკმაყოფილებელია.

1919 წ. ივლისის 11 ს კანონით ერობებს დაეკისრა ესეთი აღმინიჭებული საქმე, რომელიც სხვა ქვეყნებში ჩვეულებრივ ცენტრის ხელში არის ხოლმე. ეს არის უძრავი ქონების იძულებითი ჩამორთვევა ან დროებითი დაქვრა იმ მოვალეობათა განსახორცელებლათ, რომელიც დაკარგებული აქვს ერობას. ამ კანონის ძალით ერობებმა შესძლეს შეეძნათ საჭირო ბინები თავისი მართველობის და ზოგიერთი საერობო დაწესებულებებისათვის. 1920 წ. მაისის 21-ს კანონით ერობებს დაევალა მონაწილეობის მიღება ზოგერთ პართათვის (სახელმწიფოს და მისი წარმოების ყოფილი მოხელეები და მუშები, შრომის უნარ დაკარგულები და მათი ოჯახის წევრები) სოციალი შემწეობის მიცემაში. ერობები ჰკრებდენ სათანადო ცნობებს, ამოწმებდენ შრომის უნარ დაკარგულებს, აძლევდნენ შრომის საქონისტროს თავის დასკვნას და მთავრობისაგან მღებულ თანხადან აძლევდენ დახმარებას ზემოხსენებულ პირთ. ერობებმა მოახდინეს მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები და ბოლო ხანებში დაიბადა ტენდენცია გაუადვილონ მათ მათი მუშაობა.

ლ. ახათიანი.

საერთობო წვრილი ერთეულები ანუ თეძები.

ჩვენი სოფელი კარგა ხანია დაადგა პროგრესის გზას. ჩვენი სოფლის ხალხი არ არის ისეთ პარველ-ყოფილ მსგოპარეობაში, როდესაც მას მხოლოდ თავის ოჯახური კერა აინტერესებდა და სოფლის გარეშე და სახელმწიფო საქმისთვის იგი თავს არ იტკიებდა. მხოლოდ-ღა ყურმ-აკრულა ამბავით კმაყოფილდებოდა და შემდეგ ამისა თუნდ ქვა-ქვაზედ აღარ დაჩენილიყო აღარას დაეძებდა. აგრეთვე შესწერებოდა სხვას ხელში, იმ სხვას, რომელიც მისთვის ზევიდან დაუნიშნავთ და მიუხედავად სასიფლო საქმეებს მოწესრიგება და იგი თუ რასმეს გააკეთებდა ხომ კარგი, თუარა და ხალხი მას კრძალით შესწერებოდა და ყველაფერზე ნებიფ თუ უნებლიეთ თავს უქნევდა; მაგრამ ცხოვრების მიმდინარეობამ განათლების სხივები კარგა ხანია გაფანტა ბლომათ, ამან

კი დაანგრია ჩვენს სოფელზე შემოვლებული ჩინეთის კედლები და ჩვენს სოფლებს „შინიდან ფეხი გარეთ გამოადგმევინა.“ ჩვენი სოფლებები ახლა ყველაფერს გაფაციცებით ადევნებენ თვალ ყურს, ცდილობენ თვითონ იყვნენ ყველაფრის მოწმე, ცდილობენ თვითონ იყვნენ აქტიური მონაწილენი ყველაფერში და უკიდურეს შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელი იქნება ნამდვილი, ჭეშმარიტი ცნობების მიღებით კმაყოფილდებიან. ასეთია დღევანდელი ჩვენი სოფლის შკიდრთა სულიერი მდგომარეობა, რისი შედეგიც არის ის, რომ ისინი კარჩაკეტილ ცხოვრებით უკვე აღარ კმაყოფილდებიან, ისინი ცდილობენ მკიდრო კავშირი დაიკაონ, მეზობელ სოფლებთან და მიზუმეტეს ქალაქთან: ქალაქის მხიარული და ბრავალფეროვანი კულტურული ცხოვრება მათაც უტოკებს გულს, ცდილობენ გაქალაქელებას, თავის სოფლის ქალაქის ყაიდაზე მოწყობით. მაგრამ ყოველივე ამას ხომ ფული უნდა, ყველაფერ ამის მოწყობას ხომ ცოდნა უნდა. ეს შეგნებული აქვს სოფლის მცხოვრებს და ამიტომაც სოფელი გაორკეცბულის ენერჯით აწარმოებს ვაჭრობას, ცდილობენ ხელოსნობის შესწავლას როგორც მაგალითად: შალეულობის და სხვა ფართლელობის მოქსოვა, ნახების და ფარდაგების ქსოვა და სხვ. ხსნიან სოფლათ სხვა და სხვა ტიპისა და სისტემის სავაჭროებს რათა დაატრიბონ შიგ სოფლის დოვლათი, და აგრეთვე დაუზოგველ ენერჯიას ანდომებენ რაც შეიძლება მეტი შკოლები გახსნან. ასეთია ამ სულიერი მდგომარეობის კულტურული და ეკონომიური შედეგი. სოფლის ხალხის ასეთ სიმალღეზე დგომა კი მოითხოვს: კარგი გზების გაკეთებას, რათა გაადვილებულ იქნეს მსვლელობა, როგორც სოფლებში აგრეთვე ქალაქში მიმოსვლა; საჭიროა ფოსტა-ტელეგრაფი და უკეთეს შემთხვევაში ტელეფონიც; მათ სულიერ მოთხოვნილებათ იქცევა ჟურნალ-გაზეთების კითხვა და სხვა და სხვა საკითხებზე მსჯელობა, რისთვისაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნა, მოწყობა წარმოდგენებისა—აშენება ისეთი შენობის, სადაც ამის მართვა შეიძლებოდეს; მოწყობა შემნახველ-გამსესხებელ კასებისა, რომელიც სასოფლო მიურნეობას თუ ვაჭრობას ძლიერ შეუწყობს ხელს, ზრუნვა ხალხის გიგიენურათ ცხოვრებაზე და სხვ. აი ყოველივე ეს და სხვა ბრავალი რისი მოწყობა-მოგვარებაც დღეს ჩვენი სოფლისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და რის მოწყობასაც ყოველი სოფელი წრფეჯლის გულით და სრულის შეგნებით ცდილობს. ჩვენი სოფლები ამას

ყოველთვის თან და თანობით აწყობდა და აწყობს, მაგრამ ეს მუშაობა რომ ჩქარის ტექვით სწარმოებდეს და გეგმიანათ, ამისთვის საჭიროა რაიმე კონმპენტენციური დაწესებულება, რომელიც სასოფლო საქმეებს სათავეში ჩაუდგება და ხელმძღვანელობას გაუწევს. ამ ორგანოში უნდა უსათუოდ თავს იყრიდენ მკოდნე და ხალხისთვის გულშემატკივარი პირები, რომელნიც ამავე დროს ხალხის ნდობით უნდა იყყენ უსათუოდ აღჭურვილნი.

ეს როლი სოფლად ცხოვრებამ წვრილს საერობო ერთეულებს, თემებს არგუნა.

კი მაგრამ მაშინ მსხვილი საერობო ერთეულები ან და როგორც ჩვენ უწოდებთ სამაზრო ერობები, რისი და მაქნისი არიან? ისმის საკითხი; იმათაც ხომ ასეთი ფუნქციები ახასიათებთ?

მართალია იმათაც უმთავრესათ ესა და სხვა ასეთი ფუნქციები ახასიათებთ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, უფრო დიდი, საერთო მასშტაბით; ამას გარდა სამაზრო ერობებს უმთავრესათ დაკისრებული აქვთ საერთო ხელმძღვანელობა სასოფლო საქმეებისა მაზრაში, და ერთნაირის მზრუნველობით გაუმჯობესება სასოფლო ცხოვრებისა. ამავე დროს არ უნდა იქნას დავიწყებული ის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია მდებარეობით სხვა და სხვანაირია, ხშირათ სოფლებიც კი არ გვანან მდებარეობით ერთმანეთს, რისი შედეგიცაა ის, რომ სოფლები ერთმანეთისაგან ხშირათ განსხვავდებიან ზნე ჩვეულებით, ხასიათით, კულტურით და ლაპარაკის კილოთიც კი და სხვ. ასეთი თვისებებით, არსებობს რა ასეთი განსხვავება, მაშინ არსებობს განსხვავებაც ცხოვრების მოთხოვნილებათ და სოფლის საქროებაც ადგილობრივ პირობების მიხედვით სხვა და სხვა ნაირია, რისი დაწვრილებით გათვალისწინება და შესწავლაა საჭირო, რაც სამაზრო ერობას ყოველთვის და საგსებით არ ძალუძს. ამას შესძლებენ მხოლოდ ადგილობრივი მკვიდრნი, რომელნიც ყველაფერს დაწვრილებით აწონ დაწონიან და შეკადგ შესაფერს მსგვლელობას მისცემენ. ამიტომაც წვრილი ერთეული, სადაც შეკრებილია რამდენიმე ერთ ცხოვრების პირობებში მყოფი სოფელი მიზან შეწონილია და აუცილებელიც.

დემოკრატიულ რესპუბლიკაში წვრილი საერობო ერთეულების არსებობა მეორე მხრივაც არის აუცილებელი საჭირო. წვრილი ერთეულების არსებობით ხალხი თვითონ უახლოვდება სახელმწიფოს მმარ-

თველობის საქმეს და თვითონ ხდება აქტიური სახელმწიფო მოღვაწე, სახელმწიფოს მმართველი.

წვრილი ერთეულების არსებობას ხალხისთვის აღმზრდელობითი მნიშვნელობაცა აქვს. ხალხი ეჩვევა თვით მოქმედებას, საზოგადოებრივ ცხოვრებას, უვითარდება ნების ყოფა, საზოგადოებრივი ინსტიქტი, ეჩვევა კოლექციურ მუშაობას და იგნებს თავისუფლებობას და სხ.

ამნაირათ წვრილი საეროებო ერთეულები წმინდა სახალხო და ამავე დროს სახელმწიფო მნიშვნელობის ორგანიზაციები არიან, რომელთაც უაღრესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაცა აქვთ, რომელთა მიზანია სასოფლო საქმეების მოწყობა ადგილობრივ, ადგილობრივ მკვიდრთა საშუალებით, ადგილობრივ პირობების მიხედვით.

ასეთია წვრილი ერთეულების მნიშვნელობა და ამ მიზნითაც იქმნენ ისინი მოწყობილი ჩვენში.

წვრილ ერთეულებს ჩვენში ერთი წლის ისტორია ძლივს-თუ აქვს, ასე, რომ ჯერ-ჯერობით ჩამოყალიბების პროცესს ძლივს და თუ არიან გაცილებული, მაგრამ საერთო წარმოდგენა ჩვენ მაინც შეგვიძლია ვიქონიოთ მათზე, ამიტომაც ზედ მეტად არ მიგვაჩნია გაკვრით შევებოთ მასაც.

ამ თვალთსაზრით თუ განვიხილავთ, ჩვენი თემების მოღვაწეობას შევამჩნევთ, რომ დიდი უმრავლესობა საქიანობის მხრივ მოიკოკლებს. ამის ერთი უდიდესი მიზეზია ის, რომ თანამედროვე სოფელი დღეს დაცალიერებულია კულტურულ ძალებით, ინტელგენცია სოფელს გაურბის და ქალაქს ეტანება, ჩვენი სახელმწიფოც ეროვნულათ გაუვითცნობიერებულ ძალებს საჭიროებს და ამის გამოც ყველა ეს სოფლიდან ლტოლვილი ინტელგენტებიც პოულობენ შესაფერ საქმეებს. უსაქმოთ დარჩენილნიც ქალაქისკენ მიიწევენ მომავლის იმედით. მის გაპო სოფლათ თემებს ხელმძღვანელებათ ჰყავთ ისეთი პირები, რომელთაც ძალიან ხშირათ ელემენტარული წარმოდგენაც არა აქვთ ერობაზე, რა თქმა უნდა ასეთი პირები დაწესებულებას სათანადო კალაპოტში ვერ ჩააყენებენ, მით უმეტეს ახლა, როდესაც ერობა ჩვენში ახალი ხილია და ობიექტიური პირობებიც ძალზე უშლიან ხელს მის ნორმალურ მოქმედებას.

ამას გარდა თემების უფლებრივი მდგომარეობაც, როგორც საშაზრო ერობებისა, ჯერაც არ არის გამორკვეული, და სათანადო დაწესებულების მიერ დამტკიცებული, რისი შედეგიც არის ის, რომ ხში-

რათ ისეთ საქმეებში ერევიან, რომელიც მათ კომპენტენციაში არ შედის, მაგალითად სასამართლოს საქმეებში ან და მათ სხვა და სხვა დაწესებულებებში ისეთ საქმეებს აკეთებინებენ, რომელიც თემებს არ ეკუთვნის. ეს არა ნორმალური მდგომარეობა კი ქმნის გაუგებრობას და საქმეც ფერხდება.

ჩვენ დაწვრილებით არ აღვნიშნავთ ყველა იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც დღეს ჩვენს წვრილ ერთეულებს ახასიათებს, გინაიდან ყველა ეს ნაკლოვანებანი უმთავრესათ წარმოსდგებიან ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ მაზგზთაგან და რაც აქედან არ არის წარმომდგარი იმათი გასწორება მომავალში მოხდება; ჯერ-ჯერობით კი თუ ვერ მოხდა ამის მიზეზია ის, რომ ჩვენი თემები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესს ძლივს-და არიან გაცილებული. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ, თუ გვინდა ჩვენი თემები თავის დანიშნულების სიმალლეზე იღვენ, ამისთვის საჭიროა მათი უფლებრივი მდგომარეობის გამორკვევა და მეორეც ისეთი პირები, რომელნიც უფლებებს უნაკლოდ დაიცავენ და გაატარებენ ცხოვრებაში. ეს საჭიროა ჩვენი ხალხის უმრავლესობის კეთილდღეობისათვის, ეს საჭიროა თვით ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ჩალხის ნორმალურათ ტრიალისათვის.

უდავო ქვეშარიტებაა: „თუ საძირკველი დანგრეულია მაშინ კედლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“.

სერ. გერსამია.

მეფუტკრეობა და ერობა.

ჩვენ (ქართველებს) არ გვაქს შაქრის საკუთარი წარმოება; შაქარს გვაძლევდა რუსეთი. დღეს ეს წარმოება იქაც თითქმის გაქრალია. იყო ცდა ჩვენშიაც შემოეღოთ საშაქრე ქარხალის თესვა და დაეარსებინათ შაქრის ქარხანა, მაგრამ თუ როდის ველირსებით ეგ ჯერ კიდევ არ ვიცით. უშაქრობა კი მეტის-მეტად მწვავე საკითხია, ქართველები უკვე მიჩვივნენ მის ხმარებას და ვერც აღვილად დასთმობენ უმისობას. მაშ რავქნათ? პასუხი მოკლე და მარტივია: შაქრის მაგივრად ვიხმაროთ, თაფლი, შაქარზე ბევრათ უკეთესი და მარგებელი, რომლის შეახებ ძველი მწერლობა ადასტურებს „ყოველთა სწეულებათა კურნება ამას შარბათისაგან (ე. ი. თაფლისაგან) იქნეს.“

თაფლის სამკურნალო მნიშვნელობა სწამდათ ძველ „ჯანაოზ“ ექიმებს, უთაფლოდ არც ჯანაოზ ექიმები და არც სოფლელი ექიმები არც ერთ „ბანგის“ წამალს არ შეამზადებდენ. თაფლი როგორც სამკურნალო სიტკბო იწამა ახალი დროის საექიმო მეცნიერებამ და ძლიერ ბევრი ექიმი ზოგიერთ ავადმყოფს უწერს თაფლს როგორც წამალს. ყმაწვილობის ასაკში თაფლის ხმარება მისწრებათ ითვლება, რადგან ავტორიტეტული აზრით თაფლის ჭკობით ყმაწვალები ჯანმრთელდებიან, სიცოცხლის ხალისი ემატებათ, იგივე თაფლი ყრუებს იფარავს გადამდები სენისაგან (ხუნაგი, ქუნთრუშა, ყელჭრება, საყმაწვილო და სხ.) რადგან თაფლს აქვს სადენზიფიკაციო თვისებაც. თაფლის ჭკობისაგან მოხუცს ემატება ენერჯია. პიფაგორი თავის ღრმა მოხუცებას აწერდა თაფლის ჭკობას. ასევე დიდებით იხსენიებს თაფლს ბრძენი არისტოტელიც. ქართველებიც ძველ დროს დად პატივს სცემდნენ ფუტკარს და მის მიერ შემზადებულ თაფლს. ჩაიში შაქრის მაგიერობა თამამად შეუძლია გასწიოს თაფლმა, თაფლიდანვე მზადდება მრავალგვარი ნამცხვარ ტკბილეულობა. თაფლი არ ევარგებს შაქრის მაგიერად ღვინის შესაზავებლად, მაგრამ სამაგიეროთ თვით თაფლისაგან მზადდება საუცხოო და ღვინოზე მეტად სახალისო, ყუათიანი და შესარგისი სასმელები: ღვინო, არაყი („სანთლის“), ლუდი, კვასი და სხ.

შაქრის წარმოება ითხოვს აუარება მინდორს, საყანო საჭირახუნლო ადგილს, ითხოვს ქარხანას, დიდძალ ინვენტარს და მრავალ მუშას, შაქრის დამუშავება არ არის სახალისო, მუშას აავთმყოფებს. თაფლით მრეწველობა კი არ აცდენს სანაყოფო მიწას. მეფუტკრეობა მებაღეობა — მებოსტნეობის ნაყოფიერებას ხელს უწყობს, მეფუტკრეობა არის სახალისო, მეფუტკრე მეუდამ სუფთა ჰაერზეა, მაშასადამე მეუდამ ჯანმრთელად არის და აკი ამიტომაც შენიშნულია, რომ მეფუტკრეები ღრმა მოხუცებადღე არ კვდებიან — ბევრს ცოცხლობენ. მეფუტკრეობა მეფუტკრეს აკეთილშობილებს, ზნეობრივად აფაქიზებს.

ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ ჩვენში საფუტკრე ადგილი აუარება არის, როგორც იმერეთში ისე ამერეთშიაც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ თუ რაციონალურ მეფუტკრეობას მოეკიდებთ ხელს საქართველოს თამამად შეუძლია თაფლით დააკმაყოფილოს არამც თუ შინაური მოთხოვნილება, არამედ გადაგვრჩება საზღვარ გარეთ გასატანიც კი. მეფუტკრეობაში მიღებულია შემდეგი წესი: იმ ადგილას საცა პრიმიტიულ სკებში პრიმიტიული მოვლით

სხვა იძლევა 10 გირ. იმ ადგილას რაციონალური მოვლით შეიძლება შივილოთ ერთი ფუთი. ასეთი ადგილები, ვომეორებ, ჩვენში ბევრია. თვით ქ. რფილისში, ელისაბედის ქუჩაზე წელს ბ. მაღალაშვილს თითო სკამ მისცა სამ ფუთამდე წმინდა თაფლი. ამის შემდეგ რა გასაკვირი იქნება თუ სოფლად. ლალი ბუნების წიაღში, ქოჩორა მთის პირად, ან ყვავილებით მოზიბინე მინდორ-ველად ერთმა ძირმა სკამ 4 ფუთიც მოგვცეს. სამრეწველო საფუტკრის აღორძინებას სხვათა შორის ისიც უწყობს ხელს, რომ ჩვენში დიდებულად მოეწყობა ფუტკრის მთაბარობა (Каховка), რომლის წყალობით ფუტკარი ერთ და იმავე ყვავილის ღალას სხვა და სხვა ადგილას მიიღებს 2, 3 და 4 ჯერაც.

ყოველივე თქმულის შემდეგ ნათელია, რომ ჩვენ ურისკოთ შეგვიძლია მეფუტკრეობის დაწყება, ამისი მოგვარება კი ერობის საქმეა. ახლა ორიოდ მოსაზრება თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს სასურველი საქმე. ყოველის უწინარეს ან მთავრობამ ან ერობათა კავშირმა თავს უნდა იღვას ერთი დიდი და ყოველის მხრით მოწყობილი საფუტკრის დაარსება, აქვე უნდა იყოს დიდი სახელოსნო — სადურგლო. ეს საფუტკრე იქნება პრაქტიკული სასწავლებელი მეფუტკრეობის შესწავლის მსურველთათვის. ერობებმა კი არა ზოგიერთმა თემშიც კი ხსენებულ საფუტკრე — სახელოსნო სასწავლებელში უნდა გააგზავნოს სტიპენდიანტი, იმ პირობით, რომ მისი ხარჯით აღზრდილი მისსავე კუთხე-მიდამოს დაუბრუნდეს, აქ კი ერობამ თუ თემმა უნდა აღმოუჩინოს სესხათ თუ სხვა სახით დახმარება, რომ მან მაშინვე შესძლოს საქმის (მეფუტკრეობის) დაწყება. მეფუტკრეობა ყოველთვის და ყველგან უნდა დავაყენოთ პირდაპირ ვაჭაულ-სარფიან ნიადაგზე, როცა მცხოვრები თვალ და თვალ დარწმუნდება, რომ მისი მეზობელი ფუტკრის რაციონალური მოვლით ოქროებს იხზრიალებს ჯიბეში. 10 სკას მეტს თაფლს რჩება, ვიდრე ის 100. მაშინ ურწმუნოც დარწმუნდება და თვითაც მოჰკიდებს ხელს იმავე სარფიან მეფუტკრეობას. დამკრწმუნეთ ეს მეტი მიზან შეწონილი იქნება; ვიდრე ინსტრუქტორული წესი. ინსტრუქტორობა კარგია, მაგრამ არა ისე როგორც დღეს არის დაყენებული. ასეთ ინსტრუქტორებს ერთი რიგინათ დაყენებული საფუტკრე სჯობია. გარდა ამისა ერობამ და თემებმა ხელი უნდა შეუწყონ კოოპერატიულ საფუტკრეობის მოწყობას, სულ ადვილი საქმეა ერთი სოფლის, ერთი უბნის წვრილი მეფუტკრეობის გაერთიანება და ერთი კოოპერატიულ საფუტკრის გახსნა; კარგი იქნება თუ ამავე საქმეს იკის-

რებენ კოოპერატივთა კავშირები და პირდაპირ თუ გინდ მარტო ფულის შექმნის გულისათვის მოხერხებულ ადგილას გახსნიან სამრეწველო საფუტკრეებს. ცხადია, მე დარწმუნებული ვარ მთავრობა სამაგალითო, თუ სამრეწველო საფუტკრეების პატრონებს, კერძო იქნება ის თუ კოოპერატიული დახმარებას აღმოუჩენს, ეს დახმარება იქნება: საფუტკრე ადგილის დათმობა, ხე-ტყის (სკებისთვის) უფასოდან შეღავათით მიცემა და მთა-ბარობის დროს რკინის გზის იაფი ტარიფი, რაც ძველი მთავრობის დროსაც არსებობდა. ყოველივე ამის შემდეგ 4-5 წელიწადში ჩვენი მდიდარი საქართველოს კუთხეები მოფენილი იქნება სამრეწველო საფუტკრეებით და სულ ადრე გავვიმრავლდებიან პრაქტიკული მეფუტკრეები—გვექნება ჩვენივე თაფლი—„ყოველ სნეულებათა მკურნალი.“

აპ. წულაძე.

ერობა და საფუტო გადასახადი.

1919 წ. 31 მკათათვეს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო, როგორც ვიცით, დეკრეტი საფუტო გადასახადის შესახებ¹⁾. ამ დეკრეტის 1-ლი მუხლის შენიშვნა ანიჭებს ერობებს უფლებას ზოგიერთ პირობებში მთავრობის ნებართვით შემოიღოს საფუტო გადასახადი იმ ტვირთზე, რომელიც გაიზიდება მაზრიდან, ან შიგ შემოვა მაზრაში მდებარე (ქალაქ გარეთ) რკინის გზის სადგურების საშუალებით. აი რას ამბობს ეს შენიშვნა: საფუტო გადასახადის დაწესება უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება რკინის გზის სხვა (ქალაქ გარეშე მდებარე) სადგურებზედაც თუ ამის თაობაზედ სათანადო უუამდგომლობას აღძრავს ადგილობრივი ერობა და თუ მთავრობაც შესაძლებლად დაინახავს ამის ნებართვის მიცემას. (კურსივი ჩვენია).

ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარების დროს დაიბადა შემდეგი კი-

1) 1915 წ. კანონთა კრებული № 133. მთავარი დებულებანი დეკრეტის შემდეგია: ქალაქის თვითმართველობას (და მთავრობის ნებართვით ერობასაც) უფლება აქვს დააწესოს გადასახადი იმ ტვირთზე, რომელიც შემოდის ქალაქში, ან გადის იქიდან რკინის გზით; გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რკინის გზის ტარიფის 1 ფუტს და 1 ვერსზე ოცკეცს; გადასახადს 1/2 მიეცემა ერობას, რომლის ფარგალშია ქალაქი; გადასახადი უნდა აკრიფოს თვით სადგურმა; გადასახადი მოხმარდება მხოლოდ გზების და ხიდების შეკეთებას.

თხვები: 1) რამდენად დასაშვებია საზოგადოთ და რა პირობებში ეროზის მიერ (მთავრობის ნებართვით) საფუთო გადასახადის შემოღება; 2) აქვს თუ არა ერობას უფლება შემოიღოს ეს გადასახადი დამოუკიდებელივ იმ ქალაქისა, რომელიც მის ფარგალში არის და 3) რა ფორმალური პირობებია საჭირო, რომ ერობის შუამდგომლობა საფუთო გადასახადის შესახებ დაკმაყოფილებული იქნეს.

გავარჩიოთ ეს კითხვები.

I.

ტვირთი, რომელიც შემოდის რკინის გზით ქალაქში, ან გადის იქიდან, მინამ სადგურიდან სათანადო საწყობამდის მიაღწევს, ან საწყობიდან სადგურამდე მივა, იზიდება ქალაქის ქუჩებზე, ხიდებზე, სცვეთავს მათ და მოითხოვს ხარჯებს მის შესაკეთებლად. ამასთანავე გავლენას ახდენს ტვირთი მაზრის იმ გზებზე და ხიდებზე, რომლებითაც მიაქვთ (ან მოაქვთ) ტვირთი რკინის გზის სადგურისაკენ. რადგან სარკინისგზო ტვირთი ამრიგათ ბევრ შემთხვევებში აფუჭებს გზებს, როგორც ქალაქში, აგრეთვე მაზრაში და თვითმართველობებს არა აქვთ საკმაო სახსარი თავის მოვალეობათა შესასრულებლად, ბუნებრივად დაიბადა აზრი, რომ ამ გზების და ხიდების შეკეთების ხარჯი ამ ტვირთიდან ყოფილიყო აღებული. ჯერ კიდევ რუსის მთავრობის დროს 1910 წელში იყო დაწესებული კანონი²⁾, რომელიც ანიჭებდა ქალაქის თვითმართველობებს უფლებას საფუთო გადასახადი დაეწესებინათ იმ ტვირთზე, რომელიც რკინის გზით შემოვიდოდა, ან გავიდოდა ქალაქიდან. მაგრამ, როგორც ზიღბული იყო ძველი მთავრობის დროს, ამ უფლების სარგებლობაში თვითმართველობა არამც, თუ არ იყო თავისუფალი, პირიქით, შეზღუდული და დამოკიდებული მთავრობისაგან. უკანასკნელისაგან უნდა მიეღო მას ნებართვა ამ გადასახადის დაწესებისათვის. ამისათვის მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ჩვეულებრივი შემოსავლებით ვერ გაკეთდება (ან შეკეთდება) სადგურთან მიმავალი გზები. ამასთან სათანადო შუამდგომლობას უნდა გაეწვია მთელი რიგი ინსტანციებისა. ჩვენმა თვითმართველობებმაც მიმართეს შუამდგომლობით მთავრობას, რომელმაც 1919 წ., 8 აპრილს, მიანიჭა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის თვითმართველობისათვის საფუთო გადასახადის დაწესების ნებართვის გაცემა. დამფუძნებელი კრების თვითმარ

²⁾ საქალაქო დებულება, მ. 1361 და დანართი.

აველობის კომისიამ სამართლიანად მიაქცია. ყურადღება საფუთო გადასახადის შესახებ არსებულ წესების ნაკლებფასობას და თითონვე შემუშავა „დეკრეტი ადგილობრივ თვითმარეელობათა სასარგებლოდ დაწესებული საფუთო გადასახადისათვის მომქმედ კანონდებულებათა შეცვლისა და შეფსებისა“. აი რას ამბობს კომისიის განმარტებითი ბარათი: *) „კომისიამ საქიროდ სცნო საფუთო გადასახადის საკითხი კერძო სამინისტროს მოქმედების სფეროს გამოყოფიდა და საერთო კანონდებლობითი გზით მოგვარებულიყო, რომ საკითხი საქმის უფრო ვრცელის გათვალისწინებით გადაჭრილიყო და დანტერესებულ თვითმარეელობასაც ასცდენოდა ცალკე შუამდგომლობა, ზედმეტად ხარჯი და დროს დაკარგვა“.

კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი მიღებული იყო 1919 წ. ივლისის 31-ს.

ერობის გზების შესაკეთებლად საქირო სახსარს ეს დეკრეტი 2 საშუალებით აქლევს: 1) თანახმად მე 8 მ., ერობას მიეცემა მის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქის მიერ აღებული საფუთო გადასახადის $\frac{1}{3}$ და 2) ერობას შეუძლია თითონაც დააწესოს მთავრობის ნებართვით საფუთო გადასახადი იმ ტვირთზე, რომელიც შემოვა მაზრაში, ან გავა, მაზრიდან მასში მდებარე რკინის გზის სადგურის საშუალებით.

რისთვისა აქვს ერობას მიცემული მეორე საშუალებაც, არაა საკმაოდ პირველი (8 მ.)? დეკრეტის მე 8 მ. ძალით, ე. ი. ქალაქის შემოსავლის წილის სახით მნიშვნელოვან სახსარს მიიღებენ მართლ ის ერობები, რომელთა ფარგალში მსხვილი ქალაქებია მოთავსებული. მაგრამ რის მიიღებენ ამ მუხლით ის ერობები, მაგ., დუშეთის, სიღნაღის, თელავის და სხვა, რომელთა ფარგალში სულ არაა ქალაქი რკინის გზის სადგურით? ან პატარა ქალაქია? ცხადია, არაფერს, ან სრულიად უმნიშვნელო თანხას. იმ პრინციპის თანახმად კი, რომ რკინის გზის სადგურთან მიმავალი გზების შეკეთების ხარჯები უნდა ანაზღაურ ბულ იქნას ტვირთიდან, როკელიც აქ გზებით იზიდება, აქ ერობებმა უნდა მიიღონ ერთნაირი წვლილი.

ესრეთ შეუსაბამობას ამ აღნიშნულ შემთხვევებში, როგორც ჩანს, მიაქცია ყურადღება დაჟფუნებელ კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ. პირველად ადგილობრივი კომისიის პროექტში ერობების შესა-

*) საქმე დამფ. კრების კანცელარიისა, № 169—1919 წ.

ზემ მარტო ერთი დებულება იყო — წილის მიცემა ქალაქთა მიერ აღებული გადასახადიდან. მაგრამ თინანსიურმა კომისიამ, საცა გადავიდა ეს პროექტი, 16 ივლისს 1919 წ. დაადგინა¹⁾: გაუკეთდეს დეკრეტს შემდეგი შინიშვნა: მთავრობას უფლება ეძლევა განსაკუთრებულ შემთხვევებში, თანახმად ერობის შუამდგომლობისა, გააფრცვლოს ამ კანონის მოქმედება ერობათა თვითმართველობაზედაც. ამ შინიშვნამ მერე მიიღო ის სახე, რომელიც ეწაა არის (1-ლ მუხლის შინიშვნა) და რომელიც არსებითად არ განსხვავდება კომისიის მიერ მიღებულისაგან. უმთავრესი რედაქციული ცვლილება ის არის, რომ „განსაკუთრებულ შემთხვევების“ მაგივრათ დეკრეტში „უკიდურესი შემთხვევა“ არის ნახმარი. ამ შემთხვევებში, როგორც ვხედავთ, დატოვებულია მთავრობის ნებაართვა. ამ რაგათ, ჩვენის ფიქრით, დეკრეტის 1 მ. შინიშვნა გულისხმობს იმ შემთხვევებს, როცა მაზრიდან გადის რკინის გზის სადგურებიდან (ან შემოდის) ტვირთი, რომელიც ერობის გზებს და ხიდებს აფუჭებს და ამავე დროს ამ მაზრაში მდებარე ქალაქის მიერ ან სულ არ არის დაწესებული საფუთო გადასახადი, ან თუ დაწესებულია, ერობის წილი გაცილებით ნაკლებია იმ ხარჯებზე, რომელიც მას სჭირია სარკინისგზო ტვირთით გაფუჭებული გზების გასაკეთებლათ. ამისთანა შემთხვევებში ლოლიკურად დასაშვებია ერობის მიერ საფუთო გადასახადის დაწესება.

ზოგიერთნი შიშობენ²⁾, რომ საფუთო გადასახადის შემოღებით შეიქმნება აუტანელი მდგომარეობა, ძველი ფიოდალური წესები აღდგება: ტვირთი, მინამ მიღწევს დანიშნულებისამებრ, რამდენივეჯერ დაიბეგრება.

ჩვენ ეს შიში გადაჭეტებულად მიგვაჩნია. საფუთო გადასახადის რაოდენობა საშუალოთ არ აღემატება საქონლის ერთი ფუთის ფასის $\frac{1}{2}\%$. ზოგიერთ შემთხვევებში ეს გადასახადი სრულიადაც არ გადავირებს საქონელს. როგორც ცნობილია, სურსათის ფასი განისაზღვრება იმ უფრო ძვირ საქონლით, რომელიც მაინც საჭირო არის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. მაგ., პური მოდის ნაწილი ბარგით, ნაწილი ტვირთით, პირველი უფრო ძვირი ჯდება, მაგრამ მაინც იყიდება და მაშინ მეორე, უფრო იაფი, იყიდება პირველის კვალობაზე. ამ

¹⁾ დაბფ. კრებ. კანც. საქმე—საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ოქმები, ჟურნალი 16 ივლისისა 1919 წ.

²⁾ ავალიანი—საფუთო გადასახადი—„ერობა და ქალაქში“, № 20—1920 წ.

შემთხვევაში მეორის დაბეგრა საფუთო გადასახადით, როცა ამით მისი თვითღირებულება მაინც არ აიწევს ბარგით წაღებულ საქონელზე ზევით, არ ასწევს მის ფასს (ბარგის საქონელზე კი დეკრეტის ძალით არ დაიდება გადასახადი). ბევრ შემთხვევებში საქონელი იზიდება საზღვარგარეთ და თუ ის დაიბეგრა საფუთო გადასახადით და გაძვირდა, ამას გაღიხლის საზღვარგარეთელი მომხმარებელი და არა ჩვენ. ყველა ერობებმაც რომ შემოიღონ საფუთო გადასახადი, მაშინ საქონლის დაბეგრა მოხდება მარტო ორჯელ (სატრანზიტო არ იბეგრება), ე. ი. არ აღემატება 1%. დაბოლოს გზების გაკეთებისათვის საფუთო გადასახადი წარმოადგენს არა მარტო სახსარს, არამედ ერთნაირ მუჯლოუგუნს, რადგან, როცა ამ გადასახადისაგან შემოვა ფული, რომელიც სპეციალურად და მარტოდ მარტო გზების გასაკეთებლად არის დანიშნული, მეტი იმპულსი შეიქნება გზების გასაკეთებლად. შეიძლება აგრეთვე ზოგიერთმა სთქვას, რომ ამ გზით შემოსული ფული სულერთია საკმაო არ დარჩება გზების გასაკეთებლად, რომ იგი ბევრით უნდა გაკეთდეს, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ამ შემთხვევებშიაც ფულია საჭირო სხვა და სხვა მასალისათვის, ტექნიკისათვის და სხვა.

გზების გაკეთება იმისთანა პლიუსია, რომ კიდევაც რომ ამან გააძვიროს საქონელი 1%-ით, ეს არ უნდა გვაბრკოლებდეს ჩვენ. მით უმეტეს, რომ გზების შეკეთება, როგორც ფაქტორი საწარმოო ძალების განვითარებისა და ტრანსპორტის გაადვილებისა, წარმოადგენს სიძვირესთან მებრძოლ მოვლენას.

ამნაირათ ჩვენ ვფიქრობთ, რომ, როგორც იურიდიულ, აგრეთვე ფინანსიურ-ეკონომიურ, თვალსაზრისით, სრულიად დასაშვებია ერობათა მიერ საფუთო გადასახადის დაწესება ზემოხსენებულ შემთხვევებში და მოუწოდებთ ეროკავშირს გადასდგას მთავრობის წინაშე სათანადო ნაბიჯები, რათა გაიფანტოს ის უნდობლობითი ატმოსფერა, რომელიც, როგორც ჩვენ ვატყობთ, არსებობს მთავრობაში ერობის ამ უფლების შესახებ და რომელიც, როგორც ჩვენ ვცდილობდით გამოგვერკვია, არ არის საფუძვლიანი.

II.

როცა ერობათა შუამდგომლობამ საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ მიაღწია მთავრობის უწყებებს, იუსტიციის სამინისტრომ გამოსთქვა აზრი, რომ ერობებს არა აქვთ უფლება დააწესონ საფუთო

გადასახადი ქალაქისაგან დამოუკიდებლათ, მისი (სამინისტროს) აზრით ამ გადასახადის დაწესება მარტო ქალაქის უფლებას და ინიციატივას შეადგენს; გინდაც სადგური მაზრაში იმყოფებოდეს, ამ შექთხვევაში ერობამ მარტო შუამდგომლობა უნდა აღძრას, გადასახადის დაწესება და აკრფა კი ქალაქის საქმეა, რომელიც ამ რიგათ იღებს ამ გადასახადს და უწილადებს ერობას $\frac{1}{3}$ წილს.

რა საბუთებზე ეყრდნობა იუსტიციის სამინისტრო? 1) თუ ერობას ჰქონდა მინიჭებული საფუთო გადასახადის დაწესების უფლება, ეს კანონში გარკვეულად იქნებოდა აღნიშნული; 2) კანონის დედა აზრით, მარტო ქალაქის თვითმართველობაა ნაგულისხმევი და 3) შენიშვნაში არ არის ნათქვამი, რომ ერობა შუამდგომლობას აღძრავს საფუთო გადასახადის დაწესებაზე თავის სასარგებლოთ.

როგორც ეს მოსახლებანი, აკრეფვე საერთო დასკვნა იუსტიციის სამინისტროსი სრულიად არ ეთანხმება საფუთო გადასახადის დეკრეტის შინაარსს.

დეკრეტის 1-ლი მუხლის შენიშვნა ამბობს საფუთო გადასახადის დაწესებაზე მაზრაში მდებარე სადგურზე. მაზრაში მოქმედობს ერობა და როგორ შეუქლია ქალაქის თვითმართველობას უცხო ტერიტორიაზე დააწესოს რაიმე გადასახადი? ან რომელმა ქალაქმა უნდა დააწესოს, მაგალითად, გორის მაზრის სადგურ ქარელზე საფუთო გადასახადი— გორმა, ხაშურმა, სურამმა თუ ბორჯომმა? როგორ იქნება იმის თქმა, რომ ქალაქმა უნდა აკრიფოს თავის სასარგებლოდ მაზრაში რაიმე გადასახადი, როცა ამას კანონი არსად არ ამბობს? მერე, როგორც ჩვენ უკვე დაინახეთ, პირველად მართლაც ერობას სრულიად არ ჰქონდა მინიჭებული არაფიარირი უფლება და არაფიარირი მონაწილეობა საფუთო გადასახადის დაწესებაში, მაგრამ 16 ივლისს 1919 წ. დამფუძნებელ კრების საფინანსო კომისიამ იქონიჭ სპეციალურად ამ საკითხზე მსჯელობა და დაადგინა: დეკრეტს სპეციალური შენიშვნა, რომ ამ დეკრეტის მოქმედება ზოგიერთ შემთხვევებში ერობათა თვითმართველობაზედაც გავრცელდეს მთავრობის ნებართვით.

ეს კითხვა (აქვს თუ არა ერობას უფლება მთავრობის ნებართვით დააწესოს საფუთო გადასახადი მაზრაში მდებარე სადგურზე ქალაქისაგან დამოუკიდებლად) იუსტიციის მინისტრმა შეიტანა გადასაწყვეტად სენატში და უკანასკნელმა ნოემბრის 1-ს გადასწყვიტა ის დადებით, ე. ი. იცნო, რომ ერობას ეკუთვნის ამისთანა უფლება.

III.

რა ფორმალური პირობები უნდა შეასრულოს ერობამ, რომ მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქმნეს მთავრობისაგან?

1. **რა ხმის რაოდენობით** უნდა იქმნეს გამოტანილი დადგენილება ამის შესახებ? საერობო დებულებაში არის დაწვრილებითი წესები იმის შესახებ, რა ხმის რაოდენობაა საჭირო ერობის ხმოსანთა ყრილობის დადგენილებებისათვის საზოგადოთ¹⁾, იქვეა ჩამოთვლილი ის განსაკუთრებული შემთხვევები²⁾, როცა საჭიროა, რომ ყრილობას დაესწროს არა ნაკლები ნახევრისა და დადგენილება მიღებულ იქნას $\frac{2}{3}$ ხმებით. სპეციალური კანონით (№ 100—1919 წ.) დაწესებულია კვალიფიციური უმეტესობა უძრავ ქონების ჩამოსართმევად. საფუთო გადასახადის კანონში არაა დაწესებული, რომ ერობის შუამდგომლობა მთავრობის წინაშე საფუთო გადასახადის დაწესებაზე უნდა გამოტანილ იქმნეს კვალიფიციური უმეტესობით, ამიტომ საკმაო უბრალო უმეტესობა, დაწესებული ჩვეულებრივ დადგენილებებისათვის (ეს აზრია გამოთქმული სენატის განმარტებაშიც). დეკრეტის მე-6 მ., რომელიც აწესებს ქალაქის საბჭოს დადგენილებისათვის კვალიფიციურ უმეტესობას, აქ მოსატანი არაა, რადგან ქალაქის დადგენილება სულ სხვა ხასიათისაა—იგი საბოლოოა, იგი არაა შუამდგომლობა, მას სრულიადაც არა სჭირია მთავრობის დასტური. ამიტომ არ შეეფერება კანონს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნილება, რომელიც მან წარუდგინა ერობებს მათ შუამდგომლობის საპასუხოდ, რათა ეს შუამდგომლობა აღძრული იყოს ხმოსანების ყრილობის კვალიფიციურ უმეტესობით.

2. **შინაარსი დადგენილებისა.** დადგენილებაში საჭიროა აღინიშნოს: 1) რა საქონელს ადებს ყრილობა გადასახადს; 2) გადასახადის რაოდენობა და 3) რა ვადით აწესებს ამ გადასახადს.

ერთ-ერთმა ერობამ არაფერი არ დააწესა გადასახადის რაოდენობაზე და სამინისტროს შეკითხვის პასუხად ამ კიბხვაზე უპასუხა, რომ იგი არავითარ განსაკუთრებულ რაოდენობას არ აწესებს, არამედ კანონში აღნიშნულით კმაყოფილდება. აქ პატარა გაუგებრობაა ამ ერობის მხრივ. კანონში არაა დაწესებული გადასახადის რაოდენობა, კანონში მართლ მაქსიმუმია აღნიშნული, რის ზევით ერობას არ შეუძ-

1) Попож. о земск. учрежд.—125, 128.

2) იქვე—13 გ.

ლია დაწესოს გადასახადი. ამიტომ საჭიროა გარკვევით თქმა დადგენილებაში ამ გადასახადის რაოდენობის შესახებ.

ერთ-ერთმა ერობამ დაადგინა დაწესდეს ფუთზე შაური. ამ ფორმით რაოდენობის გამორკვევა ჩვენ მიზანშეუწონლათ მიგვაჩნია. კურსი დრო გამოშვებით ეცემა და საჭიროა მას სდიო, თუ არ გინდა, რომ ჩამორჩე ცხოვრებას. ამიტომ სჯობია გადასახადის რაოდენობა დაუკავშიროთ რკინის გზის ტარიფს! როგორც ეს მოაზერხებულად გამოყვანილია კანონში. დაწესდეს, მაგ., ორკეცი, ათკეცი ან მაქსიმუმი—ოცკეცი რკინის გზის სატარიფო გადასახადისა, რომელიც აძლევს ვერსზე დაბეგრულ საქონლის თითო ფუთს.

3. ვადის შესახებ ჩვეულებრივ ერობები არაფერს ამბობენ. ეს სწორე არაა. საზოგადოთ ერობის დადგენილებაში ამა თუ იმ გადასახადის შესახებ ვადა ინიშნება. ამ შემთხვევაში არის კიდევ ერთი გარემოება, როგორც ავალებს ვადის აღნიშვნას. საფუთო გადასახადი უნდა მოხმარდეს გზების და ხიდების შეკეთებას და გაკეთებას, მაშასადამე, უნდა აიკრიფოს იმდენი, რამდენიც საჭიროა ამ მიზნისათვის, ე. ი. იმ დრომდე, მინამ აიკრიფება საჭირო თანხა. თუ, მაგ., გზების გასაკეთებლად ან შესაკეთებლად საჭიროა 10 მილ. მანეთი და წელიწადში საფუთო გადასახადისაგან 2 მილიონი მან. შემოსავალია მოსალოდნელი, მაშინ იგი დაწესდეს 5 წლით, თუ მოსალოდნელია მარტო 1 მილიონი—10 წლით და სხვ.

ვადის განსაზღვრას ის იურიდიული მნიშვნელობა აქვს, რომ როცა დაწესებული ვადა გაივლის, მაშინ საჭიროა ახლო ნებართვის აღება მთავრობისაგან. რასაკვირველია, ვადის გამოანჯარიშება ხარჯების და შემოსავლის ვარაუდზე ეხლანდელ დროში ძალიან დაახლოვებითი და პრობლემატიური იქნება.

4. რა საბუთები უნდა იქნეს წარდგენილი დადგენილებასთან ერთად ნებართვის მისაღებად? ამ მხრივ საყურადღებოა ფინანსთა მინისტრის საბჭოს დადგენილება 1920 წ. 28 თებერვალს მიღებული და 10 მარტს დამტკიცებული. აი მოკლე შინაარსი ამ დადგენილებისა.

საბჭომ მიიღო რა მხედველობაში, რომ თანახმად 11 მკათათვის დეკრეტისა და საოქალაქო დებულების 136¹ მუხლისა, საფუთო გადასახადის დაწესება შეიძლება მარტო იმ შემთხვევაში, როცა ერობას არა ჰყოფნის მისი ჩვეულებრივი შემოსავალი და რომ გადასახადი უნდა დაიხარჯოს მხოლოდ გზების და ხიდების გაკეთებაზე, ადგენს: ერობათა

შუამდგომლობას უნდა თანდართული ჰქონდეს ცნობები და საბუთები იმაზე, თუ: ა) რა და რა გზაზე და რა სამუშაო უნდა გაკეთდეს; ბ) დაახლოვებითი ღირებულება ამ მუშაობისა, დასაბუთებული შეძლებისდაგვარად სათანადო ხარჯთაღრიცხვით; გ) როგორია ერობის ფინანსიური მდგომარეობა — „რამდენი შემოსავალი აქვს, რამდენი გასავალი, ვალი, არსებული გადასახადების რაოდენობა და სხვა“ და გ) საფუთო გადასახადის ნაგარაუდფვი რაოდენობა, ვადა, საერთო თანხა, რომელსაც აქედან ერობა მოელის და საქონლის კატეგორიები, რომლის დაბეგვრას ფიქრობს ერობა.

ამ დადგენილებაში ზოგი დებულებანი მისაღებია და ვგუება დეკრეტის აზრს, მაკრამ ზოგი არა. პირველ ყოვლისა ჩვენ უარყოფით ვუყურებთ იმას, რომ ფინანსთა სამინისტრო საფუძვლად იხდის ძველ გაუქმებულ კანონს — 1910 წ. 3 მარტისას, რომელიც შევიდა ქალაქის დებულებაში 136¹ მ. სახით. ძველი კანონი იყო გაუქმებული სხვა სულით — ბიუროკრატიზმით და თვითმართველობათა მიმართ უნდობლობით, ახალი კიდევ სულ სხვა სულით — დახმარება თვითმართველობებს და გაადვილება მათთვის საფუთო გადასახადის დაწესებაში. ან რა ძალით ეფუძნებიან ამ 136¹ მუხლს და მის დანართს? იგი ხომ შეცვლილია ახალი კანონით. იმას ქალაქის თვითმართველობების მიმართ უკვე არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ახალი კანონია შემოღებული ნაცვლად (როგორც სწერია სათაურში) ძველისა ქალაქის უფლების (საფუთო გადასახადის დაწესებაში) შესახებ. ერობებს კი 136¹ მ. საქალაქო დებულებისა არას დროს არ ეხებოდა და, მაშასადამე, რა მოსატანია აქ.

რასაკვირველია, როცა ფინანსთა სამინისტრო ძველ ბიუროკრატიულ კანონს ემყარება ახალთან ერთად, იგი თხოულობს იმდენ მასალებს, რომ არც ერობას შეუძლია დანამდვილებით სთქვას, რამდენიც გინდა ეცადოს, — ყველა საჭირო მასალა წარუდგინა თუ არა მან მთავრობას. და მეორე მხრივ უწყებაშიც შეუძლიან ყოველ შემთხვევაში იპოვნონ, რომ ყველაფერი არაა წარმოდგენილი.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ ფინანსთა სამინისტრო სდევს იმ პრაქტიკას, რომელიც ნაკარანხევი იყო ძველ ბიუროკრატიულ კანონით. სრულიად უადმეტია ის დაწვრილებითი ტენიკური ხარჯთაღრიცხვები, ყოველმხრივი ცნობები ერობის ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ, რომელსაც თხოულობს სამინისტრო. ჩვენ წინააღმდეგი

არა ვართ იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს ჰქონდეს დაწვრილებითი ცნობები ამ საკითხზე და საზოგადოთ ერობის ფი ანსურ მდგომარეობაზე, პირიქით საჭიროა, რომ სამინისტროს ჰქონდეს ამომწურავი ცნობები ერობათა ფინანსების შესახებ, რისთვისაც კარგი იყო, რომ სამინისტრო თავ ს აგენტების საშუალებით ხშირ-ხშირად გასცნობოდა ერობათა და თემთა ფინანსიურ მოღვაწეობას, მაგრამ როცა დადგენილებაში ჩამოთვლილ აუარებელ მასალის, ისიც დამატებით „და სხვა ამისთანა“, მოთხოვნა დაკავშირებულია ნებართვის მიცემასთან საფუთო გადასახადის დაწესები, შესახებ, ჩვენ გვეშინია, რომ ნებართვის მიცემის მაგიერ დაიბადება კანცლიარული მიწერ-მოწერა.

მართლაც, რა საჭიროა აუარებელ მასალის თხოვნა და კანცელიარულ მიწერ-მოწერის გაჩაღება იმის გამოსარკვევად, საკმოდ აქვს თუ არა ერობას სახსარი გზების და ხიდების გააკეთებლად და შესაკეთებლად. ნუ თუ თანამდროვე სიძვირის ხანაში და თვითმართველობათა და თვით სახელმწიფოს მძიმე ფინანსიურ მდგომარეობაში ეს საკითხი უცნობია, ან სადავო? ვინ უშლის სამინისტროს მისცეს ნებართვა გინდ ერთი წლით და ახვე დროს, თუ კიდევაც სადაოდ მიაჩნია ერობის უსახსრობა, — მოსთხოვოს რა ცნობებიც უნდა, ან დაგზავნოს თავისი აგენტები აღვილობრივ ცნობების მისაღებათ და ერობის ფინანსებთან გასაცნობათ? თუ რომელიმე ერობა არ ას-ულებს თავის მოვალეობას და არ აწვდის ¹⁾ მთავრობას (შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალებით — 154 მ. საქრობო დებულეთისა) საჭირო ცნობებს, მაშინ მთავრობას უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს სათანადო პირი; სხვა იძულებითი საშუალება ამ ცნობების მისაღებათ, ისიც მუშაობის შემთხვევებელი სრულიად ზიდმეტია.

აგრეთვე რა საჭიროა დასაბუთებული ტენიკური ხარჯთაღრიცხვები, როცა გადასახადის შექოსავალი მართო გზების და ხიდების გაკეთებას უნდა მოხმარავს. ან ნუ თუ სამინისტროში აქვთ შეძლება, დრო და მასალა შეასწორონ ეს „სმეტები“?

ამრიგათ ჩვენ ვუიქრობთ, რომ თუ მთავრობა პრინციპიალურად სრულიად წინააღმდეგი არაა ერობის უფლების საფუთო გადასახადის დაწესების შესაებ, საჭიროა გამარტივებულ იქმნეს ის წესები, რომლის შესრულებას ის სავალდ-ბულოთ სთავლის ნებართვის მისაცემათ. ჩვენ მოვუწოდებთ ეროკავშირს ამ საკითხშიც გადასდგას სათანადო ნაბიჯები.

ლ. ასათიანი

1) ამას ჩივის ს. ავალიანი ზემოხსენებულ წერილში.

სასურსათო საქმის მდგომარეობა სიღნაღის მაზრაში 1920-1921 სას.-სამ. წელს.

(სტატისტიკური აღრიცხვა)

განვლილი—1919-1920 სას.-სამ. წელი საპურე მცენარეთა მოსავლიანობის მხრივ ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად სიღნაღის მაზრისთვის. თუმცა, როგორც ქვემოთ მოყვანილ მასალიდან დავინახავთ, მაზრის მთლიანი სურათი საპურე მარცვლეულობათა მოსავლის მიხედვით არ არის უნუგეშო და მაზრის, ასე ვსთქვათ, სასურსათო ბალანსი 1920-1921 სას.-სამ. წელს არ იქნება უარყოფითი, მაგრამ მიღებული შედეგები მოსავლისა ვერ არის სრული ანაზღაურება გაწეული შრომისა და ვერ იძლევა ჭირნახულის ისეთ რაოდენობას, როგორც უნდა მოეცა წლებანდელი ნათესების სივრცეს ჩვეულებრივ წლებში.

წინამდებარე აღრიცხვა დამყარებულია იმ ფაქტიურ მასალაზედ, რომელიც სიღნაღის სამაზრო ერობის სტატისტიკურ განყოფილების განკარგულებაში იმყოფება და იმ დაკვირვებებსა და გამოკვლევებზედ, რომელთაც იგივე განყოფილება პერიოდულად აწარმოებდა ორი წლის განმავლობაში მაზრის ფარგლებში.

I. 1920 წლის მოსავალი.

1. ნახნავ-ნათესების სივრცე. საანგარიშო წლის განმავლობაში საპურე მარცვლეულობათა ნათესების სივრცე გაფართოვდა 34,7% შედარებით 1918—1919 სას.-სამ. წელთან, ნათესების სივრცის გამოანგარშების დროს საფუძვლად აღებულია 1917 წ. ს.-ს. აღწერის ცნობები, იმ თანდათანობითი ზრდის მიხედვით, რომელიც ემჩნეოდა ნახნავების სივრცეს ხსენებული წლიდან მოყოლებული. არა ჩვეულებრივად გაფართოვდა ნათესების სივრცე 1918 და 1919 წლებში, როდესაც პიველად და მწვავედ იჩინა თავი სასურსათო კრიზისმა. ყოველი შესაძლებლობა იყო ნახმარი, რომ რაც შეიძლება მეტი ადგილი დამუშავებულიყო, ასე რომ 1919 წ. ნათესების სივრცე შედარებით 1917 წ. გაზრდილი იყო უკვე 151,9%. საანგარიშო წელსაც არ შეჩერებულა ეს პროცესი და მაზრის ტერიტორიის საერთო სივრცის თითქმის $\frac{1}{5}$ მოქცეული იყო საპურე მცენარეულობის ქვეშ.

ჩვენ ანგარიშში შედის მხოლოდ ოთხი უმთავრესი მარცვლეული — ხორბალი, სიმინდი, ქერი და ფეტვი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ

მარცვლეულთ, როგორც არის ჭვავი, შვრია—იგინი იმდენად მცირე რაოდენობით ითესება, რომ არავითარი მნიშვნელობა მაზრის ეკონომიურ ცხოვრებაში არა აქვთ და არც ანგარიშში ირიან მისაღებნი. პრველი ოთხი უმთავრესი მარცვლეულით კი 1919—20 წ. დათესილი იყო 98,912,52 დესეტინა. ეს უკანასკნელი რიცხვი მაზრის აგრონომიულ რაიონებისა და მარცვლეულთა კულტურის მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

დათესილი იყო სივრცე (დესეტინობით):

	ანეული ხორბლით	ახალ თესლი ხორბლით	ანეული ქერით	ახალ თესლი ქერით	სიმინდით	ფეტვით	ს უ ლ
ქიზიუში	28833,00	7616,27	7616,26	1088,04	5440,19	3808,13	54401,89
კახეთის მხარეს	10089,08	2690,42	672,61	168,15	2878,57	336,30	16815,11
უკანა მხარში	6033,45	4094,98	2136,51	534,13	4091,97	891,21	17804,25
გაღმა მხარში	2868,46	2571,73	98,91	98,91	4154,33	98,91	9 91,25
სრულიად მაზრ.	47843,99	16973,40	10524,29	1889,23	16518,06	5133,55	98912,52

შენიშვნა. ჩვენი ანგარიშისათვის მაზრა, ნაცვლად აღმინი-სტრატეულ ერთეულების—თემებისა, დავანაწილეთ მეურნეობის ხასიათის მიხედვით ოთხ ზემონაჩვენებ აგრონომიულ რაიონებად, რადგან ჯერ ერთი, რომ თემები, თვითფული ცალკე არ წარმოადგენენ სამეურნეო ერთეულებს და მეორეც, ჩვენი ანგარიშის მეტი სისწორისთვის მსხვილი რაიონების აღება უფრო ხელსაყრელი იყო. **ქიზიუის** რაიონში შეტანილია შემდეგი თემები: საჭობოსი, ჯუგაანის, ბოდბისხევის, ბოდბის, ზ. მაჩხაანის, ქ. მაჩხაანის, მირზაანის, ტიბაანის, დედოფლის წყაროსი და ქედის; **კახეთის მხრის** რაიონში — ვაქირის, ანაგის, კარდენახის, ბაკურციხის, გურჯაანის, ახაშნის და ველისციხის; **უკანა მხრის** რაიონში — კელმეჩურის, არაშენდის, კაჭრეთის, კაკაბეთის და მულანლოსი; **გაღმა მხრის** რაიონში — ვარდისუბნის, ლაგოდების, ბაისუბნის და ჭაბუკიანის.

2. მოსავლის დახასიათება და რაოდენობა ჭირნახულისა.

იმ მიზეზთა შორის, რომელთაც უარყოფითად იმოქმედეს მოსავლის აგ-კარგიანობაზე, აღსანიშნავია უმთავრესად: გამუდმებული წვიმები, საერთოდ ნესტიანი ზაფხული, ხშირი ღიავღვრები და სეტყვა. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ატმოსფერული პირობები წელს განსაკუთრებით არა ჩვეულებრივი და საზიანო იყო სიღნაღის მაზრისათვის და გა-

ნუზომელი იყო ის ზარალიც, რომელიც ამის გამო მაზრას მოუვიდა. აქ არ გამოუდგებით იმ შავი მასალის გარჩევას, რომელზედაც დამყარებულა ჩვენი დასკვნანი, მით უმეტეს, რომ სტიქიისაგან მიყენებული ზარალი დაწვრილებით გამოკვლეული და გამოქვეყნებულია ცალკე*). მოვიყვანთ მხოლოდ ამ მასალის მიხედვით საპურე მცენარეთა მოსავლის საერთო დახასიათებას; ნიშნებით გამოხატულს (ხუთ ხარისბიან სისტემით) შემდეგ ცხრილში:

	ანეული ხოზბალი	ახალ თესლი ხოზბალი	ანეული ქერი	ახალ თესლი ქერი	სიმინდი	ფეტვი
ქიზიყში	2,1	1,8	2,3	1,6	3,2	3,1
კახეთის მხარეს	1,7	2,4	2,3	2,7	3,3	3,0
უკანა მხარში	1,6	2,7	2,5	3,2	3,4	3,4
გალმა მხარში	2,3	3,0	2,6	2,7	3,7	1,5
მაზრაზედ.	1,9	2,4	2,4	2,4	3,3	3,0

რაგორც უკანასკნელ ცხრილიდან სჩანს წლევანდელი მოსავალი ჩვეულებრივ წლების მოსავალზედ ნაკლებია. მხოლოდ სიმინდის და ფეტვის მოსავალი რამდენიმედ აღემატება საშუალოს, ხოლო ჩვენი მაზრისთვის უმთავრესი კულტურის—ხოზბლის (შემოდგომის) ნიშანი კი ვერც კი აღწევს 2,0.

ასეთი დახასიათების შემდეგ ქირნახულის საშუალო გამოსავალიც ნუნულის რამელიძე ერთეულიდან (ამ შემთხვევაში—დესეტინიდან) გაცილებით ნაკლები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩვეულებრივ წლებში. ასეც არის. საშუალო გამოსავალი ქირნახულისა 1 დესეტინა ნახნავიდან მაზრაზედ გამოიხატება შემდეგ რაოდენობაში: ანეული ხოზბალი—38,0 ფ., ახალ თესლი ხოზბალი—46,4 ფ., ქერი—47,2 ფ., სიმინდი—57,5 ფ., ფეტვი—67,8 ფ.

ამის შედეგ, რაკი ვიცით ერთის მხრივ ნახნავ-ნათესების სივრცე და მეორე მხრივ—გამოსავლის საშუალო რაოდენობა დესეტინიდან, სათანადო გამოანგარიშების შემდეგ, ადვილად გავიგებთ ქირნახულის

*) იხ. ჟურ. „ერობა“, № 6,

მთელ რაოდენობასაც. აი თვით ციფრებიც: მოიკრიფა ქირნახული (ფუთობით):

	ხორბალი	ქერი	სიმინდი	ფეტვი	სულ
ქიზიყში	1.449.049	410.842	530.419	258.191	2.648.501
კახეთის მხარეს	508.220	39.684	278.711	22.801	849.416
უკანა მხარში	420.038	126.054	399.260	60.356	1.005.708
გაღმა მხარში	228.329	9.338	405.047	6.706	649.420
სრულიად მაზრ.	2.605.636	585.918	1.613.437	348.054	5.153.045

თუ შევადარებთ ამ ციფრებს წინა წლის ანალოგიურსავე ცნობებთან, აშკარა იქნება, თუ რამდენად დაბალი არის მოსავლიანობა წელს წინა წელთან შედარებით. მაშინ როდესაც, შარშან წათესების სივრცე 34,7% ნაკლები იყო ეხლანდელზედ, მიღებული ქირნახულის საერთო რაოდენობა მაშინ მაინც აღემატებოდა წლევანდელ რიცხვს (5396697 ფუთი).

II. მაზრის საჭიროებანი პურეულით.

მეორე და უმთავრესი საკითხი, რომელიც ბუნებრივად იბადება ზემო მოყვანილ მასალის შემდეგ, ის არის, თუ რამდენად დააკმაყოფილებს მიღებული ქირნახული მაზრის მოთხოვნილებებს და გადაარჩება თუ არა ზედმეტი რამ პურეული, რომელიც შეიძლება გატანილ იქნეს მაზრის ფარგლებიდან. სიღნაღის მაზრა და განსაკუთრებით კი მისი უმთავრესი ნაწილი—ქიზიყი ეს ის კუთხეა, რომელიც თითქმის ყოველთვის საკუთარი პურით იკვებებოდა და ხშირად რჩებოდა ზედმეტიც. თუ ასე იყო მახლობელ წარსულში, როდესაც ხალხს უკვე შეგნებული არ ჰქონდა, რომ საპურე მარცვლეულობის კულტურა იმდენად სახარბიელო საქმე არ იყო და დიდი ხალხით აღარ ეკიდებოდა მას. მით უმეტეს ასეთი ვითარება უნდა უფრო გაძლიერებულიყო უკანასკნელ წლების განმავლობაში, როდესაც საპურე მარცვლეულობის კულტურამ პირადად ბიძგითი ხასიათი მიიღო და სამწუხაროდ უნდა ითქვას, თითქმის სავსებით განდევნა მაზრის სასოფლო მეურნეობიდან მაღალკულტურის მცენარეთა წარმოება. საანგარიშო წელსაც, მიუხედავად იმისა, რომ მოსავალი საერთოდ დაბალი ხარისხისა იყო, მაინც რჩება

საკმარისი რაოდენობა პურეულისა ზედმეტად. მაზრის საჭიროებათა გამოანგარიშების დროს მრღებულია სათვალავში, გარდა მოსახლეობის მოხმარებისა, შინაური პირუტყვის საკვები და სათესლე მასალა, ხოლო საანგარიშო პერიოდად აღებულია ჩვეულებრივ სასოფო სამეურნეო წელი (თუმცა ჩვენში ახალი პური უფრო ადრე შემოდის ხსარებაში)

1. მოსახლეობის მოხმარება. მოსახლეობის საჭიროებათა გამოანგარიშებლად აღებულია ერთის მხრივ მაზრის და ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი და მეორე მხრივ მოხმარების წლიური საშუალო ნორმა ძვითველ მცხოვრებზედ, სოფლის მოსახლეობის რიცხვი უდრის—146.277 სულს, ქალაქის—17.000; ხოლო ნორმად აღებულა სულზედ 15 ფუთი წელიწადში სოფლის მცხოვრებთათვის და 12 ფუთი—ქალაქის მცხოვრებლებისთვის (მარცვლეულით). ამ ანგარიშით მაზრის საერთო მოთხოვნილება პურეულით გამოიხატება 2.398.155 ფუთში, საიდანაც 70% (1.678.708 ფ.) შეადგენს ხორბალი, ხოლო 30% (719.447 ფ.)—სიმინდი.

2. შინაური პირუტყვის საკვები. პირუტყვის რაოდენობა აღებულია უმათვრესად 1917 წ. ს.-ს აღწერის მასალებიდან. თუმცა ამ აღწერის ცნობები დროზედვე არ იყო არული და მით უმეტეს ეხლა უკვე მოიძველებენ, მაგრამ თუ მივიჩნებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ 1917 წლიდან, ომისა და რევოლიუციის ხანაში, პირუტყვის რიცხვმა შესამჩნევად იკლო, მაშინ ამ ორი მოვლენის შედეგები ერთი-ერთს შეავსებენ და აღებული ციფირები სინამდვილესთან ცოტად თუ ბევრად დაახლოვებულნი გამოვლენ. საკვების ნორმა თვითვეულ გვარ პირუტყვისთვის გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ საგანგებო შეკითხვებით მაზრის სათანადო ორგან ზაკიებისადმი და ადგილობრივი და თანამედროვე ცხოვრების პირობებთან შეფარდებით, რადგან საერთოდ მრღებული და ურყევი ნორმები ამ საკითხზედ ძნელად თუ მოიპოვება. ამ რიგად:

ქალაქის ცხენებისთვის საჭიროა ქერი თითოზე 60 ფუთის ანგარიშით წელიწადში—12.000 ფ. ქერი.

ვირებისთვის—4,5 ფ. სოფლის მუშა **ცხენებისთვის**—თითოზე 18 ფუთი. კვება ექნებათ 6 თვის განმავლობაში—95,148 ფ. ქერი. თითოს, 6 თვის განმავლობაში—6,399 ფუთი ქერი.

მსხვილფეხ რქოსან პირუტყვისთვის საჭიროა საკვები 4 თვის განმავლობაში სულზედ 12 ფ. ანგარიშით—393.204 ფ. (უკანასკნელ

რიცხვს შეადგენს სხვა და სხვა პროპორციით სამი მარცვლეული: 4¹/₈% ქერი—157.282 ფ., 35⁰/₁₀₀ ფეტვი—137.621 ფ. და 25⁰/₁₀₀ სიმინდი—98.301 ფუთი).

ლორებოსთვის საჭიროა სიმინდი 2 თვის გამავლობაში, სულზედ 6 ფ. ანგარიშით—83.526 ფ.

შინაური ფრინველებისათვის აღებულია 1¹/₈ ფ. თითო ფრთაზედ, რაიც შეადგენს—292.500 ფ. მარცვლეულს (ამ რიცხვში შედის 40⁰/₁₀₀ სიმინდი—117.000 ფ., 50⁰/₁₀₀ ფეტვი 146,250 ფ. და 10⁰/₁₀₀ ქერი—29.250; ხოლო ფრთოსან ფრინველთა რაოდენობა მიღებულია პირობით—10 ფრთა თითოეულ კომლზედ).

ამ რიგად ყველა აღნიშნულ გვარის შინაურ პირუტყვთა საკვებად საერთოდ მთელ მაზრაზედ საჭიროა 882.777 ფ. მარცვლეული (300.079 ფ. ქერი+298.827 ფ. სიმინდი+283.871 ფ. ფეტვი).

3. სათესლე. მომავალ სას.-სამ. წელში მაზრისთვის საჭირო სათესლე მასალის რაოდენობის გამოკვებისათვის პირველი ელემენტი, ე. ი. მოსალოდნელი ხნულის სივრცე პირობით მიღებულია იგივე, რაც იყო საანგარიშო წელში (იხ. 1 ცხრ.), იმ მოსაზრებით, რომ მომდევნო წელს თუ ხნულის სივრცემ არ მოიმატა, ყოველ შემთხვევაში, იმ ზომის მაინც დარჩება, როგორც იყო 1919—20 წ.; ხოლო მეორე ელემენტი, ე. ი. საშუალო რიცხვი 1 დესე ჩინისთვის საჭირო თესლის რაოდენობისა აღებულია კავკასიის ყოფილ საოლქო სასურსათო გამგეობის სტატისტიკურ განყოფილების მიერ გამოცემულ კრებულიდან (Средний высе́въ хлѣбовъ на 1 десятину, № 22).

ასე რომ ამ ანგარიშით საჭიროა სათესლედ: **ხორბალი** ანეულისთვის—464.087 ფ., ნაოშებისთვის—144.274 ფ. სულ 608.361 ფ. **ქერი**—ანეულისთვის—84.194 ფ., საგაზაფხულოდ—14.358 ფ. სულ 98.552 ფ. **სიმინდი**—28.132 ფ. და **ფეტვი**—9.240 ფ. ხოლო სრულიად სათესლედ საჭირო მარცვლეულის რაოდენობა შეადგენს—744.285 ფ

მაშასადამე, მაზრის საჭიროებანი პურეულოთ 1920—21 ს.-ს. წელს მთლიანად გამოიხატება შემდეგში:

მოსახლეობის მოსახპარად	2.398.155 ფ.
პირუტყვის საკვებად	882.777 ფ.
სათესლედ	744.285 ფ.

ს უ ლ . . 4.025.217 ფ.

როგორცა სჩანს 1920 წ. მოსავალი ხავესებით ჰფარავს მაზრის უმთავრეს მოთხ ბენილებებს და რჩება კიდევ ზედმეტი 1.127.828 ფ. (5.153.045—4.025.217) საპურე მარცვლეულობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქმნეს სხვა გვარ საქიროებათათვის.

დასასრულ, ნათელი წარმოდგენისათვის, მაზრის სასურსათო მდგომარეობის მთლიანი სურათი შეიძლება გამოვხატოთ შემდეგ ცხრილში (ფუთობით):

	მოიკრი- ფა ქირ- ნახული 1920 წ.	საქირო მაზრისთვის 1920—21 ს.-ს. წლის განმავლობაში				რჩება ზედმეტი
		მოსახლე- ობის გამო საკვებად	პირუტ- ყვის სა- კვებად	სათეს- ლედ	ს უ ლ	
ხორბალი .	2.605.636	1.678.708	—	60.8361	2.287.066	318.567
ქერი . . .	585.918	—	300.079	98.552	398.631	187.287
სიპინდი .	1.613.437	719.447	298.827	28.132	1.046.406	567.031
ფეტვი .	348.054	—	283.871	9.240	329.111	54.943
სულ .	5.153.045	2.398.155	882.777	744.285	4.025.217	1.127.827

მ. ყოჩიაშვილი.

შრომის დამსავალი კანონმდებლობა ეკროპის სა- ხალხშიფოეზში.

(დასასრული).

ასეთი თავგამოდებით მუშაობდა მოღვაწეთა ერთი რიგი შრომის დამცველ კანონმდებლობისათვის თვით ხალხში. მოღვაწეთა მეორე რიგი არა ნაკლები ვატაცებით იმავე კანონმდებლობას კომისიებში ამუშავებდა და პარლამენტში იცავდა. ამ მეორე რიგის მოღვაწეთა მეთაურად ტომას სადლერი ითვლებოდა. უკანასკნელს დიდი ეკონომიური განათლება ჰქონდა მიღებული. რამდენიმე ყოველ დღიურ გაზეთში მუშათა შრომის დამცველ კანონმდებლობის პრინციპების საქიროების და ატცილებლობას იცავდა მისი ინიციატივით წარმოებდ. თითქმის ყველა დიდ ქალაქში „სამუშაო დღის შემცირების“ კომიტეტები დაარსდა, როგორც კომიტეტები ისე ჟურნალ-გაზეთების დემოკრატიული მიმართულების ნაწილა ათი საათის სამუშაო დღისთვის მოძარაობას უდგენენ სათავეში და მშრომელთა ინტერესების დამცველ საქმი-

ანობას აწარმოებდნენ. ფაბრიკის კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ უფალმა ფარიკანტებმა მთელი განგაში ასტეხეს. მანჩესტერის ნაციონალური ეკონომიაც მათი ინტერესების დამცველად გამოვიდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

მეცნიერების იმ მიმართულებების მიმდევარნი და მომხრენი ძალიან ბევრნი მოლიბერალო ფაბრიკანტები იყვნენ. მიმართულების მეთაურნი ხომ კანონმდებლობის სასტაკ მოწინააღმდეგედ გამოვიდნენ.

მათი აზროვნება და ნება წარმოებაში ვისიმეს ჩარევას ვერ შერიგებოდნენ, წარმოების საქმე მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ საქმედ მიანდათ. წარმოების მეორე მხარე—საქმისათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი—მუშათა მხარე მათთვის არ არსებობდა. და აი ეხლა შრომის კანონმდებლობამ, რომ მათ მუშათა ინტერესები წაუყენა წინ—ფაბრიკანტები და მექარხნენი განრისხდნენ და ყოველნაირ ხერხს და საშუალებას მიმართეს. ზოგი მათგანი სასაცილო მდგომარეობაშიც კი ჩავარდა. სულელიური აზრი ან ნაბიჯი ვის არ გაამსახარავენ. მანჩესტერის ერთი ეკონომისტი—ნასსაუ სენიორი—ფაბრიკის კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ მთელ ქვეყანას აი რას ჟმტკიცებდა: „წარმოებაში კანონმდებლობის სახით ჩარევით მთლად მთელი წარმოება დაიღუპება. წარმოების პატრონის მოგებას მუშა სამუშაო დღის მხოლოდ უკანასკნელ საათში ჰქმნის და თუ სამუშაო დღე ერთი საათითაც კი შემცირდება—მაშინ მწარმოებელს მთლად მთელი მოგება დაეკარგება და თვით წარმოებაც მოისპობაო“. მწარმოებელთა დამცველნი ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაო პირობებსაც ეხებოდნენ და მუშებისათვის უარყოფითს რამეს ვერა პოულობდნენ, პირიქით ამტკიცებდნენ, რომ მუშებს არც სულიერ, არც ხორციელი მოთხოვნილებანი არა აქვთ განვითარებული და ის ცხოვრება, რაც მათ აქვთ სრულიად დამაკმაყოფილებელიაო.

გაჩაღებულ ბრძოლაში მუშათა კლასის ბანაკმა გაიმარჯვა. სიბართლედ და უფრო დიდი ძალა მუშების მხარეზედ იყო და გამარჯვებაც იმიტომ იმათ დარჩათ. კანონმდებლობის მოწინააღმდეგენი ერთს ლაპარაკობდნენ, ცხოვრება კი მათ მეორეს ეუბნებოდა და უმტკიცებდა. ზოგიერთმა შეგნებულმა მწარმოებელმა მუშებს სამუშაო დღე ერთს საათით თვითონვე შეუმცირა. წარმოება არამც თუ არ დაიღუპა პირიქით საქმე გაუმჯობესდა და მოგებამაც იმატა. შრომის ერთი საათით შემცირებამ მუშებს საშუალება მისცა მეტი დასვენათ. და მართლაც მეტი დროს დასვენებული პირუტყვი იქნება თუ ადამიანი—ხომ უფრო

მეტს შესძლებს და მეტს გააკეთებს ნაკლები დროც რომ იმუშაოს. ეს ანბანური ქეშპარიტება—ფაბრიკანტებისთვის გაუფებარ ფილოსოფიათა გადაიქცა. მაგრამ რას უზამ სიმართლის ქეშპარიტებას, მეტადრე მაშინ, როცა იგი ნათელია, როგორც კაშკაშა მზიანი დღის სინათლე...

ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის პირობებზედ წინადაც ბევრი საშინელება იყო თქმული და დაწერილი. მწარმოებელმა რომ კანონმდებლობის წინააღმდეგ გაილაშქროს—ერთის მხრით, მთავრობამ და მეორეს მხრით, პარლამენტმა რამდენიმე კომისია დაწინეს სინამდვილის გამოასარკვევად და ქეშპარიტების აღსადგენად. გაჩუმება ერჩივნათ უფალ ფაბრიკანტებს! ცხოვრების სინამდვილემ ყველას დაანახვა, თურა უსიკცხვილოდ სტყუოდნენ მწარმოებელნი, როცა თავიანთი მუშების ცხოვრებას პტყელ-პტყელ და ლაპაზ-ლაპაზი სიტყვებით აღწერდნენ. კომისიების მასალებმა მუშათა კლასის ცხოვრების დაუჯერებელი პირობები გამოაშკარავეს. წარმოების სიღუბჭარეს მშრომელი ხალხი როგორც სულიერ ისე ხორციელ გასაშენების გზაზედ დაეყენებინა. ოქმები დიდ წარმოების ქალაქებში მუშათა ცხოვრების სურათს ასე აღწერენ.

„დაბალი, ბნელი, ნოტიო ქოხმახები. მოუკირწყლავი, დახშლი, ვიწრო ქუჩები. მკლავებზე რომ გაშალოთ აქეთ იქით თათები სახლების კედლებს მიებჯინება. ისეთი სივიწროვეა, რომ ჰაერი არ არის საწყოფი ადამიანის სასუნთქავად. ცის კიდე მუდამ ფაბრიკა-ქარხნების ტრუბების კომლით, ქვარტლით და ორთქლით არის დაბურული და მოქურუშებული. ეს აუარსებს მდგომარეობას. ირგვლივ აუწერელი უსუფთაობა და ქუჭყია. ფუტკრის სკებივით გამოტენილ-მუშების ქოხმახებში სისუფთავის დაცვა შეუძლებელია. მუშები დღე ღამის თორმეტ საათს მახელოსნოებში და საქსოვ განყოფილებებში ატარებენ. ყველგან ცხოვრება აუტანელია, ზოგან ჰაერი ისეა გაბურებული, რომ ადამიანს სახეს სწვამს. ზოგან კი ჰაერი ისეა გაყენთილი და ბამბის პაწაწკინტელა მფრინავი ბენკებით, რომ ადამიანს სუნთქვა უძნელდება... ასეთ პირობებში ცხოვრება და მუშაობა ადამიანის ჯოჯობეთური დასჯაა!..

აი კიდევ ერთი დოკუმენტი მუშათა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი. დოკუმენტი 1832 წ. მომქმედი საგამომძიებლო კომისიის ოქმია. „ყველა მოწმეთა ჩვენებით ჩვენ დავსკვნით—აღნიშნავენ ოქმის შემდგენელნი—რომ მიიღეს სახელმწიფოში საფაბრიკო-საქარხნო ყველს

უმთავრეს დარგებში ბავშვები და დიდები თანაბრად ერთს და იმავე დროს მუშაობენ... მომუშავე ბავშვთა შორის ძალიან ბევრია ხუთი-ექვსი წლისა. ამათხედ უფრო მეტია შვიდი-რვა წლისა. ცხრა წლის მოზარდები ხომ ორთავე წინა ასაკების რიცხვს აღემატებიან. საცოდავი ჩვილი. უმანკო არსებანი მუშაობით იმდენად იქანცებიან, რომ საღაპოობით დაძინებისას ტანთსაცმელს ვერც კი იხდიან.

უვახშამოდ ისე უქმელები იძინებენ. პატარა მუშაკები ხელფებს, წელს და გვერდებს ძალიან ხშირად იტკიებენ. რაც უფრო ქორთები და სუსტები არიან პაწია მუშები მით უფრო ხშირია მათში ავადმყოფობა და დასნეულება. მძიმე მუშაობა ხომ საყოველთაოდ დონიდანა სკლის ნორჩ სხეულების პატრონთ. დიდი ხნის გადაჭარბებული მუშაობა ბავშვებს მარტო ფიზიკურად არ ასახიჩრებს. გონებრივდაც ბავშვები ძალიან გამოთაყვანებულები ხდებიან. სიმკვირცხლე, სიმაღხაზე მათ დიდიხანია დაუკარგავთ. უსიცოცხლო გამოშტერებული თვალებით საცოდავად გამოიციკირებიან. ყველას გულში მხოლოდ სიბრალულს უღვიძებენ. ასეთი ბავშვების სწავლა-აღზრდაზედ ფიქრიც კი ზედმეტად უნდა ჩაითვალოს. ჯერ დრო არა აქვთ საცოდავებს. და მერე მათი განვითარება, მათთვის სასარგებლო რამის შესწავლა, აღზრდა და ხასიათის შეცვლა პირდაპირ შეუძლებელია. ბავშვები უკიდურესად დაბეჩავებულები არიან. მათში გაყრულია ტვინი, აზრი, ფიქრი!!.

მუშაობით ბავშვების სხეულის დასახიჩრება იმდენად ხშირი იყო, რომ ფაბრიკის ინსპექტორი—ექაპი ბეკყერი სწერს— „ფაბრიკის შვირდებში ძალიან ბევრი მახინჯები არიან. ზოგს ხერხემალი მიღრეც-მოღრეცია, ზოგს ფეხი მოგრენია და ზოგს კი თავი გაბტყელებია.“

„გამრუდებული ფეხები“ ისე ხშირია ფაბრიკებში მომუშავე ბავშვთა შორის, რომ ისეთ ფეხებს მეტი სახელი „ფაბრიკის ფეხები“ დაარქვენ. არ მოიძებნება არც ერთი ოღჭი, არც ერთი ადგილი, სადაც ბავშვებს მოღრეცილი ფეხები არა ჰქონდეთ“.

ფაბრიკა-ქარხნების მუშების ჯანმრთელობაზედ ქ. ლიდსის ღარიბთა სახლის პირველი დოსტაქარი ს. სპიტტი სწერს— „1832 წ. მე ხშირად ქალაქის საფაბრიკო უბანში დავიარებოდი. შუადღისას მუშები ფაბრიკებიდან სასადილოდ რომ მიდიოდნენ კარგად შეიძლებოდა მათი ნახვაც და დათვარიელებაც.“

ჯანმრთელობის მხრივ საერთოდ მუშები გარეგნობით სამწუხარო სურათს წარმოადგენდნენ. უმეტესი მათგანი საშინლად გამხდარი, პირ-

დაპირ გაძვალტყავებული იყო. სახეები ზაფრანის ფრად ჩაყვითლებოდათ. შეხედულება მეტის მეტად დაღვრემილი და დაღონებული ჰქონდათ. ძალიან იშვიათად თუ ვისმეს სახე ღიმილით ან სიცილით გაუბრწყინდებოდა“.

თუ რაღენაუ დაქვეითებულნი და განუვითარებულნი იყვნენ „ფაბრიკის შაგირდები“ აი ამის დამამტკიცებელი საბუთები. ზოგიერთი ფაბრიკის შაგირდი შკოლაში დაიარებოდა. ღვთის მოყვარე ფაბრიკე-ქარხნების პატრონნი თავიანთ შკოლებში ბავშვებს საქმვრთო სჯულის მეტს არას ასწავლიდნენ. და მიუხედავად ამისა ერთად-ერთ ნასწავლ საგანში ბავშვები განსაცვიფრებელ უფილობას იჩენდნენ. „თერთმეტი წლის გოგოს, რომელმაც ჯერ ყოველდღიურ შკოლაში იარა და მერე საკვირაო შკოლაშიც დადიოდა არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა ცაზხედ, სამოთხეზხედ და სხვა უბრალო საგნებზედ. მეორე ბავშვი ხუთი წლის განმავლობაში საკვირაო შკოლაში დადიოდა, სადაც მხოლოდ სახარებას აკითხებდნენ. და აი ასეთმა ბავშვმა — ვინ იყო იესო ქრისტე-არ იცოდა, თუმცა კი ეს სახელი გაეგონა. მესამე ბავშვა ექვსი წელიწადი იარა საკვირაო შკოლაში და შეკითხვაზედ — თუ ვინ იყო იესო ქრისტე — „პასუხად იძლეოდა:“ იესო ქრისტე ღონდონის მეფე იყო“-ო. მუშათა ბანაკში, ერთის მხრივ, ასეთი სამწუხარო სურათი იყო. უკიდურესი სიღარბე, სიბეჩავე, სიბნელე და ყოველნაირი ავადმყოფობა მშრომელთა ყოფაცხოვრებაში გამეფებულიყვნენ. მეორეს მხრივ, საზოგადოების მეორე შეძლებულ ნაწილში სულ სხვა სურთი იყო. მათ ცხოვრებაში ფუფუნებას, ბედნიერებას, სუყველაფრის შემძლებლობას მხოლოდ და მხოლოდ ადგილი ჰქონდა...“

ამიტომ სრულიად მართალი იყო დიზრაელი, როცა შემდეგს ამბობდა: „მთელი საზოგადოება სულ სხვადა სხვა ხალხისაგან, ერთიერთმანეთისაგან მოწინააღმდეგე ერისაგან შესდგება. მათ შორის საერთო, ერთობ სასიამოვნო და ერთობ საგულისხმო არაფერია. მათ ერთმანეთის ფიქრები, გრძნობები და სურვილები ისე არ ესმით, როგორც სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს — ერთიერთმანეთის გონებისა არა გაეგებათ რა, როგორც სხვადასხვა ქვეყნების ხალხები სხვადასხვა წეს-აღათიფ, სხვადასხვა რჯულით და აღზრდით არიან ცხოვრებაში გამოსულნი და სხვადასხვა კანონებით ხელმძღვანელობენ — ისე საზოგადოების ის ორი ბანაკი ერთი-ერთმანეთისაგან განირჩევიან და ურთიერთისა საერთო არა აქვთ რა“-ო.

ა) ცხოვრების ეს უსამართლო წინააღმდეგობა იყო უმთავრესი მიზეზი, რომ შოომას დამცველი კანონმდებლობა რაც დრო გადიოდა შით უფრო მეტს თანაგრძნობას და მომხრეს იძენდა. თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიაში საფაბრიკო კანონმდებლობას თავისი დამცველები გაუჩნდნენ.

საერთოდ სამუშაო დღის შემოკლებისთვის მოძრაობის მეთაური სცდილობდნენ, რომ დაწყობილი მუშათა საქმე განკერძოებით რომელიმე პარტიის საკუთრებად არ გადაქცეულიყო.

მათი მისწრაფება იყო კანონმდებლობის საკითხი რაც შეიძლება ფართოდ დასახულიყო, რომ საქმეს ეროვნული ხასიათი მისცემოდა. რადიკალები, ჩარტისტები, ტორიელები და სხვა პარტიების წევრები პარლამენტში და კრებებზედ ძალიან ხშირად შეერთებულ, ხელჩართულ ბრძოლას აწარმოებდნენ, რომ მუშათა საქმე და სამუშაო დღის საკითხი შეთანხმებული ერთიანი ძალებით დაეცვათ.

ტორიელებს პარტიიდან სადღერის შემდეგ მუშათა კანონმდებლობის მოძრაობას ეშალი მეთაურობდა. ჟუკანასკნელმა თავის ენერგიით და მუშათა საქმისთვის თავდადებით პარტიულ ამხანაგებს სადღერს და ოსტლერს გადააჭარბა.

დიდი ღვაწლი დასდო მუშათა მოძრაობას საერთოდ ტორიელთა პარტიამ და კერძოდ იმ პარტიის დასახელებულმა სამმა წევრმა. ერთი მათგანი ოსტლერი პარტიული მოღვაწეობის დროს ძალიან დავალიანდა. ვალებს გულისთვის ციხეშიც კი დაიჭირეს. და მიუხედავად ყველაფრისა მისი დაუდგრომელი რევოლიუციონური ნება არ სცხრებოდა. ციხეში გაზეთ „Fleet Papers-სა“ სცემდა და მუშათა მოძრაობის გასაღრმავებლად აგიტაციას და მოღვაწეობას განაგრძობდა. ვიგების პარტიამაც მუშათა მოძრაობას რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე მისცა. გამოჩენილი ისტორიკოსი ტომას მაკოლგი ვიგების პარტიის წევრი იყო, რომელმაც პირველმა ათი საათის სამუშაო დღის სასარგებლოდ ხმა აღამალა და მუშათა საკითხის თავგამოდებული მებრძოლი გახდა.

ათი საათის სამუშაო დღისთვის აღწერილ ლეგალურ მოძრაობასთან შეხამებით იმავ საკითხისთვის ჩარტისტების პარტიის რევოლიუციონური მოძრაობა, თავისი გვზით და სიძლიერით ფარულად მომდინარეობდა.

მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიების მეთაურობით ასეთმა

ფართე და მძლავრმა მოძრაობამ დაბოლოს 1847 წ. აიძულა მთავრობა და პარლამენტში ათი საათის სამუშაო დღის კანონი გაიყვანა ჯერ-ჯერობით მხოლოდ მოზარდებისა და ქალებისათვის. ამ კანონსაც ბევრი მოწინააღმდეგე გაუჩნდა.

დღეონ ბრაიტი მაგალ. ამ კანონს ინგლისის მთელს კანონმდებლობაში ყველაზედ უვარგისად და საქმისათვის დამაზარალეზლად სთვლიდა. მაგრამ დასახელებული კანონით ჰაინც საფაბრიკო კანონმდებლობის მოწინააღმდეგეთა ძლიერი სიმაგრე საგრძნობლად დაზიანდა და მიუღვომელი ცხე-დარბაზის ხასიათი დაჰკარგა.

გავიდა დრო და საფაბრიკო კანონმდებლობის სარგებლობაში მალე ბევრი-თვით მოწინააღმდეგე ფაბრიკანტ-მექარხნეთა ბანაკიც დარწმუნდა. მეცხრაჰეტე საუკუნის მეორე ნახევარში შრომის დამცველმა კანონმდებლობამ ერთობ ყველგან წარმოების ყველა დიდ დარგებში გაიშარჯვა. კ. მარქსი საფაბრიკო კანონმდებლობის განვითარების შესახებ აღნიშნულ ხანაში აი რას სწერს: „1853—1860 წლებში შრომის დამცველი კანონმდებლობა შესამჩნევად განვითარდა. კანონმდებლობის განვითარების პროცესმა თავისთან შეხამებით მუშათა კლასის ფიზიკური და ზნეობრივი აღორძინება გამოიწვია. ამ ორი ისტორიული მოვლენის მჭიდრო კავშირი ისეთი ცხადი იყო, რომ სიბეცით ავადმყოფებისათვისაც კი აშკარა და ნათელი იყო. ნახევარ საუკუნის განმავლობაში წარმოებულმა მოქალაქეობრივმა ომმა შრომის ბატონობა და ხელმძღვანელობა ფაბრიკანტებს ხელიდან გამოაცალა. კანონმდებლობის მოწინააღმდეგე ფაბრიკანტებიც კი ეხლა ცხოვრების სინამდვილეშ სულ სხვანაირად ალაპარაკა. თვით ესენი ერთგვარი ბაქით-და კვენხით მიუთითებდნენ ეხლა იმ წინააღმდეგ მდგომარეობაზედ, რომელიც სუფევდა კანონმდებლობის ზეგავლენის ქვეშ მყოფ და ჯერჯერობით კანონს გარეშე დარჩენილ წარმოებათა შორის.

მიუთითებდნენ და ერთგვარი ფარისევლური ცბიერებით დასძენდნენ, რომ ახალი სამუშაო დღით შექმნილი მდგომარეობა მათი „მეცნიერების გამარჯვება-მონაპოვარიოა“.

1859 წ. ერთი საფაბრიკო ინსპექტორის მოხსენებაში შემდეგია აღნიშნული: „ათი საათის სამუშაო დღის კანონმა ყველა წარმოების მუშები ამოწყვეტას გადაარჩინა და მათ ფიზიკური შემძლებლობა შეუნარჩუნა“-ო.

1876 წ. პარლამენტმა კომისია დანიშნა იმის გამოსარკვევად თუ რა

შედეგი მოუტანა შრომის დამცველმა კანონმდებლობამ მუშათა კლასს და მთელ სახელმწიფო წარმოებას.

აი კომისიის ოქმიდან ამონაწერი: „ძველად წარმოებაში ბავშვები და ქალები უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ არა ერთმა და ორმა მათი მდგომარეობის გამოკვლევამ ყველანი დაარწმუნა, რომ გამეფებულ უკუღმართობას რაც შეიძლება ჩქარა ბოლო უნდა მოჰტებოდა. ეს ასეც მოხდა. სულ სხვაა დღეს. სინამდვილის სურათი სრულიად ეწინააღმდეგება ძველი დროის გამოკვლევების ვითარებას. მათი მდგომარეობა, ყოფა—ცხოვრება—ვისთვისაც გამოიცა საფაბრიკო და საქარხნო კანონმდებლობა—დღეს სულ სხვანაირია—ძველის წინააღმდეგი და სულ სხვა ფერისა. არიან მართალია გამონაკლისები. წარმოების ზოგიერთი დარგები და სახელოსნოები მიუხედავად კანონმდებლობის შოთხოვნილებისა—ძველებურად მუშათა ჯანმარტელობისათვის საფრთხეს წარმოადგენენ. ზოგან კიდევ კანონით განსაზღვრულ დროს კი არა მუშაობენ, არამედ კანონიერ სამუშაო ნორმას აჭარბებენ და მით მუშების სიცოცხლეს აზარალებენ... მაგრამ ყველა ეს და თანავგარი გამონაკლისები ძალიან მცირეა და შედარებით გაუმჯობესობასთან უმნიშვნელო. ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კანონმდებლობამ, რომელმაც ასე შესამაჩნევად გაამჯობესა მუშათა კლასის ჯანმრთელობა—სანიტარული მდგომარეობა—წარმოებას არამც თუ არავითარი ზიანი არ მოუტანა პირიქით წარმოების უკანასკნელი დროის პროგრესი—ჩვენ ვფიქრობთ—კანონმდებლობით შექმნილი მდგომარეობის შედეგი და ნაყოფია. ამასვე ამაობენ თვით ისინიც ვინც წინად კანონმდებლობას ურჩობდნენ და მოწინააღმდეგებოდნენ. დღეს ფაბრიკანტებ-მექარხნეთა შორის ერთი და ორი თუ მოიპოვება ისეთი, რომლებიც აქ ნათქვამას არ ეთანხმებოდნენ და კანონმდებლობის საწინააღმდეგოს ლაპარაკობდნენ“.

შრომის დამცველი კანონმდებლობა ინგლისში შემდეგშიც ვითარდებოდა და თანდათანობით ფართოვდებოდა. მაგალ. 1878, 1883, 1891, 1895 და შემდეგ წლებშიაც ახალ-ახალი კანონები წარებოდა და ცხოვრებაში გადადოდა.

დღეს დღეობით შრომა არც ერთ სახელმწიფოში ისე გარკვევით და ვრცელად არ არის დაცული კანონებით, როგორც „შრომის დამცველ—კანონმდებლობის აკვან—ინგლისში“.

ჩვენი აგრონომები და სოფელი.

ყოველი ცოდნა, გონებრივია თუ ტექნიკური, მით უფრო მალე ვრცელდება საზოგადოებაში, რამდენადაც ის მდაბიურია, ყველასათვის ხელ მისაწდომი—ადვილად გასაგები.

თუ მგოსანმა ისე უნდა აასხას თავისი ლექსი, რომ ხალხისათვის გასაგები იყოს, მით უმეტეს, ნასწავლი მეურნე სულ იმას უნდა ცდილობდეს, რომ თავისი ცოდნა სახალხოთ აქციოს—სოფელში გაავრცელოს.

ჩვენი სოფლის მეურნეობა ძალიან დაქვეითებული—პირველყოფილ მეურნეობის მავგარია. აგრეთვე ჩვენში ძალიან ცოტანი არიან ნასწავლი მეურნეები, თითებზე დაითვლი მათ, მაგრამ რომ ისინიც ძალზედ არ იყვნენ ხალხზედ დაშორებული, რომ ისინიც სოფლის ხალხში მუშაობდნენ, მაშინ ასე დაქვეითებული სოფლის მეურნეობა არ გვექნებოდა. ყოველი ცოდნის გასავრცელებლად საჭიროა შრომა—თავის დადება.

იმერეთში რომ განსვენებული სტაროსელსკი და გიორგი ჩივაძე არ ყოფილიყვენ, დღეს მევენახობა ასეთ კარგ საფეხურზე არ იქნებოდა ჩვენში. შორაპნის მაზრის გლეხობა სიამოვნებით იგონებს მათ სხელებს და მოღვაწეობას.

დღეს უფრო მწვავედ ვგრძნობთ მეურნეობის გაუმჯობესობა—აყვავების მოთხოვნილებას. და ეხლა უფრო, ვინემ ოდესმე, მართებთ შრომა, ხალხში ჩარევა, სოფელში აგრონომიული ცოდნის გავრცელება ჩვენ თანამემამულევე აგრონომებს. დღევანდელი ჩვენი ნორჩი ერობა და მთავრობაც ხომ მათი ხელის შემწყობი იქნება და შეძლებისა და გვარად დამხმარე.

ყველაზე უმთავრესი პირობა არის სოფლის ხალხში ჩარევა, მათთან დაძმობილება. მათი ყურადღების დამსახურება და სადაც მთავრობა ველარ შესძლებს დახმარებას, იქ ხალხი თვით დაეხმარება ყველას ვინც კი უკანასკნელის სასარგებლო საქმეს აკეთებს—მასთან თანამშრომლობს.

მართალია ამ ჟამად გვყვანან ეროპის აგრონომები—ინსტრუქტორები, მაგრამ უმეტესობას მათისას ხალხი ვერ იცნობს და უკანასკნელმა არც კი იცის თუ რა მოვალეობისთვის არიან დანიშნულნი ეს პირები მთავრობისგან.

სოფლის გლეხობა ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია წესიერად ახალი წესით მევენახეობის წარმოებას: შაბიამნით და გოგირდით ექიმობის მნი-

შენელობას და ექიმობის წესს, ბანჯგვლიანი ჭა ყოველ გაზაფხულზედ ანადგურებს სოფლის მამულებს; არ იციან როგორ გასხლან-გახივონ და სხვ. და სხვ...

ამ დროს ჩვენი აგრონომ-ინსტრუქტორები სოფელში არიან დანიშნული, მაგრამ უმეტესობა მათგანი მხოლოდ ჯა აგირს ღებულობს, დანიშნულია და „დანიშნული ქალივით“ კი არას აკეთებს სოფელში.

ჩვენი აგრონომ-ინსტრუქტორების უმეტესობას სოფლად პრაქტიკული შრომა არათ ებიტნავეათ. დიდ ქალაქებში ლექციების კითხვან თავმჯდომარეობა უფრო ეხერხებათ. რომლებიც მათგანი სოფელში არიან ისინიც წყრებიან: რატომ ჩვენც ქალაქში არ დაგვნიშნესო.

ჩინოვნიკური ტიპის მეურნეები უნდა უაზვყოთ ჩვენს რესპუბლიკაში. ჩვენ გვეჭირვება სტაროსელსკის და ზივადის ტიპის აგრონომები...

თუ ჩვენ სოფელში მანამდის მცფობდენ მძვდლები და დიაკვნები და მათი სოფლის ხალხში მოღვაწეობა გამოიხატებოდა საიქიოზე ოცნებით, დღეს მათი ადგილი უნდა დაიჭირონ ნაწველმა მღშა აგრონომებმა, რომლებიც შესძლებენ აზიარონ სოფლის ხალხი წმინდა მეცნიერული მეურნეობით, რის მეოხებითაც წინ წაიწვეს ჩვენი სოფელი — მთელი რესპუბლიკა. მოუთქენლად ველით ამ დროს!

ა. მეტრეველი.

უორკულ აღმოსავლეთის მოკლე აკონომიურ მი- მოხილვის გამო მიწაწერი.

ჩვენ წინა წერილში მხოლოდ გაკვირით მოვიხსენიეთ ისეთი დარგი წარმოებისა, როგორიც არის მეთევზეობა იაპონიისა. თუმცა ჩვენ მეთევზეობის შესახებ სტატისტიკური ცნობები არ მოგვეზოვება უკანასკნელ წლიებისა, მაგრამ უფრო უგვიანესი ცნობები გვეუხებიან, რომ მეთევზეობა იაპონიისათვის ერთი მნიშვნელოვანი წარმოებათაგანია და უკაცია უპირველესი ადგილი. თვით ხალხის გამოკვებაში თევზიულობას უჭირავს პირველი ადგილი. ხორცის ხპარება იაპონიაში ძალიან მცირეა რის მიზეზად სხვა და სხვა მწერლები ასახელებენ ოთხ ფხ — პიჩუტყვათ სიმცირეს და განსაკუთრებულ მიზეზს, რომელიც გამოიხატება მასში, რომ ყაბებს, პეტყვეებს და გარეულ პირუტყვეებზე მონადირე კლასს იაპონიის ერში უკანასკნელი ადგილი უჭირავთ. ისინი უფრო დაბლა

იდგნენ ვიდრე ბოგანი პროლეტარები (პარტიები). ასეთი სიძულვილი ამ კლასისადმი ბუნებრივად ხალხის ფსიხოლოგიაში თავის გამოძახილს პოულობდა და ხორცის ხმარების სიძულვილში გადადიოდა. უკანასკნელ ხანებში კი ევროპიულ კულტურის ზედგავლენის და მრწველობის განვითარების გამო ასეთი შეხედულებანი თან და თან ქრებიან, მაგრამ დაბალ კლასებში მაინც ჯერ ჯერობით ნიადაგი აქვთ.

მთავარ სანოვაგეს იაპონელ თათვის შეადგენს ბრინჯი და თევზეულობა. მეტეფეობას მისდევს საგრძნობი პროცენტი მცხოვრებთა და მით საზრდოობს რამოდენიმე მილიონი ხალხი. თვით ტოკიოშიც კი არსებობდა განსაკუთრებული დიდათ მოზრდილი ნაწილი ბაზრისა, სადაც თევზეულობის ვაჭრობაა გაჩაღებული. „ეს ნაწილია, ამბობენ მწერლები ყველაზედ უფრო ცოცხალი და მოძრავიაო.“ თევზებიდანვე აკეთებენ იაპონლენი განსაკუთრებულ „ტუშებს“ რომლითაც ანოციერებენ მიწას. თევზებიდანვე ხდიან სხვა და სხვა ზეთეულობას და ზღვის ცხოველების ეშვებისაგან აკეთებენ სხვა და სხვა ნივთებს სპილოს ძვლების დაგვარად.

განსაკუთრებული ამხანაგობები, კომპანიები თუ კერძო პირნი მისდევენ მეტეფეობას: დიდ ძალი ხომალდები დააპობენ და დასრძალებენ სახალინიდან, ფორმოზამდე კურილის კუნძულებთან და ოკეანეში სახალინის მთლიანად ხელში ჩაგდებად უფრო ასწია ეს დარგი წარმოებისა ზღვით და მას ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი მიაკუთვნა იაპონიის ეკონომიურ ცხოვრებაში.

ჩვენ ზევით ვწერდით თუ როგორ პირობებში უხდება იაპონიის მუშათა კლასს თავისი ძალის გაყიდვა: მოყვანილი გვქონდა თუ რა საფასურს ღებულობდა მუშა დღიურათ და რამდენ საათს მუშაობდა. ამას ზედ უნდა დაურთოთ ის, რომ ისეთი თვალსაჩინო სიღარიბე მცხოვრებთა ტანჯულ კლასისა, როგორიც იაპონიაშია, იშვიათია, რომ სადღე ევროპის კუთხეში მოიძებნოს. არსებობენ ქალაქებში მთელი ნაწილიები, რომელთაშიც მოკალათებულნი არიან ეს ცხოვრებით ტანჯული ადამიანები. ერთ მწე ალს, რომელსაც დაუვლია ასეთი კუთხეები ისეთი საშინელი ფერებით ასწერს მას, რომ ადამიანს უნებლიეთ შეაშფოთებს. „არსებობს კუთხე ბი, სადაც სპეციალურათ აგებულია შენობები, რომლის პატრონები ღამის გთვევაში ართმევენ ცხოვრებიდან გაწირულთ 1—1½ სენს. მთელი ქუჩები სიბინძურით არის სავსე. სდგას საშინელი მყარალი სუნნი. აქ თავი მოუყრიათ ცხოვრებისაგან გვეძულთ ლუმპენ პროლეტარებს, ტრადანტიკებს (მეძონძეებს). კუროუმებს და სხვათ.“

იგივე ავტორი ამბობს, რომ იაპონიაში უფრო ღიათ ვიდრე სხვაგან სადმე ნათლათ, სჩანს კლასთა დიფერენციაცია. ერთის მხრით სიმდიდრე მეორეს მხრით კი სრული სიღარიბე.

სამუშაო მიწის სიფიწროვე კიდევ უფრო ხელს უწყობს ასეთ გარემოებას. თუმცა იაპონიური ცდილობენ მიწის სიფიწროვე მისი სინტენსიფიკა კიით აინაზღაურონ და კიდევაც აღწევენ მიზანს მოსავლიანობის მხრივ, მაგრამ უმუშევარ კლასისათვის კი სასოფლო მეურნეობა ვერ იძლევა თვალ-საჩინო სამუშევარს, მით უმეტეს რომ მთავარ საფუძველს იაპონიის მიწათ-მფლობელობისას შეადგენს ძრეილი წვრილი მესაკუთრეობა. საკმაოდ მოზრდილ საკუთრებათ ითვლება $1-1\frac{1}{2}$ დესეტინა მიწა.

ამისათვის არის რომ მოუსავლობიანობის წელს, როდესაც ბრინჯის ფასი ოდნავათ მაინც აიწევდა, რასაც ბოლო ხანშიც ჰქონდა ადგილი. მთელი იაპონია ფეხზე დგება და მთავრობა, მუნიციპალიტეტები და სხვა დაწესებულებანი იძულებულნი არიან ყოველივე ღონე იხპარონ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მით უმეტეს, რომ ფასები სხვა სანოვაგე საქონლებზედ დამოკიდებულია უმთაგრესად ბრინჯის ფასზედ, რომელიც უპირველეს მოთხოვნილების საგანს წარმოადგენს იაპონელთა კვებაში.

ჩვენ ბევრი ციფრები შეგვეძლო მოგვეყვანა იაპონიის ეკონომიურ ცხოვრებიდან, მაგრამ ჯერ ამით გავათავებთ, მით უმეტეს რომ ჩვენს მიზანს შეადგენს მოკლე ეკონომიური მიმოხილვა. შემდეგ, როდესაც დრო და გარემოებანი ხელს შეგვიწყობენ, ჩვენ ამავე საგანს დაუბრუნდებით არა მარტო ფაქტების აღწახსვით, არამედ ფაქტების ისტორიულ წარსულში გაშლით, განმარტებით ამა თუ იმ მოვლენათა, როგორც სუბიექტიურთა, აგრეთვე ობიექტიურთა, რომელნიც იყვნენ მიზეზნი ანუ ხელს უწყობდნენ ანა თუ იმ ფაქტორის წარმოშობასა, მათ რეალურ ცხოვრებაში გაშლსა.

ი. ნოდია.

შ ა ტ ა რ ა წ ე რ ი ლ ი.

იძულებითი მიწების დათესვა.

სასურსათო კრაზისის ერთ მიზნათ ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ ჩვენ ბევრი მიწები მომცდარი, დაუმუშავებელია, რის გამოც მთავრო-

ბამ მომავალში სურსათის კრიზისის თავიდან ასაცილებლად გამოსცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება თავისუფალ მიწების იძულებითი დათესვის შესახებ 1921 წლის გაზაფხულზე:

1. ყველა თავისუფალი მიწა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მესაკუთრესა, რომელიც გამოსადეგია დასათესად გაზაფხულის ჭირნახულით (яровыми культурами), აუცილებლივ უნდა დაითესოს 1921 წლისათვის.

2. მიწის მესაკუთრენი ვალდებული არიან დათესონ თავისი მიწები საკუთარი ძალით, ან გასცენ იჯარით.

3. თუ მესაკუთრენი რაიმე მიზეზის გამო არ დათესენ თავის მიწებს, იმ შემთხვევაში ადგილობრივ ერობათა დაწესებულებანი იჯარით გასცემენ აღნიშნულ მიწებს მსურველზე.

შენიშვნა: არ უნდა დაითესოს ის მიწები, რომლებიც ადგილობრივ პირობების მიხედვით მუდამ რჩებოდნენ დაუთესავი, როგორც მაგალითად: სათიბები, რომელნიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ ადგილობრივ მეურნეობისათვის.

4. მთელი მოსავალი გაზაფხულის ნათესისა იჯარით გაცემულ მიწებიდან ერგება მოიჯარადრეს ერთი მეათედი გადარჩეული ხორბლის გარდა, რომელიც იჯარის სახით ეძლევა მიწის მესაკუთრეს.

5. ამ სავალდებულო დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება: ა) საფონდო და კერძო მესაკუთრეთა მიწების შესახებ სამაზრო და სათემო ერობებს, ბ) დანარჩენ სახელმწიფო მიწების შესახებ—გადასახლების რაიონების უფროსებს, სახელმწიფო და ეროვნულ მამულების მოურავებს და აგრეთვე ტყის გამგეებს.

6. გაზაფხულის ჭირნახულით დასათეს მიწების კერძო მესაკუთრენი და მოიჯარადრენი, რომელთაც მიიღეს დათესვის ვალდებულება და არ შეასრულეს ერობისაკან დანიშნულ ვადაზე გარდა სამოქალაქო პასუხის მგებლობისა პირობების და სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაისჯებიან თანახმად სასჯელთა დებულების 29 მუხლის, რომელსაც უსჯიან მომრიგებელი მოსამართლენი.

ხსენებული დადგენილების განხორციელება ევალებათ სამაზრო ერობებს, რომლებმაც უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი ინსტრუქციით:

1. საერთო ხელმძღვანელობა და კონკრეტული ფონდისა და კერძო პირთა მიწების სავალდებულო დათესვის საქმეში ეკისრება სამაზრო ერობებს, ხალხი გამორკვევა ცარიელი მიწებისა, მათი განაწილება

მოიჯარადრეთა შორის და მეთვალყურეობა იმისთვის, რომ მამულის პატრონებმა და მოჯარადრეებმა დაკისრებული ვალდებულებანი შეასრულონ, და აგრეთვე ღალის აღება მოსავლის ერთი მეათედი სახით ევალება წვრილ საეროხო ერთეულებს, ხოლო სადაც ასეთები არ არსებობენ განსაკუთრებულ კომისიებს, რომელთაც ირჩევს სოფლის საზოგადოება და ამტკიცებს სამაზრო ერობა.

2. სავალდებულო დადგენილების და ამ ინსტრუქციის გამოქვეყნებისთანავე სამაზრო საერობო გამგეობამ წვრილ საერობო ერთეულთა შემწეობით და იქ კი სადაც უკანასკნელი არ არიან განსაკუთრებულ კომისიის საშუალებით უნდა გამოარკვეოს: ა) სად და რამდენი ცარიელი (დაუთესავი) მიწაა, ბ) აქვს თუ არა მათ პატრონს საკმაო თესლი, სამეურნეო იარაღი და მუშა საქონელი.

3. სამაზრო საერობო გამგეობანი აწესებენ საბოლოო ვადას, რომლის განმავლობაში მიწების პატრონებმა განცხადება უნდა შეიტანონ სათემო ერობაში, ან სადაც ასეთი არ არის, განსაკუთრებულ კომისიებში იმის შესახებ—კისრულობენ თუ არა ისინი თავიანთი მიწების საკუთარის ძალით დათესვას. იმ პირთა მიწების, რომელნიც დანიშნულ ვადაში განცხადებას არ წარმოადგენენ ვადადის ერობათა, ან კომისიების განკარგულებაში და იჯარით გაიცემა ამ უკანასკნელთა მიერ მსურველებზე.

4. სამაზრო საერობო გამგეობანი აწესებენ უკანასკნელ სავალდებულო ვადას, რომლის განმავლობაში მიწა დამუშავებული და სათესად დამზადებული უნდა იქმნეს მესაკუთრეთა ან მოიჯარადრეთა მიერ. თუ ვადაში დაუთესავათ დარჩენილი მიწა მთლად ან ნაწილობრივ სათანადო დამუშავებული არ აღმოჩნდება და არც იქნება იმედი, რომ მიწის პატრონი ან მოიჯარადრე თვით შესძლებს მის დათესვას, ამ შემთხვევაში ასეთი მიწა გადაცემული იქნება სხვა პირზე.

შენიშვნა: ვადა განსაზღვრული უნდა იყოს იმ ანგარიშით, რომ თუ დაუთესავი მიწები ერობის განკარგულებაში გადავიდა, ამ უკანასკნელს საკმაო დრო უნდა ჰქონდეს ამ მიწების დასათესად.

5. სამაზრო საერობო გამგეობანი ეხმარებიან წვრილ საერობო ერთეულებს და განსაკუთრებულ კომისიებს მცხოვრებთა მიერ თესლისა და სამეურნეო იარაღების შეძენის საქმეში.

6. თუ გამოირკვა, რომ რომელიმე ყუთხის ცარიელი მიწები არ

შეიძლება დამუშავებულ იქნას ადგილო რიგ მცხოვრებთა მიერ, მაშინ სამაზრო ერობები სათემო ერობებთან და განსაკუთრებულ კომისიებთან ერთად ვალდებულნი არიან ან თვითონ დათესონ ეს მიწები, ან მიიწვიონ ცალკე მოიჯარადრენი და წვრილ მეურნეთა ჯგუფები რესპუბლიკის სხვა ადგილებიდან.

7. ყოველგვარ საჩივრებს თემებისა და განსაკუთრებულ კომისიების მოქმედების შესახებ იხილავს სამაზრო ერობის გამგეობა განცხადების მიღების შემდეგ არა უგვიანეს სამი დღისა და მათი დადგენილებანი საბოლოო გადაწყვეტილებათ ითვლება.

8. სამაზრო და სათემო ერობანი ვალდებულნი არიან დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ თანახმად 1920 წლის 13 დეკემბრის სავალდებულო დადგენილების მე-6 მუხლისა.

9. სამაზრო ერობათა გამგეობანი თვალყურს ადევნებენ თემების ან მათ მაგიერ არსებულ საგანგებო კომისიების მიერ მოიჯარადრეთაგან ღალის შეგროვებას (მოსავლის 1/10 ნაწილი).

10. თემები, ან სადაც ისინი არ არსებობენ საგანგებო კომისიები თართოდ აცნობენ მცხოვრებლებს მთავრობის სავალდებულო დადგენილებას და ამ ინსტრუქციას. აგრეთვე ერობის მიერ დანიშნულ ვადებს რომელიც მოყვანილია ამ ინსტრუქციით 3 და 4 მუხლებში.

11. თემები ან საგანგებო კომისიები: ა) არკვევენ გამოკითხვით ან ადგილობრივი გაცნობით თავისუფალ მიწების რაოდენობას, რომელიც კი ზაფხულის სათესად არის გამოსადეგი და მათი დათესვა სოფლის მეურნეობაში არავითარ ზარალს არ მიაყენებს. ბ) ღებულობენ ცარიელ მიწების პატრონებისაგან განცხადებებს, თანახანი არიან ისინი თითონ დაამუშაონ თავისუფალი მიწები თუ იჯარით გასცენ. გ) ღებულობენ მოიჯარადრეთაგან განცხადებებს და ანაწილებენ მათ შორის თავისუფალ ნაკრებს. დ) ხელწერილს ართმევენ მესაკუთრეთ ან მოიჯარადრეებს იმის შესახებ, რომ ისინი ვალდებულნი არიან დანიშნულ ვადაზე დაიმუშაონ და დათესონ თავისუფალი მიწები. ე) თვალყურს ადევნებენ მესაკუთრეებს და მოიჯარადრეებს. ვ) იჯარით აძლევენ სხვებს იმ პირობა მიწებს, რომელთაც არ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებანი. ზ) იჯარას ახდევინებენ სახელმწიფო მიწების მოიჯარადრეებს.

თემების მოღვაწეთა მოსამზადებლათ

ვინ არ იცის, რომ უმთავრესად თემი შეადგენს ჩვენი რესპუბლიკის ქვაკუთხედს. სოფლები შეადგენენ ჩვენი სახელმწიფოს დედა ბოძს, სოფლის ავკარგიანობით განიზომება ჩვენი რესპუბლიკის ბედ-იღბალი; სოფლად ცხოვრობს სამი მეოთხედი რესპუბლიკის მოქალაქეთა, — გლეხობა, რომელსაც ქალაქის მუშებთან ერთად კისრად აწევს მთელი რესპუბლიკის სიმძიმე. ამისათვის უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ თემებს; ყოველივე ზომები უნდა მივიღოთ მისი კულტურული და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; თემის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე კი უმთავრესად დამოკიდებულია თემის მოღვაწეებზე, მათ უნარზე და საქმიანობაზე; მაგარამ მართა არც უნარი და სურვილები კმარა საქმისთვის — საჭიროა მომზადება, საერობო საქმეების ცოტათ თუ ბევრათ ცოდნა. თუ მის მოღვაწეთათვის არ კმარა ის ცოდნა, რომლითაც ქველათ კმაყოფილდებოდა სოფლის მამასახლით, მისი მიზნები და მოვალეობა სულ სხვა იყო, დემოკრატიული რესპუბლიკის თემის მოღვაწეებს მეტი მოეთხოვება და მეტი ცოდნაც არის მისთვის საჭირო, მაგრამ საშუაზაროდ, ბევრგან ჩვენი თემის მოღვაწეებს ელემენტარული წარმოდგენაც არა აქვთ მუნიციპალურ თუ სხვა სასოფლო კულტურულ საქმეების მოსაწესრიგებლად; ყოველივე ეს გაითვალისწინებოდათა კავშირის კომიტეტმა და გადასწეიტა დაარსონ კურსები თემთა მოღვაწეთათვის. ამ კურსების პროგრამა შეთანხმებული იქნება ერობის მუშაობის პრაქტიკულ მოთხოვნილებასთან. თეორიას გაივლიან იმდენს, რამდენათაც ეს საჭირო იქნება პრაქტიკულად გამოცდილების მიღების შესამსუბუქებლად. კურსებზე მიიღებენ პირველ რაგში მათ, ვინც უკვე მუშაობს ერობაში. მიღებულია კურსებზე ჩათვლა მოხდება მივლინების სისტემით, რათა ერობებს, რაც შეიძლება მოკლე დროში ყოლოთ აუცილებელი მომუშავენი. კურსები იქნება მოკლევადიანი. ფიქრობენ განათლების ცენზს ყურადღება არ მიაქციონ. მსმენელებს გაანაწილებენ განვითარებისა და სწავლის მიხედვით. ლექციები შეიძლება სადაგვარად შეცვლილი იქნება საუბრით. კურსების პროგრამაში შეტანილია შემდეგი მთავარი საკითხები: ადგილობრივი თვთმართველობის, ერობათა მეურნეობის, და ერობათა კულტურული მუშაობის საკითხები, სტატისტიკა, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია და აგრარული რეფორმა მომავალში,

კურსების განვითარებასთან ერთად ფაქტობრივ შემდეგი პროგრამას შემოღებას: სახელმწიფო და ადმინისტრატული უფლების საფუძვლები, თვითმართველობის იურიდიული საფუძვლები, სამაზრო და თემის მილიცია, სასამართლოს წარმოება, ჯარში გაწვევა და მობილიზაცია, ადგილობრივი ფინანსები ბიუჯეტი, მუნიციპალური წარმოება, ბუჰგალტერია, კონტროლი, სასურსათო საკითხი, სასკოლო საქმეები, რესპუბლიკაში აგრარული რეფორმის გატარება და სხვა.

როგორცა სჩანს კურსების მიზანი მეტად სივრცითი და ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდად სასარგებლოა; კურსების პროგრამა საკმაოდ ფართოა; ამ კურსების დამთავრებულ თემთა მოღვაწეებს საგრძობლად გაუადვილებათ თემში მოღვაწეობა; მათი მუშაობა გაცილებით უფრო ნაყოფიერი და მიზან-შეწონილი იქნება, ამისათვის საჭიროა რაც შეიძლება მეტი მსვენეობები დაესწონ ხსენებულ კურსებს; ერობათა კავშირი თავის მხრივ შეეცდება დასახული პროგრამა სავსებით გაახორციელოს.

სიმინდის შესყიდვა.

ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა კვლავ გართულებულია. საქარველოს გარს ახვევია აუარებელი მტერი, რომელიც სიკვდილით ემუქრება ჩვენს რესპუბლიკას, მაგრამ ჩვენი საუკეთესო შვილნი მედგრათ სდგანან ჩვენს საზღვრებზე მტრის დასახვედრათ; მაგრამ მათი მტერზე გამარჯვება დამოკიდებულია ჩვენზე, ეგრედ წოდებულ ზურგში მყოფთაგან. თვითთელი ჩვენთაგანის მოვალეობაა არ დავიშუროთ ჩვენი მებრძოლთათვის ქონება, რადგანაც ისინი ჩვენთვის სიცოცხლეს არ ზოგვენ. ყველაზე აუცილებელი საჭირო ჩვენი მხედრებისათვის სურსათია, რომლის საერთო მწვავე კრიზისია დღეს ჩვენში; ეს კრიზისი წარსული წლის გაზაფხულიდან დაიწყო; მოსავალი, განსაკუთრებით სიმინდის, ჩინებული იყო, მაგრამ მან სასურსათო კრიზისი ვერ შეანეწობა; ეს იმიტომ, რომ გლეხები სიმინდს არ ელევინ, რადგანაც კარგად იციან, რომ აღებული ფულათ სიმინდზე უკეთესს ვერას იყიდნან; სიმინდი უწესრიგოდ ნაწილდება, უმთავრესად ის უფარდება ხელში წვრილ თუ მსხვილ ფეხა სპეკულიანტებს, რომლებიც უხვად ამოევენ გლეხებს ფულს და მით უფრო ამძიმებენ ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას; მაგრამ შექმნილ მდგომარეობის გამო დამფუძნებელი კრება იძულებული იყო მიეღო დეკრეტი „სამხედრო სასურსათო ფონდის გასა-

ქლიერებლად სიმინდის შესყიდვისა“, რომელიც შესდგება ხუთი უმთავრესი მუხლისაგან:

1. უფლება მიეცეს მთავრობას შეისყიდოს მტკიცე ფასებში რესპუბლიკის საზღვრებში სიმინდი 1920 წლის მოსავლიდან სამხედრო სასურსათო ფონდის გასქლიერებლად.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნული შესასყიდი სიმინდის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მთელი მოსავლისათვის პროცენტს (10%)

შენიშვნა: 1: გარდა სამხედრო სასურსათო ფონდისთვის შესასყიდი სიმინდისა, ნება მიეცეს ყოველ მოქალაქეს დანარჩენი სიმინდი სრულიად თავისუფლად გადაიტან-გადმოიტანოს რესპუბლიკის საზღვრებში.

შენიშვნა: 2: უქწეონი და ღარიბი ქვირევ-ობოლნი თავისუფალი არიან სიმინდის გაღებისაგან.

3. მტკიცე ფასებს, ბაზრის ფასებთან შეფარდებით, განსაზღვრავს მთავრობა.

4. სიმინდის შესყიდვას მთავრობა აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შემწევობით.

5. ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება და საჭირო საოპერაციო ხარჯის გაღება დაევალოს მომარაგების სამინისტროს.

დეკრეტის სისწორით ასრულებისათვის მომარაგების მინისტრი გამოსცემს სათანადო ინსტრუქციას.

თემებს და სამაზრო ერობებს ვეალებათ ამ დეკრეტის უმტკიცველოდ განხორციელება, მათი ბოროტათ სარგებლობის ნება არავის უნდა მიეცეს. გლახებს უნდა განემარტოს, რომ ამ ზომის განხორციელებას აუცილებლად მოითხოვს ჩვენი რეპუბლიკის დღევანდელი გართულებული პოლიტიკური ვითარება და აუტანელი ეკონომიური პირობები.

ორკვირეული მიმოხილვა.

წარსულ კვირაში მეტად გამწვავდა მდგომარეობა ჩვენსა და ახლად გაწითლებულ ჩვენ მეზობლებ შორის. რამდენად მეტია ჩვენი მთავრობის მოთმინება, იმდენათ უფრო დიდია სომხეთისა და ადერბეიჯანის თავგასულობა. გამაღიზიანებელ ნოტებს ნოტებზე გვიგზავ-

ნიან; ჯერ იყო და საბჭოთა სომხეთმა საპროტესტო ნოტა გამოგვიგზავნა ნეიტრალურ ზონის ჩვენი ჯარების დაკავების გამო; ჩვენი მთავრობის წინადადებაზე, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადაჭრილიყო ნეიტრალური ზონის საკითხი ჯერაც არ მიუღია ჩვენს მთავრობას პასუხი; ცალკე არ სურთ მშვიდობიანობა, მათ ნეიტრალურ ზონაზე უფრო ჩვენი სახელმწიფოს დამხობა აინტერესებთ; ეს არის მათი უმთავრესი მიზანი; მაგრამ საკმარისია სომხეთის დღევანდელმა მმართველებმა გაიხსენონ ის მწარე ხვედრი, რომელიც წილად ხვდა სომხეთს ჩვენთან ომის დროს დაშნაკუთხუტუნ იმპერიალისტურ პოლიტიკის წყალობით. სომხეთის ამ ახალმა ბატონებმაც უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს დემოკრატია არ მისცემს არავის ნებას ფეხქვეშ გასთელოს ის რისთვისაც, მან აუარებელი სისხლი დაღვარა.

სომხეთს არც მისი თანამომხე ადერბეიჯანი რჩება უკან ჩვენთან მტრობაში. პირიქით ის ყოველგვარ ზომებს ღებულობს, რომ როგორმე უფრო ძლიერ გაღვივდეს ჩვენს შორის შუღლი და მტრობა. მან ჩვენ ეკონომიური ბრძოლა, ბლოკადა გამოგვიცხადა და ამ რიგად ფეხქვეშ გასთელა ჩვენ შორის დადებული სატრანზიტო და სხვა ეკონომიური შინაარსის ხელშეკრულებანი. საქართველოს მთავრობა პუნქტუალურად ასრულებს დადებულ ყოველგვარ შესრულებას; ის ყოველთვის საქმედ აქცივს ხოლმე თავის სიტყვას, მაგრამ ადერბეიჯანის მთავრობა მაინც ცდილობს მოგვდოს უმსგავსო შარები და მით გაიმართლოს ჩვენს წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები. დღეს სათბობ მასალის კრიზისის გამო ცულ მდგომარეობაშია ჩვენი რესპუბლიკა; რკინის გზებზე მატარებელთა მოძრაობა მინიმუმამდე შემცირებულია, ასანთი ნავთის კრიზისიც დღით-დღე ძლიერდება. ასეთ მდგომარეობაში ჩააგლო საქართველოს დემოკრატია ჩვენმა „კეთილმა“ მეზობელმა. მაგრამ ადერბეიჯანმა ესეც არ იკმარა, მტაცებლობას მიჰყო უკვე ხელი.

„სამარშრუტო მატარებლები, ორთქმავლები და ბრიგადები, რომლებიც გაგზავნილი იყვნენ ბაქოში ნავთის პროდუქტების მოსაზიდათანახმად 14 ნოემბრის და 5 დეკემბრის შეიანხმებისა, დაკავებულ იქნა რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობათა მიერ ა. ს. ს. რ. ტერიტორიაზე, რის გამოც საქართველოს მთავრობამ რესპუბლიკის ინტერესთა დაცვის მიზნით და თანახმად ურთიერთის მიზღვევის პრინციპისა აღწერა და შეკრა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. ქონება იმ დრომდე, ვიდრე საქარ-

თველოს სამარშრუტო მატარებლები, ორთქმავლები და ბზიგადები საქართველოში არ იქნებიან დაბრუნებული“.

საქართველოს მთავრობას არ შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო, რადგანაც მოსალოდნელია მოთავსებულმა მტერმა ჩვენი სიჩუმე და უაღრესად დემოკრატიული მისწრაფებანი ჩვენი სისუსტით ახსნას; მაგრამ სასტუკად შესცდება. საქართველოს დემოკრატიას მშვედლობიანობა სწყურია, მის ბუნებას არ ეგუება ომი, სისხლის ღვრა და არც სხვადავით მტაცებლობა, მაგრამ ვინც მოინდოჩებს მის საარსებო ინტერესების შელახვას, მის პოლიტიკურ სიკვდილს, ის ყველას გაუმკლავდება და ლამაზ სიკვდილს ირჩევს უცხო ძალების ხელში მონად ყოფას.

თუ ჩვენი მეზობლები მზად არიან ფეხქვეშ გასთელიონ ჩვენი სუვერენული უფლებები, სამაგიეროდ ევროპის დემოკრატია დღითიდღე რწმუნდება, რომ საქართველო ღირსია შევიდეს დემოკრატიის საერთაშორისო ოჯახში წევრად. ანტანტამ კარგა ხანია რაც აღიარა საქართველო ფაქტიურად, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ჩვენი სახელმწიფოს უფლებრივობისათვის. საჭირო იყო მისი იურიდიულადაც ცნობა, რასაც ჩვენ მოუთმენლად ველოდით და აღსრულდა კიდევ: წარსულ კვირაში ლიონის რადიო სადგურმა შემდეგი სასიხარულო ცნობა მოგვიტანა.

ოთხშაბათს, იანვრის 26, სალამოს მოკავშირეთა კონფერენციამ გადასწყვიტა დათანხმდეს ესტონეთისა და ლიტვიის უფლებრივ აღიარებაზე. ლიტვის უფლებრივი ცნობა გადიდვას ვილნოს საკითხის მოწესრიგებადღე. რომლითაც ასე დაინტერესებულთა იგი ამ ჟამად კონფერენციამ თანხმობა განცხადა საქართველოს ცნობაზე, თუ ეს უკანასკნელი სათანადო სურვილს გამოხატავს. რამაც საქართველოს დემოკრატიაში სამართლიანად გამოიწვია აღფრთოვანება; საქართველოს მთავრობამ რა თქმა უნდა სიაპოვნებით განაცხადა ამის შესახებ თანხმობა და მიმართა უმაღლეს საბჭოს ოფი ციალური თხოვნით საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობას შესახებ.

დღეა ქალაქი კი ამ ცნობას დღესასწაულით მეიჯება: იანვრის 30 ქალაქი მორთული იყო ეროვნული დროშებთ, გაიმართა დემონსტრაციები, სხვა და სხვა ადგილას მიტინგები, სადაც ილაპარაკეს დამფუძნებელი კრების წევრებმა და აღნიშნეს ანტანტის მიერ ჩვენი რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის დიდი მნიშვნელობა, როგორც პოლიტი-

კურად ისე ეკონომიკურად. ამ რიგად თან და თან მტკიცდება და მაკრდება ჩვენი რესპუბლიკის საფუძველი; ამიერიდან შეგვიძლია უფრო იმედიანის თვალთ შევხედოთ ჩვენს მომავალს. ვერც მოსალოდნელი საფრთხე, ვერც გამეფებული ეკონომიური სიღუბე ვერას დავაკლებს, თუ ქართულ ერში კვლავ იქნება სულიერი სიმტკიცე, გპირული სულის კვეთება და თავდადება თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის. და მასთან ერთად მის მხარეზე იქნება ევროპის დემოკრატიის სიმპატია, რომლის უდავო თავდებიან ჩვენი იურიდიულად ცნობა.

* *
*

წარსულ კვირაში დამთავრდა ორი მეტად შინაარსიანი ყრილობა: სრულიად საქართველოს მასწავლებელთა და რკინის გზელთა. როგორც პირველის, ისე მეორე დარგის მოღვაწეთა საქმიანობა მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი რესპუბლიკისათვის. ორივე ყრილობების ყურადღების ცენტრად ეკონომიურა საკითხი გადაიქცა; ეს ბუნებრივიცაა, რადგან მასწავლებლობაც და რკინის გზის მოხელენიც, როგორც ყველა მათი მგზავსი რესპუბლიკის თანამშრომელი მეტად დიდ გაჭირვებას განიცდიან. მაგრამ დღეს ისეთ გართულებულ პოლიტიკურ მომენტს განიცდის ჩვენი სახელმწიფო, რომ მისი კეთილდღეობისათვის უნდა დავთმოთ პირადი ინტერესები. უეჭველია ასე ესმის ეს საკითხი ყველას, ვინც შეშაზე და თეთრ პურზე უფრო ძვირად აფასებს დემოკრატიულ სამშობლოს. ასე ესმოდა ეს საკითხი რკინისგზელთა ყრილობასაც. მაგრამ სამწუხაროდ მასწავლებელთა ყრილობა ცოტა გაწყდა არ დაადგა ანტისახელმწიფოებრივ გზაზე ფითომდა თავიანთ ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მას სურდა საერთო გაფიცვა გამოეცხადებინა. ყველაზე მეტი ჩვენში მასწავლებლებს მოეთხოვებათ, რადგანც ეს ნაწილი ჩვენი საზოგადოების უფრო შეგნებულ ელემენტებისაგან შესდგება; მათ უფრო ადვილათ შეუძლიათ წარმოიდგინონ ჩვენი სახელმწიფოს აწინდელი მდგომარეობა; ამისათვის მათგან მეტსაც მოვითხოვთ, მაგრამ სამწუხაროდ მასწავლებელთა ყრილობაზე გაფიცვის ავტორებმა ვერ გაამართლეს ჩვენი იმედები. ჩვენ დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობას, რომ გაფიცვა უშედეგადებს, ამ გზას ხომ რკინის გზელთა ყრილობაც აიბრუნებდა; მაგრამ საქმე ის არის, რომ გაფიცვით არ შენეგლდება ჩვენში გამეფებული კრიზისი; გაფიცვა ამ შემთხვევაში მეტად პოლიტიკური საშუალება არის, ჩვენ სახელმწიფოს კი ის დაღუპვას უქადის. რატომ არ წარმოიდგინეს ერთ წუთს მაინც გაფი-

ცვის მომხრე მასწავლებელმა თუ რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა რესპუბლიკა, რომ ეკონომიურ ნიადაგზე ყველა მუშა მოსამსახურეებს გაფიცვა გამოეცხადებიათ! ეს ხომ სახელმწიფოს დაღუბა და ამოღენა ნაშრომ-ნაღვაწის განადგურება იქნებოდა.

ჩვენ კი მეტად სასურველად მიგვაჩნია, რომ მასწავლებლობა განსაკუთრებულ უკეთეს ნივთიერ პირობებში იქნეს ჩაყენებული, რადგანაც მათი მოღვაწეობა უფრო საპასუხისმგებლო და მძიძეა. მთავრობამ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს მასწავლებლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ყოველ შემთხვევაში მან ის დახმარება მაინც უნდა მიიღოს, რომელსაც იღებენ რესპუბლიკის სხვა დარგის მოხელენი; ამ მიზნით უსათუოდ უნდა დაარსოს მუშათა მაგიდამ თავისი განყოფილებანი პროვინციაში იქ მყოფ მასწავლებელთათვის სურსათ-სანოვავის მისაწოდებლად.

ეროვნებმა და თემებმაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მასწავლებლების ნივთიერ მდგომარეობას, თუ უნდათ, რომ ნათ სკოლებში დარჩნენ კარგი მასწავლებლები. განმანი.

საეროვნო ფინანსების პანონ-პროექტი.

1. საეროვნო თვითმართველობის ნივთიერ სახსარს შეადგენს:

ა). კერძო სამეურნეო ხასიათის შემოსავალი წარმოებისა და ქონებისაგან, როჰელიც ეროვნის თვითმართველობას ეკუთვნის.

ბ). ყოველგვარი მცხოვრებლებზე გაწერილი გადასახადი ეროვნის თვითმართველობის სასარგებლოდ.

2. წინა (1) მუხლში აღნიშნულ მუდმივი შემოსავლის გარდა არსებობს აგრეთვე დროებითი შემოსავალი.

ა). ღოტაცია და დახმარება ანუ სუბსიდია ცენტრალი ხელისუფლებისაგან და

ბ). სხვა და სხვა შემთხვევითი შემოსავალი:

3. საეროვნო თვითმართველობა ვალდებულია დაარსოს და მოაწყოს სხვა და სხვა გვარი საზოგადოებრივი დაწყებულება თვითმართველობის საზოგადო კომპეტენციის მიხედვით. აღნიშნული დაწყებულების მოქმედებისა და ექსპლოატაციის წესს საზღვრავს საეროვნო ყრილობა თუ სათქმო საბჭო — კუთვნილებისამებრ. ხსენებულ ორგანოებს შეუძლიათ

საერთოდ ან თვითეულ შემთხვევისათვის ცალკე განსაზღვრონ საქმეთა წარმოების წესი და კერძოდ ასეთი დაწყებულების ნაწარმოებებს ან მისი სხვა სახით სარგებლობისათვის — გადასახა ღის რაოდენობა.

4. საერობო თვითმართველობის საზოგადო კომპეტენციით გათვალისწინებულ დაწყებულებათა გარეშე ერობას უფლება აქვს, საერთო კანონების მიხედვით, დაარსოს ყოველგვარი დაწესებულება: სამრეწველო, საფაქრო, სატრანსპორტო, საკომისიო. ასეთ შემთხვევაშიაც საერობო ყრილობა თუ სათემო საბჭო ამუშავებს აღმასრულებელი ორგანოსათვის დაწესებულების მოქმედებისა და ექსპლოატაციის წესს.

5. თვითმართველობის აღმასრულებელ ორგანოს უფლება აქვს საერთო კანონებისა და საერობო ყრილობის თუ სათემო საბჭოს მიერ შემუშავებულ ინსტრუქციის მიხედვით გააქიროს ან სხვა სახით მოახსაროს თავი-ი უძრავი ქონება და ყოველგვარი თავისუფალი სამეურნეო ინვენტარი.

6. მთავრობის დოტაცია ეძლევა საერობო თვითმართველობას მინდობილ საქმეთა შესასრულებლად, მილიციის, სკოლის, აგრარული რეფორმის გაქტარებელი კომისიის და სხვა მზგავსი საქმის ხარჯების დასაფარავად. ყოველ დოტაციას საზღვრავს ცალკე კანონი.

7. სუბსიდია სახელმწიფო ხაზინიდან საერობო თვითმართველობას ეძლევა იმ შემთხვევისათვის, თუ მისი საერთო ბიუჯეტი ვერ ფარავს თვითმართველობის აუცილებელ გასაფალს. სუბსიდია შეიძლება გაცემულ იქნეს დაუბრუნებლად ან დაბრუნებით, სარგებლით ან უსარგებლოდ და სხვა და სხვა ვადით. სუბსიდიის მიღების პირობა, მისი განხორციელება, აგრეთვე წესი და ვადა დაბრუნებისა თვითეული შემთხვევისათვის ცალკე განისაზღვრება.

8. შემთხვევითი შემოსავალს შეადგენს სხვა და სხვა წინასწარ გავალაწინებული შემოსავალი, როკორც მაგ. შემოწიოულება, მემაიდრეობა, ანდერძის, სახელმწიფო ფონდიდან ქონების გადაცემა და სხვა. ასეთი ქონების მიღება თვითეულ შემთხვევისათვის უნდა გადასწყვიტოს საერობო ყრილობამ. უკეთუ ამ გვარად მიღებულ შემოსავალს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს (სტიპენდიის დაარსება, შენობის აგება, ან დაწესებულების ორგანიზაცია და სხვა) იგი იქცევა სპეციალ თანხად, როკლის მოხმარება სწარმოებს საერობო ყრილობის მიერ დაქტაციებულ წესდების თანახმად.

9. საეროობა ყრილობას უფლება აქვს დააწესოს შემდეგი გადასახადი:

ა) საერთო ქონებრივი გადასახადი იმ მეურნეობაზე, რომელიც სოფლად იქცოფება.

ბ) სპეციალი გადასახადი უძრავ ქონებაზე.

გ) გადასახადი უძრავ ქონების ღირებულების დაუმსახურებელ, ზრდაზე.

დ) გადასახადი უძრავ ქონების გადასვლაზე.

ე) სარეწავი გადასახადი,

ვ) სატრაქტორო გადასახადი.

ზ) გადასახადი საეროობო ტერიტორიაზე არსებული რკინის გზის სადგურებში შემოზიდულ და გაზიდულ ტვირთზე.

3) საბაზრო და საქულბაქო გადასახადი საქონელითა და ნაწარმობით დატვირთულ ურმების განსაზღვრულ ადგილებში დაყოვნებისათვის. ასეთივე გადასახადი იმავე ადგილებზე კერძო პირის ვადით თუ საწყობი მაგიდებით გაჩერებისათვის, აგრეთვე გასაყიდათ შემოყვანილ საქონლისათვის.

თ) გადასახადი მსხვილ ფეხა თუ წვრილი ფეხა საკლავ გასასყიდ საქონელზე.

ი) გადასახადი ნავის და ტივის განადგინებაზე.

კ) გადასახადი ბორანი და სხვა გადასყვან საშუალებათა სარგებლობისათვის.

ლ) გადასახადი საზოგადოებრივი ზომისა და საწონის სარგებლობისათვის.

მ) გადასახადი სხვა და სხვა მოშობასა და საბუთზე, რომელცაა კერძო პირის მოთხოვნით გასცეს საეროობა დაწესებულება.

ნ) გადასახადი იმ პართავან, რომელნიც ნატურალი ბეგარისაგან განთავისუფლებულნი არიან.

10. წინა (მე-9) მუხ. აღნიშნული ზოგიერთი გადასახადი, როცა მოსახერხებელია, საეროობა ყრილობის დადგენილებით შეიძლება შეცვლილ იქნეს ნატურალი გადასახადით. ასეთი შემთხვევისათვის საეროობა ყრილობა განსაზღვრავს როგორც გადასახადის აკრეფის წესს, ისე ფულად გადასახადის ნატურალური ბეგრით შეცვლის ნუსხას..

გადასახადის აკრეფის პირობები მოსახლეობას ეცნობება წინასწარ.

11. ზემოხსენებულ (მუხ. მე-9) გადასახადის გარდა საეროობა თვით

შართველობას უფლება აქვს დააწესოს ნატურალი ბეგარა. ამ შემთხვევაში თვითმართველობის ორგანოს განკარგებულებით მოსახლეობა ვალდებულია უშუალოდ მისცეს საკუთარი შრომა და ბეგარის მომხდელთ გადასცეს საქმისათვის აუცილებელი (კოცხალი და მკვდარი ინვენტარი.

12. მე-11 მუხ. აღნიშნულ ნატურალ ბეგარას საზოგადოდ აწესრიგებენ საგანგებო კანონები. მათი მიხედვით მას აწესებს საერობო ყრილობა და ანხორციელებს საერობო აღმასრულებელი ორგანო. უკანასკნელი წინასწარ ადგენს სიებს. საზღვრავს სამუშაოს რიგსა და რაოდენობას და გარკვეული გეგმით აწარმოებს სამუშაოზე დანიშნვის საქმეს.

13. ჩვეულებრივ ნატურალი ბეგარა წესდება უმთავრესად გზების გაყვანა—შეკეთებისა და მდინარეთა კალაპოტის მოწესრიგებისათვის (ნაპირების გამაგრება, ჯვბირების ჩადგმა და სხვ.) ნატურალი ბეგარა შეიძლება აგრეთვე დაწესებულ იქნეს სხვა და სხვა სტიქიური უბედურების დროს.

შენიშვნა: განსაკუთრებული მდგომარეობისათვის (ომი, მობილიზაცია) ნატურალი ბეგარის დაწესება ზემოდ აღნიშნულ (მუხ. 13) ფარგლების გარეშეც შეიძლება.

14. საერობო თვითმართველობა მხოლოდ კანონით დაწესებულ გადასახადს ჰკრეფს, უკეთუ აუცილებელია ისეთი საგანგებო გადასახადის გაწერა, რომელიც კანონს გათვალისწინებული არა აქვს და ვერც კანონმდებლობითის გზით დაწესდება, იგი შეიძლება შემოღებულ იქნეს მხოლოდ უწყებულ საერობო ტერიტორიის მოქალაქეთა უმრავლესობის თანხმობით.

15. გადასახადის საქმეში აუცილებლად დაცულ უნდა იქნეს წესი, რომ იგი გაწერილია არა მარტო თანასწორად, არამედ პროგრესიულად. ნატურალი ბეგარა უნდა იყოს თანასწორი.

16. ყოველი საერობო გადასახადი დაწესებულ უნდა იქნეს ერთი წლის ვადით. ერობის გამგეობას საერობო ყრილობის საზოგადო ნებართვით უფლება აქვს გადასახადის განაწილვადიანება ე. ი. მისი ნაწილ-ნაწილ აკრეფისა რამოდენიმე ვადის განმავლობაში.

17. ქალაქის ფულის ღირებულების ცვალებადობის დროს საერობო ყრილობას უფლება აქვს შესცვალოს შემოღებული გადასახადის რაოდენობა, როგორც საბიუჯეტო წლის დამდეგს აგრეთვე სხვა დროსაც, საერთო პირობების მიხედვით.

18. საერთო ქონებრივი გადასახადი უნდა გაწერილ იქნეს მთლიან მეურნობაზე ე. ი. ყველა იმ ქონებაზე ერთად, რომელსაც სასოფლო სამეურნო მნიშვნელობა აქვს, როგორც მაგ., მიწა, სოფა და სხვა ღირსებისა და სოფა და სხვა გვარი მეურნეობა სა—ვენახა, ბაღი, ბოსტანი, სახნავ-სათესი ადგილობი, ტყე, საბალახოები, სოფოად მდებარე სახლი და შენობა, განსაკუთრებულ სამეურნეო მნიშვნელობის მქონე საქონელი. ცოცხალი ინვინტარი—რქოსანი საქონელი: ცხენი, ვარი, ჯორი, აქლევი. მკვდარი ინვენტარი—სასოფლო სამეურნო მანქანა და იარაღი, სხვა და სხვა მოწყობილობა, რომელსაც აუტოლებელია სოფლის მეურნეობისათვის და განსაკუთრებით მაღალი განვითარებული ტიპის მეურნეობისათვის მარანი, ყოველგვარი შენობა, ხილისა და სხვა ნაყოფის გასახპობად. მოსარწყავი იარაღები და სხვა.

19. გადასახადი უნდა გაეწეროს არა ქონების რომელიმე ცალკე დარგს, არამედ ერთად მთელ ქონებას, რომელიც ერთ მეურნეობაში თავმოყრილი დაბეგვრა არ შეიცვლება იმით, რომ ერთი მეურნეობა რამდენიმე პირს ეკუთვნის ან და ის ერთი მრავალ-მეურნეობათაგანია ერთისა და იმავე პირის ხელში.

20. საერთო ქონებრივი გადასახადი ვრცელდება ყველა სახაზინო, საზოგადოებრივ და კერძო მეურნეობაზე. თუ ქონებას მოგება არ შემოაქვს და მხოლოდ კულტურულ მიზნებს ემსახურება, საერობო ყრილობას შეუძლიან იგი გაანთავისუფლოს გადასახადისაგან.

21. დაბეგვრა ინდივიდუალური შეფასების მიხედვით სწარმოებს. ქონების ღირებულება და შემოსავალი ნობა წინასწარ განისაზღვრება და დაიბეგრება თითოეული მეურნეობის ცალკე. ამავე წესით განისაზღვრება მეურნეობაში მომხდარი ცვლილებანი.

22. მეურნეობასა და მისი შემადგენელი ნაწილების სრული და სწორი აღრიცხვისათვის სწარმოებს აღწერა და შეფასება. წესი აღწერისა და შეფასებისა, აგრეთვე ვადა მათი შესრულებისა განისაზღვრება ცალკე კანონით და საადგილმამულო კადასტრით.

23. ვინაიდან ამ ქამად საადგილმამულო კადასტრით არ არსებობს საერთო ქონებრივი გადასახადი იკრიბება დროებით საგანგებო სისტემით, რომლის საზოგადო წესი განსაზღვრულია ქვემოთ მოყვანილ მუხლებში. აღნიშნული წესი საზოგადო სახელმძღვანელო ხასიათისაა და საერობო ყრილობა ამისი მიხედვით იმუშავებს ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ დაბეგვრის ღონისძიებას.

25. თემის შორის გადასახადის განიწილებას ახდენს საერობო ყრილობა.

25. ერობის გამგეობის მოთხოვნით სათემო დაწესებულება ვალდებულია წარმოადგინოს ცნობები სხვა და სხვა სამეურნეო დარგის მიწების საერთო რაოდენობის შესახებ; წარმოადგინოს აგრეთვე ცნობები საქონლის რაოდენობაზე, თუ მისი მოშენება უწყებულ თემში არსებობს, როგორც წარმოების განსაკუთრებული დარგი. თუ თემის ტერიტორიის საზღვრებში მალალი ტიპის სამეურნეო კულტურაა, სათემო დაწესებულება ცალკე აღნიშნავს ყველაზე უფრო განვითარებულ და კარგად მოწყობილ მეურნეობას.

ამ გზით მიღებულ ცნობებს საერობო ყრილობა ხელმძღვანელობს გადასახადის განსაზღვრისა და დაწესებისათვის.

26. გადასახადის საერთო რაოდენობა დაწესებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად: საერობო ყრილობა ღებულობს და ამტკიცებს დაბეგვრის განსაზღვრულ პროცენტს, რომელიც მისაღებ ნაწარმოების ერთეულებში უნდა გამოისახოს. ამ წესით გამოანგარიშებული ნაწარმოების მთელი რაოდენობა შეფასებულ უნდა იქნეს სამაზრო ფასების მიხედვით., ამასთანავე აუცილებელია რომ საერთო გადასახადის ჯამი გამოანგარიშებულ იქნეს ცალ ცალკე თითოეულ თემისათვის.

27. ცალკე თემისათვის გამოანგარიშებული საერთო დაწესებულებას, რომელიც აირჩევს განსაკუთრებულ საგადასახადო გმნაწილებულ კომისიას.

ეს კომისია ანაწილებს მთელ გადასახადს მეურნეობათა შორის მე 18-ე მუხ. აღნიშნულ ქონების მთლიანობის მიხედვით.

28. სახაზინო და საზოგადოებრივ ქონებასა და მეურნეობას ბეგრავს პირდაპირ სამაზრო გამგეობა საერობო ყრილობის განსაზღვრულ წესისამებრ.

29. საჩივარი უკანონო დაბეგვრის თაობაზე წარედგინება სამაზრო გამგეობას ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როცა გადაზღედლს ეცნობა მასზე გაწერილი გადასახადის რაოდენობა. საჩივარი სამაზრო გამგეობის დადგენილების თაობაზე წარედგინება საერობო ყრილობას, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს მხოლოდ სასამართლოში საერთო წესით.

საჩივარი უკანონო დაბეგვრის თაობაზე გადასახადის აკრეფას ვერ შეაჩერებს.

30. იმ შემთხვევაში, როცა საეროთა თვითმართველობა აუმჯობესებს ამა თუ იმ რაიონს, რასაც უმთავრესად ამ რაიონისთვის აქვს მნიშვნელობა, თვითმართველობას შეუძლიან საერთო ქონებრივი გადასახადის განაწილების მიხედვით, ან, მომავალში, საადგილმამულო კადასტრზე დაფუძნებულ დაბეგვრის თანახმად, საგანგებო სპეციალი გადასახადი გააწეროს აღნიშნულ რაიონის მოსახლეობას.

31. წინა (30) მუხლში აღნიშნულ საგანგებო გადასახადით შემოსული თანხა შეიძლება გაღებულ იქნეს მხოლოდ იმ საქმის მოსაწყობად, რომლისთვისაც განზრახული იყო ხსენებული გადასახადის გაწერა.

32. უძრავი ქონების სასყიდლიან გადასვლის დროს ადგილობრივი თვითმართველობა აწესებს განსაკუთრებულ გადასახადს ღირებულების დაუმსახურებელი ზრდისათვის.

33. ღირებულების დაუმსახურებელ ზრდას საზღვრავს განსხვავება წინანდელსა და აწინდელ სასყიდფასეულობის შორის. აღნიშნულ განსხვავებას გამოაკლდება მამულის გაუმჯობესობისათვის გაწეული ყველა ხარჯი და ჩვეულებრივი მოგება ნაშთი დაიბეგრება.

34. უკეთეს წინანდელი ფასეულების შესახებ სწორი და უტყუარი ცნობები არ მოიპოვება, იგი შეიძლება დაწესებულ იქნეს, როგორც საშუალო ფასეულობა თემის შემფასებელ კომისიის მიერ.

35. ზემოაღნიშნულ (მუხ. 32—34) გადასახადის გარდა საეროთა თვითმართველობას უფლება აქვს უძრავი ქონების ყოველ-გვარი როგორც სასყიდლიან ისე უსასყიდლო გადასვლის დროს დააწესოს გადასახადი, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრულ პროცენტს მემკვიდრეობას და სიმტკიცის ბაჟებთან შედარებით.

36. მე-35 მუხლში აღნიშნული გადასახადი აიკრიფება თანახმად საბაჟო წესდებაში (ტ. V) მუხ. 201—273) განსაზღვრული წესისა, იმ ცვლილებით, რომელიც შეტანილია 1917 წლის მარტის 12-დან.

37. საზოგადოდ უძრავი ქონების და კერძოდ მიწის შეფასება, (საბაჟო წესდება ტომი V, მუხლ. 230), სწარმოებს თემის შემფასებელი კომისიის ცნობების მიხედვით, რომელიც საფუძველია საერთო ქონებრივ გადასახადის დაწესებისათვის.

38. ღირებულების დაუმსახურებელი ზრდისა და ქონების გადასვლის გადასახადი იკრიფება სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც ქონების გადასვლა ხდება. ეს გადასახადი გადაირიცხება საეროთა გამგეობის შემოსავალში.

39. სარეწავი გადასახადი ედება ყოველგვარ ვაჭრობასა და მრეწველობას, რომელიც მაზრის ტერიტორიაზე არსებობს. მრეწველობის სახელწოდებაში ეს კანონი გულისხმობს: 1) ამოძლები მეურნეობის ნედლი მასალის ყოველგვარი გადამუშავებას, 2) ამოღება—შექენა ისეთ ბუნებრივ ნაწარმოებისა, რომელსაც დაწესებული მრეწველობა გამოიყენებს, როგორც მასალას, მაგ. აბრეშუმის პარკი, კირი, სხვა და სხვა გვარი თიხა, ინფუზორიანი მიწა, ქვა; 3) დამხმარე წარმოება, მეეტლეობა, მეურმეობა და 4) ყოველგვარი სარგებლობა, მოხმარება სახელოსნო შრომისა.

40. გადასახადი შემოსავლის მიხედვით წესდება. შეფასება სწარმოებს სათემო შექმნასებელი კომისიის მიერ.

41. შემოსავლის გამოანგარიშება წინა წლის ცნობების მიხედვით ხდება; მაგრამ გამოანგარიშება შეიძლება შესწორდეს შინაგან კურსისა და საბაზრო ფასების ცვლილების მიხედვით.

42. შემოსავალი 250,000 მანეთამდე იბეგრება 30%-ით, ამაზე ზევით — 50%-ით.

43. ორმოცი პროცენტი სარეწავი გადასახადიდან მიღებული შემოსავლისა ეძლევა სახელმწიფოს.

44. დაწესებულება, რომელიც მაგარ სასმელებს ხდის ან ყიდის იბეგრება დაპატებითი გადასახადით. ეს გადასახადი დაწესებულ სარეწავ გადასახადის ნახევარს უდრის.

45. აღნიშნული გადასახადის (მუხ. 44) გარდა, დაწესებულება, რომელიც მაგარ სასმელებს წვრილ-წვრილად ყიდის დაწესებულების გახსნისას, ან მისი მეორე პირის ხელში გადასვლისას იხდის განსაკუთრებულ გადასახადს ვაჭრობის ნებართვისათვის. საერობო ყრილობას შეუძლიან ეს გადასახადი გადააკეთოს ყოველ წლიურ გადასახადად.

46. ფეხზე ვაჭრობა როგორც ხელობა უნდა დაიბეგროს დაწესებული საშუალო გადასახადით, რომელიც განაღებულ იქნება ვაჭრობის უფლების წლიური მოშობის ყიდვის დროს. აღნიშნული მოშობა ერობის გამგეობაში იყიდება და მყიდველს უვლება აქვს ივაჭროს მაზრის მთელ ტერიტორიაზე.

47. სარეწავი გადასახადი ვრცელდება ყველა სახაზინო, საზოგადოებრივ და კერძო წარმოებასა და დაწესებულებაზე, გარდა სახაზინო რკინის გზისა.

48. სარეწავი გადასახადის ნაცვლად სახაზინო რკინის გზამ თი-

თოეული სამგზავრო ბილეთი და ყოველ-გვარი გადასახიდი ტვირთი უნდა დაბეგროს განსაზღვრული პროცენტით; საერობო თანხის სასარგებლოდ. აღნიშნული თანხით არსდება განსაკუთრებული საკრედიტო ფონდი ყველა ერობისათვის.

49. საფუთო გადასახადი იკრიფება რკინის გზის სადგურებზე, როგორც გაზიდულ, ისე შემოზიდულ ტვირთზე. საფუთო გადასახადით აღებული თანხა მახლობელი გზების და მიმოსვლის მოწყობასა და გაუმჯობესობას ხმარდება.

50. საბაზრო და საქულბაქო გადასახადი იკრიფება თითოეულ შემთხვევისათვის ცალკე და გადამხდელს უფლებას ანიჭებს განსაზღვრულ ადგილას ივაჭროს ერთი დღის განმავლობაში. თუ ერობას თავისი შენობა და მოწყობილობა აქვს (დუქანი, მაგიდა, ყათანი და სხვა), საიჯარო გადასახადი ცალკე იკრიფება.

51. გასაყიდ საქონელზე გადასახადის აკრეფა წარმოებს ან საზოგადო სასაკლაოზე, ან იმ სოფლიდან გამოზიდვის დროს, სადაც საქონელი დაიკლა, ან და თვით გაყიდვის დროს.

52. 9 მუხლის „თ“, „კ“, „ლ“ პუნქტებში აღნიშნულ გადასახადს, როგორც გადასახადი ერობის შენობა-მოწყობილობის სარგებლობისათვის აწესებს საერობო ყრილობა სახარჯთაღრიცხო პერიოდის დამოუკიდებლად.

53. გადასახადს სხვა და სხვა მოწმობასა და სხვა საბუთებზე აწესებს საერობო ყრილობა თანასწორად ყველა თემისათვის. აკრეფა აღნიშნული გადასახადისა ხდება მოწმობის თუ სხვა საბუთის გაცემის დროს. ყველა გასული მოწმობა აღინუსხება განსაკუთრებულ წიგნში.

54. რადგან ნატურალი ბეგარის კანონის ძალით ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქენი თავისუფლდებიან სამუშაოს უშუალოდ შესრულებისაგან, იგი ვალდებულია შეიტანოს ერობის გამგეობის ან სათემო დაწესებულების კასაში სათანადო გადასახადი. ვინიცობაა მუშა ხელი საკმაო არ აღმოჩნდა, ეს შემოსავალი უნდა მოხმარდეს იმის დაქირავებას, ვინც უნდა შესცვალოს მუშაობისაგან განთავისუფლებული, ხოლო თუ მუშა ხელი საკმაოა, აღნიშნული ფული საერთო ხარჯთაღრიცხვის გასავლის დათარვას ხმარდება.

55. ზემოხსენებულ გადასახადთა შემოღების დროს საერობო ყრილობა ვალდებულია შეადგინოს საგადასახადო დებულება, აგრეთვე სათანადო ინსტრუქცია შემფასებელთა და ამკრეფთათვის.

56. ყველა გადასახადს ჰკრეფენ სამაზრო გამგეობისა და დანიშნული და მის პირდაპირ ხელქვეითობაში მყოფ საგანგებო აკრეფენი. ამკრეფთა კოლლევია გამგეობის საფინანსო განყოფილებასთან არსებობს. იგი წარმოადგენს ერობის საგადასახადო ინსპექციას.

57. საერობო ყრილობის დადგენილებით მე 9 და შემდეგ მუხლებში აღნიშნული ზოგიერთი გადასახადი შეიძლება სავსებით გადაეცეს თემებს.

58. გარდა ამ გადასახადებისა თემებს, რომელთა ხარჯთ-აღრიცხვას საერობო ყრილობა ამტკიცებს, უფლება აქვთ ყველა საერობო გადასახადს დაუმატონ სათანადო პროცენტი თავის სასარგებლოთ.

59. თუ თემს რაიმე სასწრაფო ხარჯი აქვს გასაწევი, ან რაიმე საწარმოო ოპერაციისათვის თანხა დასჭირდა, ხოლო ასეთი თანხის გაღება საერთო ბიუჯეტიდან შეუძლებელია. საერობო ყრილობის, ან — მეტად სასწრაფო შემთხვევაში — სამაზრო გამგეობის თანხმობით. შეუძლია მიმართოს თვით დაბეგვრას. თვითდაბეგვა სწარმოებს მხოლოდ მაშინ, თუ თემის მცხოვრებთა უმრავლესობა ამის თანხმობას ამა თუ იმ სახით გამოსთქვამს.

ე რ ო ბ ა

ბორჩალოს ერობაში.

დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის განსაკუთრებით ისეთ განპირა სამაზრო ერობებს, როგორცაა ბორჩალოს სამაზრო ერობა. ეს მაზრა დასახლებულია სხვა და სხვა ერებით; აქ ცხოვრობენ: ქართველები, რუსები, სომხები, ბერძნები, მუსულმანობა და სხვა. ამისათვის აქ საერობო თუ სხვა სახელმწიფო ორგანოთა მუშაობა ძნელია; ასეთ მაზრებში საქირთა განსაკუთრებული ცოდნით, ხალხის ნდობითა და სიყვარულით აღჭურვილ პირთა მოღვაწეობა; მაგრამ სამწუხაროდ, როგორც მთავრობის მიერ დანიშნულმა საგანგებო რევიზიამ აღმოაჩინა ბორჩალოს ერობის საქმეები მეტად უწყვეტო მდგომარეობაში ყოფილა: უსისტემობა, საქმის უცოდინარობა, შინ — ჩემიანობა, ანგარება, აი რით ხასიათდება საერთოდ ბორჩალოს მაზრის ერობის საქმიანობა, ხსენებული კომისიის რევიზიის

მიხედვით. მაგრამ რომ უფრო ნათელ ვყოთ ბორჩალოა სამაზრო ერობის აწინდელი მდგომარეობა უკეთესია მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები შეოკლებით იმ მოხსენებებიდან, რომელიც ხსენებულა ოფიციალურმა სარევიზიო კომისიამ წარუგდინა მთავრობას. ბულალტერიის შესახებ რევიზია ამ ობს: არც საზოგადო და არც ფინანსიური ანგარიში ერობის გამგეობისა 1919 და 1920 წლის განჯელობაში არ არსებობდა. ბულალტერია ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ იქიდან გაგება ერობაში შექოსული თანხებისა შუქლებელი გახდა.

არც ერთი ბალანსი, არც თვიური და არც საერთო 1919 წ. შედგენილი არ იყო, საკასო სალდო 1920 წ. 1-ლი იანვრისათვის თვით რევიზიის დაწყებაჟდის არაფინ არ იცოდაო. ასევე იქმნა გაცემული ავანსები, ბულალტერიის გაუგებლად გაგეობის წევრის კრომერისაგან სხვა და სხვა პირებისათვისა გამგეობაში შემოსულ გადასახადებიდან, რაზედაც ბულალტერია და კონტროლი იტყობდა მხოლოდ ავანსების მიმღებთაგან წარმოდგენილ ანგარიშებიდან, ამით მათ ერთმეოდათ საშუალება ედევნათ თვალყური როგორც ანგარიშების, ისე სხვა თანხების წესიერად შემოსავლისათვის. უნდა ამსთანავე აღინიშნოს, რომ სხვა და სხვა სამინისტროებისაგან გახსნილ კრედიტებზე (ассигнуемымъ) არ აწარმოებენ სასმეტო წიგნებს (не вѣдуться смѣтные книги), ამ კრედიტებზე შედარებითი ფურცლები (сличительные вѣдомости) ხაზინაში არ იგზავნებიან, და ამ უკანასკნელების გზავნა ხაზინაში დაწყებულია მხოლოდ რევიზიის შენიშვნის შემდეგ, რაც შემოწმებული იქმნა შულავერის ხაზინის შემდეგში რევიზიით.

დ. ბაშკიჩეთის რაიონის სასურსათო განყოფილების საწყობის რევიზიით (მოხდა 18 ოქტომბერს), აღმოჩნდა, რომ არავითარი წიგნები და ანგარიშები 19 აგვისტომდის საწყობის გამგეს უსტინოვსკის არ ჰქონია, რადგანაც მისი ახსნით; მას ექენი არც მიუღია. 19 აგვისტოდან კი ოქმის წიგნები: შესანახი (кладовая) საკასო, საქონლისა (товарная) და ინვენტარის, — ყველა შემოწმებულია კონტროლისაგან და წარმოებია სწორედ. საქონლის წიგნში არის დართული ა. წ. 17 აგვისტოდან ოქმი, რომლითაც გამგეობის წევრს შარჩიფოვს და ბაშკიჩეთის რაიონის მილიციის უფროსს ომაროვს შეუქმომწმებიათ ბაშკიჩეთის საწყობი, დაბეჭდილი 6 ივნისიდან გამგეობის კონტროლიორისაგან, თანახმად სარევიზიო კომისიის დადგენილებისა. ამ აქტით საწყობის გაგის პოლიხონოვისაგან ყოფილა ჩაბარებული ახალი გამგის უსტინოვსკისა-

თვის, რადგანაც აქვე დართულია მიღებ-ჩაბარების აქტი საიღანაც სჩანს, რომ საქონელი და ინვენტარი შევქონდათ ოქმში სინაღვილით. თუმცა რევიზიის დროს არ აღმოჩნდა საქირო ცნობები იმაზეც, თუ რა საგნები და რამდენი უნდა ყოფილიყო საწყობში, იმავე წიგნების შემოწმებით გამოირკვა, რომ 16 დეკემბერს 1919 წ. 597 მუხ. საკას-სო წიგნში ჩაწერილია 200 მან., ორდერით კი უნდა იყვეს ჩაწერილი 1200 მან., ეს უკანასკნელი რიცხვი იქმნა მიღებული რევიზიისაგან შემოსულად. შემდეგ გამოირკვა, რომ მილიციის ჯამაგირები იწერებოდა ყოველთვიურად, მიუხედავად იმისა იყო თუ არა დბრუნებული ჯამაგირების ფურცლები მიმღებთაგან წინა თვეები ჯამაგირების მიღებაზედ ხელის მოწერით, რის გამოც სამ მილიონამდე ნედლიძეები მოგროვალა და ამის ასაცდენათ და უკეთესი წესის შემოსაღებათ მიეცა გამგეობას წინადადება მოეთხოვა ორი კვირის განჯავლობაში გაწმედა ყველა მო-თხოვნილების, რასაც შედეგად მოჰყვა ორ მილიონზე მეტის ჯამის მოთხოვნილებების გასუფთავება (ერთვ-ს სია ვალებისა). ავანსების გა-ცემის წესის შესახებ გამოირკვა, რომ ხშირად იგინი (ავანსები) ექლევათ არა საქიროებისამებრ და უფრო მეტის რაოდენობით.

სკოლის განყოფილებაში, რომლის გამგეც შარფოვია და საქმის მწარმოებელი კი მისი ცოლის ძმა ეირანოვი, არაფერი თვალსაჩინო არ აღმოჩენილა, — სკოლების შენობები შარფოვისვე ახსნით თითქმის ყველგან შეუკეთებელია და სწავლა არ სწარმოებს ტეხნიკური დაბრ-კოლების გამო.

ადმინისტრაციის მოღვაწეობაზე მაზრაში იგივე ერობის სარევიზიო კომისია ასე დასძენს: მექრთამეობა, გაძარცვა, ცემა-ტყუბა, ანგარი-შების გამო ბოროტ მოქმედთა განთავისუფლება და სხვა უაღრესი დანიშნულებანი მილიციის უფროსებისაგან ჩვეულებრივ მოვლენად გა-დაიქცაო. გამგეობის საადმინისტრაციო განყოფილებისაგან მიღებულ ზომებს მასიური დათხოვნის სახით, არავითარი სისაღე არ შეაქვთო. სამართალში მიცემა მიზანს ვერ აღწევს, რადგან აქამდის 14 მაზრის მილიციის და რაიონის კომისიებიდან, რომლებიც სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენის გამო დათხოვნილი იქმნენ ჯერაც არავინ დასჯილაო, რის გამოც კომისია სთხოვდა საერობო ყრილ ობას ეთხოვა მთავრობისათვის სენატორის რევიზიის დანიშვნა. მოყვანილი ამონა-წერის გამო აღძრულ საერთოდ ბორჩალოს მაზრის ადმინისტრაციაზე რევიზიის საქმიდან ნათლად დახატულია იგივე სურათი მთელი რიგი

ადმინისტრატორების ბოროტმოქმედებისა, საიდანაც გამოყოფილ იქნა ცალკე საქმეები სხვა და სხვა პირებზე (ჩამოთვლილ იქნება ქვევით).

თვით საადმინისტრაციო დაწესებულების მმართველ-გაზეგობის რევიზიით გამოირკვა შემდეგი: სამაზრე მილიციის სამმართველოს უფროსია ვ. აორამიშვილი, თანაშენწედ ჰყავს პლ. ლოლაძე. რევიზიის ყურადღება მიიქცეის სატუსალო განყოფილებამ და იარალის საწყობა-პირველში, რომ: ა. ტუსალი მუსტაფა ალიოღლი, რევიზიის წინ ჩაის დასაღვეად სადღაც წასულიყო, ბ. ტუსალებს საკვები ფულები (დღეში სამი მანეთიც კი) თანხის უქონლობიგამო სრულებით აღარ ეძლევათ და გ. გამომძიებლებზე და მოპრიებებელ მოსამართლეზედ ჩარიცხული ტუსალები 26 და 18 დღის განმავლობაში, მათი (გამომძიებლის და მოსამართლის) ტფილისში წასვლის გამო (დაუკითხავები აღმოჩნდნენ, რის გამოც თანახმად სისხ. სამ. წეს. 10 მუხ. გათვალისწინებული იქნენ. მეორეში (საწყობში) კი ათი ცალი სხვა და სხვა იარალრ გაფლანგული აღმოჩნდა, რაზედაც რევიზიისაგან იქმნა აღძრული საქმე № 20.

ეკატერინოვსკის რაიონის სამილიციო სამმართველოში მცხოვრებთაგან ჩამორთმეული 14 ფუთი სულ უვარგისები აღმოჩნდნენ, მიყუდებული არიან (მიეცათ წინადადება მათ კუთვნილებისამებრ წარდგენაზედ).

წალკის მილიციის უფროსის სამართველოში, სადაც მილიციის უფროსის კობიძის სამსახურიდან გადაყენების გამო, მის მოვალეობას უფროსი მლიციონერი გოგვაძე ასრულებს, მოხელეთაგან იქმნა შემოტანილი საჩივარი ჯამაგირების მიუცემლობაზედ. მიზეზი ჯამაგირების ფურცლების გაუსუფთავებლობაა. ფულების წიგნის შემოწმებით აღმოჩნდა, რომ 15 მარტიდან შემოსული ფული — 61,920 მან. 70 კაპ. ჯერ ხაზინაში წარმოდგენილი არ არის და მისაღებ-ჩასაბარებელი ოქმიდან კი სჩანს, რომ ეს ფული კობიძისათვის მოუპარავთ. (მილიციის უფროსის კობიძის წინააღმდეგ რევიზიისგან იქმნა აღძრული საქმე № 2).

ბაშკიჩეთის რაიონის მილიციის უფროსის სამართველო, ყოფილ უფროსის ომაროვის მრავალ აუსრულებელ ქალაღღთა შორის, ყურადღებას იპყრობს მთელი რიგი ქალაღღებისა ყველის და ერობოს მექარხნეების დანგრევა გაძარცვაზე, რაზედაც საქმის მწარმოებელის თვალთვადის ახსნით კვლევა-ძიება არ არსებობს, რადგანაც საგანგებო კომისია უნდა იქნეს დანიშნული.

აშლა-სარალის (შულავერის) რაიონის მილიციის უფროსის სამართველოს რევიზიით არაფითარი თვალსაჩინო რამე არ აღმოჩენილა. დროებით მილიციის უფროსი პ. ლოლაძე, იგივე მაზრის უფროსის თანაშემწე, იქნა სამართალში მიცემული სხვა და სხვა ბოროტმოქმედებაზე. აღსაკვეც ზომით აერჩია—10.000 მან. საწინდარი და კომისიის თავმჯდომარის დადგენილებით, იქნა მთლად სამსახურიდან დათხოვნილი, როგორც შეუსაბამებელი თავის დანიშნულებისა. მოხელეთა წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები და ადგილობრივ მკხოვრებთა რევიზიის დროს განცხადებები, მთავრობის საგანგებო რევიზია სცნობს, რომ რესპუბლიკა მმართველ-გამგეობის დეცენტრალიზაციის გამო, მთელ თავის ეკონომიურ ძალას უნდა მოიპოვებდეს ადგილობრივ თვითმართველობებში. უკანასკნელთან ყველაზედ დიდს ერთეულს სამაზრო ერობა წარმოადგენს. ბორჩალოს მაზრის ერობას თავის ეტნოგრაფიული და გეოგრაფიული მდრგომაჩეობით, რესპუბლიკისთვის გარდა ეკონომიურისა, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს და რადგანაც ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრე, თუ კი დამუშავებული იქნა სათანადოთ, გაუძღვება მთელს რესპუბლიკას და აი ეს მოვალეობა (ადგილობრივი სიმდიდრის გამოუყენებლობისა), ედება ბორჩალოს სამაზრო ერობას და მის გამგეობას.

მართალია, როგორც რესპუბლიკის, ისე ერობის მომავალი წინ არის, მაგრამ მომავალი სულ წინ იქნება, თუ ჩვენ მას არ მიუახლოვდებით და ამ მხრივ კი გამგეობას ინიციატივა ჯერ არ უჩანს. ეს მოვალეობა ერობის გამგეობისა, მართალია შედარებით უფრო დაშორებული მოვალეობაა და ამ მხრივ უსაქმურობასაც თავისი საპატიო მიზეზები აქვს, მაგრამ ერობას აქვს პირდაპირი მოვალეობაც, ე. ი. მაზრის მართვა-გამგეობა და აი ამ მმართველის დარგები, რომლებიც რევიზიისგან ცალკე ოქმებით უკვე შემოწმებულია, ბევრი ან უწყესობას ვანიცდის, ან ხელუხლებელია; მიღებული თანხების ხარჯვა, როგორც დავინახეთ, თავიდანვე უწყსრიგაა. ადმინისტრაციის მოქმედება როგორც თვით გამგეობის წევრები და ერობის ხელნები ძლიერ ხმა მალა დადადებენ, დაუშვებელია, მაგრამ ამავე დროს პოლოხრონოვი (სხვა ბევრია ამგვარი მაგალითები) დათხოვნილი მილიციის უფროსობიდან ქრთამის აღებისათვის, ჯერ თვით ერობის გამგეობის სამმართველოში შოულობს ადგლს და შემდეგ კი ბაშკიჩეთის სასურსათო საწყობის გამგეთ ინიშნება, სადაც კვლავ იდენს ბოროტებას—ფლანგავს მინდობილ ქონებას და სამართალში იძლევა. (რევიზიის საქმე № 21).

ცხადია ყველა ბოროტმომქმედი ასეთი საერო ბო „მოღვაწე“, თუ ადმინისტრატორი, სასტიკათ დაისჯება, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ასეთი „მოღვაწე“ ვაჟბატონები სახელს უტეხენ ხალხის თვალში მთავრობას, ჩირქს ცეხბენ აგრეთვე ერობის იმ მოღვაწეთ, რომლებსაც მართლა დაუსახავთ მიზნად ხალხის კეთილდღეობსათვის ზრუნვა და წინაჰქდლოლობა. ბორჩალოს მაზრის ასეთ მდგომაზრობაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია; უსათუოდ უნდა განიწმინდოს ამ მაზრაში მომქმედი სახელმწიფო ორგანოები, დამნაშავეთ სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს, მაზრის წინაჰქდლოლობა უნდა ჩაბარდეს ნამდვილ ხალხის შვილებს და არა უვიცებს, რომლებსაც თავისი ჯიბის მდგომარეობა უფრო აინტერესებს, ვინემ საზოგადო საქმე.

გ. მ.

სამთო-სატახნიკო კურსები.

ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ დღეს ევროპაში ბევრს ლაპარაკობენ. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ბევრი უცხოელი ეწვია ჩვენს ქვეყანას და თვითყელი მათგანი დარწმუნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავალი ხელუხლებელი ბუნებრივი სიმდიდრეა; მაგრამ რა ფასი აქვს ამ სიმდიდრეს, თუ მას ჯეროვნათ ვერ გამოვიყენებთ, ვერ დავიმუშავებთ; და სამწუხარო და სავალალოც ის არის, რომ ჩვენ ამ სიმდიდრეს ახლო ვერ ვეკარებთ, თითქოს გვეშინია მისი ხელის შეხების; ნამდვილი მიზეზი ამისა კი ის არის, რომ ძალიან ღარიბათ ვართ სპეციალური, განსაკუთრებით ტექნიკური ძალებით; მაგრამ არ შეიძლება სიპოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, დამფუძნებელი კრება, ანგარიშს უწევს ამ გარემოებას და არ ზოგავს თანხებს ტექნიკური ცოდნის გასაძლიერებლათ. ამ მხრივ მან რამოდენიმე ნაყოფიერი დეკრეტი თუ კანონი მიიღო; წარსული წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში მან მიიღო აგრეთვე დებულება სამთო-ტექნიკური კურსებისა, რომელიც დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენში სამთო-მადნო საქმის განვითარებას; ზედმეტად არ მიგვაჩნია ჩვენი ერობების საყურადღებოთ ხსენებული კურსების დებულება:

1) კურსები არსდება რესპუბლიკის სამთო-მადნო სამმართველო-სთან.

2) კურსებზე მიიღებიან უმაღლეს დაწყებითი სკოლის სწავლა დამთავრებულნი ან გიმნაზიის 4 კლასის კოდნიანი.

3) პროგრამა კურსებისა: საბთო კანონმდებლობა, სამთო საქმე, გეოდეზია და მარკმეიდერია, მინერალოგია, გეოლოგია და პეტროგრაფია, ქიმია და სასინჯო საქმე, აღმშენებლობა, ტეხნოლოგია ლითონისა და ხისა, სამთო საქარხნო მექანიკა, ელექტრო-ტეხნიკა, ჰიგიენა, დაშავებულთა უმალი შველა და ტეხნიკური ხაზვა.

4) კურსებზე სწავლა იწყება ოქტომბრის 1-ს და სწარმოებს 1 წელიწადს. პირველი 3 თვის თეორეტიული მეცადინეობის შემდეგ 2 თვე სწარმოებს პრაქტიკული ვარჯიშობა გეოდეზიასა და მალარობის საქმეში; შემდეგ 3 თვე თეორეტიული კურსია და ბოლოს სამი თვის პრაქტიკა გეოლოგიაში, მარკმეიდერიაში და გამოცდა.

5) თეორეტიული კურსისა და პრაქტიკული მუშაობის შემდეგ ენკენისთვეში კურსისტები ჩაბარებენ გამოცდას ყველა საგნებში; კურს დამთავრებულთ ეძლევათ მოწმობა.

6) პასუხისმგებელ ხელმძღვანელად და გამგელ ითვლება სამთო-მალარო სამმართველოს უფროსი, რომელიც მოიწვევს ლექტორებს და მასწავლებლებს და სხვა საკირო პირებს, ყურს უღდებს თეორეტიულ მეცადინეობას, გაანაწილებს პრაქტიკულ მუშაობას, აწარმოებს საძეურნეო საქმეს და წარუდგენს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწელობის მინისტრს ანგარიშებს როგორც საპედაგოგიო ნაწილისას, აგრეთვე ყოველი ხარჯისას. გამგის მოადგილეს დანიშნავს ფინანსთა მინისტრი გამგის მიერ წარდგენით.

7) ლექტორებად კურსებზე შეუძლიანთ იყვნენ უმაღლეს სპეციალ სწავლა დამთავრებულნი, უპირატესად სამთო ინჟინრები.

8) გასარკვევად ყოველი საკითხისა, რომელიც ეხება კურსების სწავლის საქმეს, გამგე, მოთხოვნილებისა და გვარად მოიწვევს საპედაგოგიო საბჭოს, რომელიც მისი თავმჯდომარეობით გადასწყვეტს საკითხებს.

საბჭოს დადგენილებანი სისრულეში მოჰყავს გამგეს.

9) სამეურნეო საკიო ხებს განაგებს სამეურნეო კომიტეტი, რომეშიაც შედიან გამგე (თავმჯდომარე) და ორი წევრი, პედაგოგიურ საბჭოს მიერ არჩეული.

10) კურს დამთავრებულთ მიეცემათ მოწმობა და უფლება პასუხ-

საგები სამთო მადნო მუშაობის წარმოებისა და შტეიგერების თანაშემწისა.

ერობებმა უსათუოდ უნდა ისარგებლონ ამ კურსებით: უნდა გამოგზავნონ ახალგაზრდები მაზრიდან ხსენებულ კუროსებზე სპეციალური ცოდნის შესაძენათ.

X.

ქართული ჩუქურთმების ხელოვნების ისტორია

ჩუქურთმის ჭრის ხელოსნობა საქართველოში ძველადგანავე გავრცელდა. XI საუკუნეში მან უმაღლეს წერტილს მიაღწია და ჩუქურთმის ხელოვნურათ ჭრა ქართველებმა თვით მარმარილოს ქვაზედ ამოჭრილთაჲ კი განავითარეს, რის მოწაჲვეც გახლავთ ზედა აჭარაში სოფელ ვანის ეკლესიის აკლდამაში ნაპოვნი ერთ არშინიანი ლურჯი მარმარილოს ქვა, რაზედაც დიდის ხელოვნურის ჩუქურთმით ამოჭრილია ღვთის მშობლის მიცვალება.

ძვირფასი ნაშთნი ეკუთვნიან XII საუკუნის ნახევარს. კარგათ სჩანს, რომ საქართველოში მარმარილოს ქვაზედ ჩუქურთმის ხელოსნობა XIII საუკუნის, ანუ მონგოლების შემოსევის შემდეგ დაეზარდა, ქართველებმა შეინარჩუნეს მხოლოდ ბზის ხეზედ ჩუქურთმის ჭრის ხელოსნობა და მარმარილოს ქვაზედ ამომჭრელი სრულიად მოისპო, გაქრა.

საქმე იქამდის მივიდა, რომ მარმარილოს ქვაზედ ჩუქურთმის ჭრის ხელოსნობა კი არა და მის ხსენებაც აღარავის უნდოდა, თუმცა XVIII საუკუნეში მაინც იყვნენ თითო ოროლა ისეთი ქართველნი, რომელთაც ისტორიულათ იცოდნენ, რომ ერთ დროს საქართველოში მარმარილოს ქვაზედ ჩუქურთმის ჭრა დიდათ იყო გავრცელებული. ხოლო მუსულმანთა ბარბაროსობით იგი მოსპობილ იქმნა საშუალო საუკუნეში. ქართველებში დარჩა მხოლოდ მარმარილოს ქვაზედ ჩუქურთმის ჭრა, ისიც ტლანქათ და მხოლოდ საფლავის ქვებზედ. სხვაზედ ყველაფერი მოისპო.

ასე თუ ისე, XVIII საუკუნის გასვლამდის, მაინც იყვნენ თითო ოროლა ისეთი ქართველნი, რომელთაც ამ ჩუქურთმის ჭრის ხელოსნობის და-

ცემის პირობები კარგათ იცოდნენ. ასეთი იყო სხვათა შორის იას. ანდრონიკოვი და სხვებიც. განვლო XVIII საუკუნე და ეს მცოდნე პირებიც დაიხოცნენ და შის შემდეგ დადგა XIX საუკუნე. საქართველო რუსეთს ჩაბარდა და ამ გარემოებამ ქართული ჩუქურთმით ქრის ხელოვნობის ცნებაც კი სრულიათ დაამხო და მოსპო. ამ საუკუნეში ქართველებში ეს ხელობა ისე დავარდა, რომ ქართველთა შორის მარმარილოს ქვაზედ ამომჭრელს სანთლის ძებნითაც ვერ იპოვნენ. იყვნენ და არიან თითო ოროლა ისეთი ოსტატები, რომელნიც დიდის წვალეზით და ჭაბანწყვეტით საფლავის ძეგლებსათვის სჭრავენ ისიც პატარა მარმარილოს ქვებზედ, სხვა რამ დიდს სურათებს ვერას ამოსჭრიდნენ. 1870 წლებში ტფილისში გაჩნდა ერთი იტალიელი ჩუქურთმის მჭრელი ანდროლოტი. სხვათა შორის ამასთან სწავლობდა ჩუქურთმის ხელოვნობას ნიკ. მეტეხელი. ეს პირი გაემგზავრა ევროპაში, იყო იტალიაში, საფრანგეთში, იქაც განაგრძო თავის ხელობის შესწავლა. ესლა ნიკ. მეტეხელი დაბრუნდა თავის სამშობლო საქართველოში და სურვილი აქვს, რომ განაგრძოს თავის ხელოვნობათ მუშაობა. ეს პირველი მაგალითია ქართველის კაცისაგან, რომ XIX საუკუნეში მარმარილოს ქვაზედ ჩუქურთმის ქრას ვინმე განაგრძობდეს და ამიტომ უსურვებთ მას დიდს წარმატებას.

ზ. ჭ.

მოქალაქეობის კანონის განმარტება

საქართველოს სენატმა საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრების გამწესრიგებელ სხდომაზე მოისმინა საკითხი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის 1919 წლის მაისის 27-ის კანონის 1 მუხლის განმარტების შესახებ.

ა. წ. 16 სექტემბერს № 84 და 17 ოქტომბერს № 90 იუსტიციის მინისტრმა, სენატს პროკურორის საშუალებით, მიმართა სენატის თავმჯდომარეს და ითხოვა, რათა სენატმა განმარტოს საზოგადოდ, თუ როგორ კატეგორიას რესპუბლიკის მცხოვრებთა აქვს უფლება ჩაითვალოს, 27 მაისის 1919 წლის კანონის ძალით, საქართველოს მოქალაქედ, და კერძოდ განმარტოს ნამდვილი აზრი კანონში ნახმარ სიტყვებისა: „მკვიდრი“, „მიწერილი“ და „ადმინისტრაციული ერთეული“.

თავდაპირველად საქართველოს მოქალაქეობის კანონი გაჩოცა ეროვნულ საბჭოს მიერ 16 ივლისს 1918 წელს (იხ. კან. კრებული, კან. 20). ამ კანონში იყო აღნიშნული მხოლოდ ის, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს საზოგადოდ საქართველოს მოქალაქედ. კანონის 1-ლი მუხლისა და მასთან დართულ შენიშვნის ძალით, საქართველოს მოქალაქედ უნდა ჩაითვალოს ყოველი მკვიდრი მცხოვრები საქართველოს რესპუბლიკისა, ხოლო მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე. 1918 წლის კანონმა, მისი გამოცემისთანავე გამოიწვია დიდი გაუგებრობა, იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს სიტყვები: „ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერილი“, სხვა და სხვა აზრი გამოითქვა. ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 18 დეკემბერს იმავე წელს № 21595, გამოსცა ცალკე ცირკულიარი, სადაც განმარტა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერილად უნდა ჩაითვალოს ყოველი მკვიდრი, რომელიც ზემოაღნიშნულ ვადამდე იყო მიწერილი: 1) სოფლისა, 2) თავად-აზნაურობის, 3) მეშხანთა, 4) ნაფიც ვეჟილთა და 5) ვაჭართა საზოგადოებებზე; აგრეთვე ყოველი; 6) პირადი აზნაური და 7) საპატოო მოქალაქე, უკეთეს ის 1914 წლის 19 ივლისამდე დაბადებულია საქართველოში ან მისი მშობლები იყვნენ მიწერლნი ზემო დასახელებულ საზოგადოებებზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვერ გამოარკვია საბოლოოდ აღძრული საკითხი, და ის გაუგებრობა, რომელიც კანონმა იმ დროს გამოიწვია, მაინც დარჩა. დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო-საარჩევნო კომისია არ დაეთანხმა მინისტრის ცირკულიარს და 1919 წლის 27 იანვრის სხდომაზე თავის მხრივ განმარტა, რომ „ნაფიც ვეჟილთა, კორპორაცია არ წარმოადგენს მოქალაქეობის კანონში ნაჩვენებ ადმინისტრაციულ ერთეულს.“

შემდეგ, 27 მაისს 1919 წელს დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა ახალი კანონი მოქალაქეობისა (1919 წლის კანონთა კრებული, კანონი 66).

დამფუძნებელმა კრებამ გააუქმა რა 1918 წლის 16 ივლისის მოქალაქეობის კანონი, განიმეორა ახალ კანონში მთავარი დებულება ძველი კანონისა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს საქართველოს მოქალაქედ; ამას დაუმატა კიდევ სამი ჯგუფი საქართველოს მცხოვრებთა, რომელთაც მოქალაქეობის უფლება მიანიჭა, და აღნიშნა წესი საქართველოს მოქალაქეობის შობებისა და დაკარგვის მერმისში. 1919

წლის კანონის 1-ლი მუხლის ძალით, „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსაზე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-მდე“. მცხოვრებთა აღნიშნული კატეგორია ითვლება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებად თავის თავად, თვით კანონის ძალით და მათთვის არავითარი განსაკუთრებული წესი მოქალაქეებად ჩარიცხვისა არ არის განსაზღვრული. გარდა ამ კატეგორიისა, კანონმდებელმა აღნიშნა კიდევ სამი ჯგუფი საქართველოს მცხოვრებლებისა, რომელთაც უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეობისა, სახელდობრ: 1) ყოფილ რუსეთის ყოველი ქვეშევრდომი (ე. ი. მოქალაქე), რომელიც 1914 წლის იანვრის 1-დან განუწყვეტლივ სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე (მე-2 მუხ.); 2) ყოფილ რუსეთის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც არა ნაკლებ სამი წლისა (კანონის გამოქვეყნების დღემდე) სცხოვრობს განუწყვეტლივ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელსაც საქართველოს რესპუბლიკაში აქვს რაიმე უძრავი ქონება, ან თავის საქირაო შრომით იზრუნს თავს (მე-3 მუხლი); და 3) ყოფილ რუსეთის ყოველი ქვეშევრდომი ქართველი (მე-5 მუხლი). მე 2, 3 და 5 მუხლებში აღნიშნული პირნი, კანონის ძალით, ჩაითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამი თვის განმავლობაში, დღიდან კანონის გამოქვეყნებისა, განუტყხადეს ადგილობრივ მორიგებელ მოსამართლეს, რომ მათ სურთ საქართველოს მოქალაქეობა, და მოსამართლემ დააკმაყოფილა იმათი თხოვნა, სათანადო მოწმობის მიცემით (მე-4 მუხლში). 1919 წლის კანონიდან ნათლად სჩანს, რომ ამ ჟამად მე-2, 3, 4 და 5 მუხლებს მხოლოდ ისტორიული თნიშნელობა აქვთ; ამ მუხლებში დასახელებულ პირთაგან ჩაითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად მხოლოდ ისეთნი, ვინც ზემოდ აღნიშნულ ვადაში სათანადო მოწმობა მიიღო; ვისაც ასეთი მოწმობა არა აქვს მიღებული, მას შეუძლია მხოლოდ ნატურალიზაციის წესით იშუამდგომლოს ადგილობრივ თვითმართველობის საბჭოს წინაშე მოქალაქეობის მინიჭებაზე (მე 7 მუხ.).

მაშასადამე სენატის განმარტებას თხოულობს ამ ჟამად 1-ლი მუხლი კანონისა, და კერძოდ ამ მუხლში ნახმარი სიტყვები: „მკვიდრი, მიწერილი ადმინისტრაციულ ერთეულზე“.

სახელმწიფოებრივ სამართალში მოქალაქეობის საკითხი მიტად მნიშვნელოვან საკითხად ითვლება. მოქალაქეობა ან ქვეშევრდომობა შეა-

დგენს იურდიულ კავშირს მოქალაქეთა და სახელმწიფოს შორის. ამ ურთიერთობაში ორივე მხარე, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე თვით მოქალაქე აღჭურვილია განსაზღვრულ უფლება-მოვალეობით. ამით მოქალაქე არსებითად განიჩნევა უცხოელისაგან, რომლის კავშირი სახელმწიფოსთან მხოლოდ ფაქტიურია, და არა იურიდიული. მოქალაქე აქტიურ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, იგი ქმნის და ამტკიცებს სახელმწიფოებრივ ორგანიზმს, სადაც სახელმწიფო ძველი დროიდან არსებობს, იქ მოქალაქეობის საკითხი შედარებით მარტივია და ნათელი. ძველ ქვეყნებში სახელმწიფოებრივი ნიადაგი, სახელმწიფოს მთავარი ძალა უკვე გამორკვეულია; იქ საჭიროა განსაზღვრა მხოლოდ იმისა, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს მოქალაქედ მომავალ დროისთვის. სულ სხვანაირად უნდა დაისვას და გადასწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ახლად წარმოიშვა ან განახლდა, როგორც ეს მოხდა 26 მაისს 1918 წელს საქართველოში. ამ შემთხვევაში უპირველეს საჭიროებას განახლებულ ან ახლად წარმოშობილ სახელმწიფოსი შეადგენს გამონახვა და განსაზღვრა მოქალაქეობის საძირკველისა. არის ორგვარი დებულება, ანუ პრინციპი, რომელზედაც შეიძლება დამყარდეს მოქალაქეობის კანონი: ერთია ტერიტორიალური პრინციპი, რომლის ძალით მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მცხოვრები განურჩევლად ეროვნებისა, რომელიც ამა თუ იმ დრომდე სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში დაბინავდა; მეორე ნაციონალური ან სისხლის პრინციპია, რომლის ძალით მოქალაქედ ჩაირიცხება ამა თუ იმ ერის წევრი და არა ტერიტორიის მცხოვრებნი; არის აგრეთვე მესამე, შერეული სისტემა, დამყარებული ორივე პრინციპზე: ტერიტორიალურ და ნაციონალურზე.

27 მაისის 1919 წლის კანონს საფუძვლად უდევს შერეული სისტემა, როგორც ეს კანონის აზრიდან და კანონ-პროექტის მომხსენებელის განმარტებიდან სჩანს; ხოლო, უმთავრეს ღერძათ ამ კანონისა უნდა ჩაითვალოს ტერიტორიალური პრინციპი. კანონ-პროექტის მომხსენებელი ამბობს ამის შესახებ შემდეგს: „რაზე უნდა აშენდეს სახელმწიფო. არსებობს ორი პრინციპი:—ტერიტორიალური და სისხლის. უთამომავლობის პრინციპი. ჩვენ კანონ-პროექტში მიღებული არის პირველი პრინციპი, როგორც მთავარი ღერძი: ვინც ამ ტერიტორიაზე სცხოვრობს და მასთან დაკავშირებულია გავლით კი არა, არამედ მუდმივად, რომელიც თავის ინტერესებს უკავშირებს ამ სახელმწიფოს, ამ

ტერიტორიის ინტერესებს, ის ცხადია, არის მოქალაქე იმ სახელმწიფოსი, იმ ორგანიზმისა, რომელიც ამ ტერიტორიაზე წარმოიშვა. ცხადია, სხვა გვარი წარმოდგენა სახელმწიფოსი და სახელმწიფო ორგანიზმისა არ შეიძლება. ყველა სახელმწიფო ამ პრინციპით, ამ წესით არის აშენებული, და ჩვენ არ შეგვიძლია რაიხე გამონაკლისი შევქნათ. კანონ-პროექტი სდგას ტერიტორიალურ პრინციპზე, ე. ი. აღიარებს მოქალაქედ ყველას განურჩევლად, ვინც კი სცხოვრობს, და ვინც დაკავშირებულია ამ ტერიტორიასთან. მაგრამ, მხოლოდ პრინციპი რომ გველიარება—ე. ი. გვეთქვა: „მოქალაქეა ის, ვინც დაკავშირებული არის ამ ტერიტორიასთან“—ვერც ერთი იურისტი, და ვერც აღმასრულებელი ორგანო ვერ გამოარკვევდა იმას, თუ ვინ არის დაკავშირებული ჩვენ ქვეყანასთან და ვინ არა. მაშასადამე, აქ მთავარი მოვალეობა კანონმდებლობისა იყო—გამოენახა, გამოერკვია განსაკუთრებული ელემენტი, ნიშანი, რომლითაც ყოველ კაცს შეეძლო გაეგო, — ეს ადამიანი არის მართლაც დაკავშირებული ამ ტერიტორიასთან და ეს კი არა. ჩვენ მოვინახეთ ერთი მომენტი, ეს გახლავთ ის, რომ თუ ადამიანი არის მიწერილი აქა თუ იმ ერთეულზე, უკვე წინეთ გახდა მცხოვრები აქა თუ იმ გუბერნიისა, სოფლის საზოგადოებისა, მან ამით, ცხადია გაიზიარა ერთეულების ბელი, და როცა ეს გუბერნია, მაზრა, და სოფლის საზოგადოება გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, — მისი წევრი გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკის წევრად. მის მოქალაქედ ეს უდავო დებულებაა ყველგან. აქ არის განსაზღვრული ერთგვარი ობიექტური ელემენტი, რომელშიაც სუბიექტური ნებისყოფაც გამოიხატება იმით, რომ წინათაც დაკავშირებული იყო ამ ტერიტორიასთან.“

ზემო მოყვანილი განმარტება მომხსენებლის სრულიად ეთანხმება 1919 წლის კანონის 1-ლი მუხლის აზრს, ვინაიდან ამ მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი რესპუბლიკისა, განურჩევლად მისი ეროვნებისა. თუმცა ქართველს ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა, მაგრამ ამ უპირატესობას არსებითი მნიშვნელობა როდი აქვს. ქართველთა უპირატესობანი გამოხატულია კანონის მე-5 მუხლში, და მე-7 მუხლის მეორე უნიშვნაში. მე-5 მუხლში ნათქვამია, რომ ყოველ ქართველს, მიუხედავად იმისა, დაბუნავებულია იგი საქართველოში თუ არა, ეძლევა უფლება სამი თვის განმავლობაში, დღიდან კანონის გამოქვეყნებისა, ითხოვას მომარტებელ მოსამართლესთან, ან მახლობელ კონსულთან, რათა მას სა-

ქართველოს ქვეშევრდომობა მიენიჭოს. მე-7 მუხლის მე-2 უენიშვნაში-
კი აღნიშნულია, რომ ყოველ ქართველს, მიუხედავად იმისა, რამდენი
ხანი ცხოვრობს იგი საქართველოში, შეუძლია ითხოვოს ადგილობრივ
თვითმმართველობასთან, რათა მას მიენიჭოს, ნატურალიზაციის წესით,
საქართველოს მოქალაქეობა. მაშასადამე, ქართველს, უკეთუ იგი არ
აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელიც 1-ლი მუხლი ნაჩვენებია, თა-
ვის თავად როდი ენიჭება საქართველოს მოქალაქეობა, არამედ საჭი-
როა, რომ მან მომრიგებელ მოსამართლეს, კონსულს, ან თვითმმარ-
თველობის საბჭოს სათანადო თხოვნით მიმართოს. აქედან ცხადია, რომ
1-ლ მუხლში ნახმარი სიტყვა მკვიდრი გულისხმობს ყველა ტომის
მცხოვრებთ: როგორც ქართველებს, ისე არა ქართველთაც.

სიტყვა მკვიდრი საზოგადო ცნებაა და არა განსაკუთრებული,
იურიდიული: მკვიდრი—მუდმივი მცხოვრებელი ან ბინადარი (коренной
житель, природный обыватель) ხოლო მუდმივ მცხოვრებლად ან
ბინადრად უნდა ჩაითვალოს ისეთი მოქალაქე, რომელიც ამა თუ იმ
ტერიტორიასთან მკვიდროდ არის დაკავშირებული. ეს რომ ასეა, ნათ-
ლად სჩანს, სხვათა შორის, კანონ-პროექტის მომხსენებლის განმარტე-
ბიდან, რომელმაც 1919 წლის 9 მაისის სხდომაზე განაცხადა: „კანონ-
პროექტი სდგას ტერიტორიალურ პრინციპზე, ე. ი. ის აღიარებს მო-
ქალაქედ ყველას განურჩევლად, ვინც კი სცხოვრობს და ვინც დაკავ-
შირებულია ამ ტერიტორიასთან“. მაშასადამე, საქართველოს მკვიდრი
არის ამ ქვეყნის მუდმივი მცხოვრები ანუ ბინადარი, განურჩევლად
ეროვნებისა, საქართველოს ტერიტორიასთან დაკავშირებული.

შემდეგი სიტყვები, კანონში ნახმარი: „ადმინისტრაციულ ერთე-
ულზე მიწერილი“ არის მხოლოდ განმარტება პირველი ცნებისა, ე. ი.
„მკვიდრისა“. კანონმდებელს რომ ეთქვა: „საქართველოს მოქალაქედ
ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიის ყოველი მკვიდრი“, და ამით
1-ლი მუხლი დაემთავრებია, მაშინ, კანონის შეფარდების დროს, ყვე-
ლასთვის დარჩებოდა გამოურკვეველი, თუ ვინ არის საქართველოს
მკვიდრი, მისი მუდმივი მცხოვრები, ტერიტორიასთან დაკავშირებული.
საჭირო იყო ისეთი ნიშნის გამოჩენა, რომლითაც ყოველ კაცს შეეძ-
ლო გაეგო—ეს ადამიანი არის მართლა ტერიტორიასთან დაკავშირე-
ბული თუ არა. ასეთი ნიშანი კანონმდებელმა გამოხატა სიტყვებით:
„ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერილი. მაშასადამე შემო მოყვანილი
სიტყვა არის განმარტება სიტყვისა: „მკვიდრი“, და რომ ეს ასეა,

მტკიცდება, სხვათა შორის, იმით, რომ 27 მაისის 1919 წლის კანონისა, როგორც ეს კანონ-პროექტის მომხსენებელმა 9 მაისის სხდომაზე აღიარა; იქ კი პირდაპირ ნათქვამია, რომ „მკვიდრი ეწოდება იმას, ვინც მიწერილია რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე“.

ადმინისტრაციული ერთეული ტერიტორიალური ცნებაა: ადმინისტრაციულ ერთეული უნდა ვიგულისხმოთ, როგორც სახელმწიფოებრივ ტერიტორიის განსაზღვრული ნაწილი, სადაც მოქმედებს ადგილობრივი ადმინისტრაციული ხელისუფლება; ასეთ ერთეულებად საქართველოში 1914 წელში იყო: 1) სოფლის საზოგადოება, 2) მაზრა, 3) ქალაქი და 4) გუბერნია. ასე ესმოდა ეს ცნება თვით კანონმდებელსაც, რაც გამოძღინარეობს კანონ-პროექტის მომხსენებელის შემდეგ სიტყვებიდან: „თუ ადამიანი არის მიწერილი ამა თუ იმ ერთეულზე, უკეთუ წინედ გახდა მცხოვრები ამა თუ იმ გუბერნიის, სოფლის საზოგადოებისა, მან ამით, ცხადია, გაიზიარა ერთეულების ბედი, და როცა ეს გუბერნია, მაზრა და სოფლის საზოგადოება გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად,—მისი წევრი გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკის წევრად, მის მოქალაქედ“.

ორივე ცნება: „მკვიდრი“ და ადმინისტრაციული ერთეული“ შედარებით მარტივია და არავითარ გაუგებრობას არ იწვევს; გაუგებრობას იწვევდა და იწვევს მხოლოდ სიტყვები: „მიწერილი ადმინისტრაციულ ერთეულზე“. ერთეულზე მიწერა ტერიტორიასთან მუდმივი და არა დროებით კავშირს ნიშნავს, ისეთ კავშირს, რომელიც მცხოვრებს ამ ერთეულის ბინადრად ანუ მკვიდრად ქმნის, მაგრამ არ შეიძლება კანონის სიტყვები „ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერილი“ — მიღებულ იქნას იმ აზრით, ვითომ მოქალაქეობის უფლების მოსაპოვებლად საჭირო, ან შესაძლო იყო თვით ადმინისტრაციულ ერთეულზე — გუბერნიაზე, მაზრაზე პირდაპირი მიწერა. ანაირი მიწერა ფორმალურად შეუძლებელია და არსებულმა კანონებმა არ იცის. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებელი ხმარობს ტერმინს „ადმინისტრაციული ერთეული“ მხოლოდ ტერიტორიის აღსანიშნავად გულისხმობს მიწერას იმ მუდმივ კანონით დაწესებულ, წოდებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, რომელიც ადმინისტრაციულ ერთეულის საზღვრებში არსებობენ და მასთან არიან შეკავშირებული. საქმე იმაშია, რომ ძველ რუსეთში 1917 წლის რევოლუციამდე ხალხი წოდებრივად იყო და-

ყოფილი: წოდებრივი წესწყობილება იყო დამახასიათებელი თვისება ყოფილ რუსეთისა.

მე-IX ტომის 1-ლი მუხლის ძალით, რუსეთის, მოქალაქეებად ითვლებიან ე. წ. მკვიდრი მცხოვრებნი (природные обыватели), რომელიც შესდგებოდნენ შემდეგ 4 ჯგუფიდან. თავადაზნაურობა, სამღვდელობა, ქალაქისა და სოფლის მკვიდრნი. თავადაზნაურობა შესდგებოდა შთამომავლობით და პირად აზნაურთაგან. ქალაქთა მკვიდრთა შორის განიჩიოდნენ: 1) საპატრიო მოქალაქენი, 2) ვაჭარნი, 3) მეშჩანები და 4) ხელოსნები; მეშჩანებს საქართველოში, ზოგიერთ შემთხვევაში უწოდებდნენ მოქალაქეებს. ყველა დასახელებულ წოდებას, გარდა პირად აზნაურების და საპატრიო მოქალაქეებისა, ჰქონდა საკუთარი ორგანიზაცია, საკუთარი თვითმართველობა, რომელნიც არა მარტო წოდებრივ ხასიათის საქმეებს განაგებდა, არამედ ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც ასრულებდა; მაგალითად, მაზრაში იყო სოფლისა ან გლეხთა საზოგადოება, ქალაქში ხელოსანთა ცეხი და მეშჩანთა საზოგადოება, გუბერნიაში თავადაზნაურთა საზოგადოება, და ეპარქიაში—სასულიერო წოდება. ყოველი ადგილობრივი მკვიდრი უნდა მიწერილიყო (ან ჩაწერილიყო) არა ადმინისტრაციულ ერთეულზე, მაგალითად: მაზრაზე ან გუბერნიაზე არამედ ზემოდასახელებულ წოდებრივ ერთეულებზე. მართალია, არსებობდა მეტად მცირე ჯგუფი ადგილობრივ მცხოვრებლებისა ანუ მკვიდრთა, სახელდობრ: პირადი აზნაურნი, საპატრიო მოქალაქენი და ვაჭრები, რომელნიც როგორც ასეთნი არც ერთ საზოგადოებაზე ან წოდებაზე არ ეწერებოდნენ; მაინც, რომელსამე ზემოდ დასახელებულ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, როდესაც კანონმდებელი ადმინისტრაციულ ერთეულზე ამბობს, იგი მის ტერიტორიაზე არსებულ წოდებრივ ან საზოგადოებრივ ერთეულს გულისხმობს, ვინაიდან მხოლოდ ასეთ ერთეულზე მიწერა სავალდებულო იყო მკვიდრთათვის და ტერიტორიასთან აკავშირებდა მათ. თავის თავად ცხადია, რომ ვაჭართა საზოგადოება ან ნაფიც ვეჟილთა კორპორაცია არ შეადგენს ასეთ ერთეულს, ვინაიდან იმაზე მიწერა არ იყო სავალდებულო და მიწერილს ტერიტორიასთან არ აკავშირებდა.

ზემომოყვანილისა გამო სენატი განმარტავს:

1) საქართველოს მკვიდრი არის მუდმივი მცხოვრები ანუ ბინადარი, საქართველოს ტერიტორიასთან დაკავშირებული; 2) სიტყვები: „ადმინისტრაციულ ერთეულზე მიწერილი“ არის განმარტება ცნებისა:

„მკვიდრი“; 3) ადმინისტრაციული ერთეული არის ტერიტორიალური ცნება. 4) სიტყვა „მიწერა“, „მიწერილი გულისხმობს ისეთ ჩაწერას ადგილობრივ წიგნებში, რომელიც აკავშირებს ჩაწერილს ადგილობრივ ტერიტორიასთან და ჰქმნის მას მუდმივ მცხოვრებად ამ ტერიტორიისა; 5) „ადმინისტრაციულ ერთეულზე მაწერილი“ უნდა ვიგულისხმოთ, როგორც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, რომელსავე წოდებრივ ერთეულზე მიწერილი, სახელდობრ: ა) სოფლის საზოგადოებაზე, ბ) მეშხანთა, (მოქალაქეთა) წოდებაზე, გ) ხელოსანთა ცენტებზე, დ) სასულიერო წოდებაზე და ე) თავად-აზნაურობის საზოგადოებაზე; 6) საქართველოს მოქალაქედ უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკის ყოველი მცხოვრები, რომელიც 1914 წლის 19 ივლისამდე იყო მიწერილი რომელსავე ზემოდასახელებულ საზოგადოებაზე ან წოდებაზე; 7) ძირადი აზნაურნი, საპატიო მოქალაქენი, ნაფიცნი ვექლნი და ვაჭარნი ჩაითვლებიან საქართველოს მოქალაქეებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ თითონ ისინი ან მათი წინაპარნი აღნიშნულ ვადამდე მიწერილი არიან რომელსავე ზემო დასახელებულ საზოგადოებაზე ან წოდებაზე.

გაერთიანებული საქართველო და ხელოვნება

(სახალხო ლექტორის საუბარი)

გაგეგონებათ: იყო ერთი მეფე. სიკვდილის უამს მოიხმო შვილები, მოატანინა ორი კონა წნელი. ერთი მათგანი გახსნა და თითო-თითოდ სულ დალეწა, ხოლო მეორე, შეკრული ვერას გზით ვერ გასტეხა. მიუბრუნდა შვილებს და უთხრა:

— აი, შვილებო! ხომ ჰნახეთ: თუ დაცალცაკევდებით, ყველანი დაიღუპებით, ხოლო თუ ერთად იქნებით, ერთპირად შეკრული და ზურგით ზურგს მიეყრდნობით, მტერი ვერას გიზავთო.

ასეთია ერთობის ძალა

ერთობის კერძო ცხოვრებაში თუ ასეთი მნიშვნელობა აქვს, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ერის, მთელი ქვეყნის ცხოვრებაში.

ასეთი ერთობა დღეს კიდევ უფრო ჩვენთვის, ქართველი ერისათვის არის საჭირო.

რატომ?

იმიტომ, რომ მთელი ას-ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ჩვენის დაქსაქსულობით ტყვედ-ყოფილნი, ახლა შევსდექით თვითარსებობის გზაზე, ირგვლივ მრავალი მტერი გვარტყია და საკუთარის ძალღონით ვფაქობთ ჯერ კიდევ არ გაგონილ წყობილების შემოდებას—ხალხოსნურ მართვამგებობით განმტკიცებულ სახელმწიფოს დაარსებას, ე. ი. მთელი ერის, მთელი ხალხის უფლების უზენაესობის განმტკიცებას. ეს-კი ხალხის დამმონავებელ ბატონ-მჩაგვრელებს ძილს უფროთხობს და ყოველის ღონისძიებით ცდილობენ ჩვენის მისწრაფების, ჩვენის გულის ნადების განხორციელების შეფერხებას.

მაშ როგორი ერთობა გვინდა?

ერთობა სულიერი, ნივთიერი, უფლებრივი, სახელმწიფოებრივი... რა ანუ ვინა ჰქმნის ამ ერთობას?

ხელმწიფე და მისი კანონმდებელი მოხელე?—არა; შეიარაღებული ძალა და რკინისებური მართვა-გამგებობა?—არა და არა!

მოგეხსენებათ ჩვენი სამშობლო ოთხი ათას წელიწადზე მეტია არსებობს და უქველეს დროს რომ თავი დავანებოთ, ქრისტეს შემდეგ დანაც-კი საქართველოში არ ყოფილა მუდმივი ერთობა... იყო შიგა და შიგ ისეთი დრო, როცა ერი კულტურით, განათლებით, მაშასადამე საჩუწლო თუ სახუროთმოძღვრო ხელოვნებითაც აიწევდა ხოლმე, —მაშინ ქათველი ერი გაერთიანების გზას ადგებოდა, თორემ უმისოდ ხშირად მთელი ჩვენი სამშობლო დაქუცმაცებული იყო: ეს პაწაწა ქვეყანა, კავკასიონის ქედის კალთებზე, შავისა და კასპიის ზღვებ შორის გაშლილი, მტკვარ-ალაზან-რიონისა და თერგ-ჭაპალა-ხრამის სარწყავებზე, და ქორჯ-მურღულ-ჩხალა-აქარის წყლის სათავეებიდან მოყოლებული მათა თერღოებზე გაბნეული, არა ერთ-გზის სამამეფოთ და შეიდ. სამთავროდ იყო დაყოფილი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ნოეს შვილის იაფეტის შთამომავლებიად უირიცხებით და არა თუ ჩვენ —ქართველ გვარტომის მოდგმისანი, მთელი კავკასიონის მკვიდრნი ძმათა შვილები ვართ: ეგორს, კახოს, ქართლოს, ლეკოს, ჰაოს და სხ. გადმოცემით ხომ ძმანი ყოფილან!

დიად, მიუხედავად ამისა, ქართველთა შორის ერთობა ძლიერ ხშირად იყო დარღვეული: ქართლის ჩეფე კახეთისას ებრძოდა, კახე-

თისა — ქართლისას, ორივე იმერეთს ანუ იმერეთი ამათ, გურიის მთავარი — ოდიშისას, ოდიშისა მას და სხ. იყო განუწყვეტელი სისხლის ღვრა, რასაც ქვეყნის დასუსტება და უცხოთაგან რბევა მოსდევდა ხოლმე...

მონგოლთა და სხ. ბატონობამ, ველურ ურდოების თარეშმა არა ერთ გზის დაამხო საქათველოს სამეფო, მეფენი გასდევნა, ხალხი წარსტყვევნა, სრა-სასახლენი და ციხე-პალატნი დაანგრია, ეკლესია-ტაძრები იაკარპყო, თითქო სიცოცხლე გააქრო, ცხოვრება ჩაფერულა და მაინც ვერ მოკლა ქართველი ერის სული, ვინაიდან იგი სული ქართველთა ხელოვნურ ძეგლ-შემოქმედებაში იყო ღრმად ჩაქედილი.

ხელოვნებას კი ვერავითარი შავ-ბნელი ძალა ვერ ჰკლავს...

ძვილი საბერძნეთი და რომი ველურებმა დაამხეს, მაგრამ ამ ქვეყნების მაღალ წარსულის არსებობას მათი ძეგლნი მაინც ქვეყნიერებას აუწყებენ, აცვიფრებენ და უკვდავ ჰყოფენ იმ ხალხს, რომლის წიაღი-დანაც წარმოიშვა ესა თუ ის ძეგლი...

ქართველობასაც აქვს თვისი ძეგლები.

ესაა ხელოვნების ძეგლები, თვით ხელოვნება.

რა არის ხელოვნება?

აღვიანის სულიერი ცხოვრების ის წყარო, ის საშუალება, რომელიც ბიროვნებას გარემო მდგომარეობიდან გამოჰყოფს, არაჩაისაგან სრულქმნილ რაობად გარდაქმნის, არსებას განუსპეტაკებს, აღამაღლებს, ჭასოებით აღავსებს, დღიურ ცხოვრებით გათოშილს სულს საიდუმლო ცეცხლით გაუთბობს, ბოროტების დაშობის ძალას შეჰმატებს, ბილწ ცხოვრებისგან დაიხსნის და მზიურ-ნეტარ მომავლისკენ მისწრაფებას გაუადვილებს, არსებულ მანკიერი მდგომარეობის ნაცვლად ახალს, უზადოს მოაწყურებს, გულში განუქრობეო ცეცხლს გაუღვივებს სიყვარულის, სილამაზისა და სიხალისის აღმოსაყვენებლად და მიწიერ არსებობიდან ღვთიურ არსებობაში გადააფრენს...

რა სახით ჩამოყალიბდება ხელოვნება?

ქანდაკობით, მხატვრობით, მუსიკით, მწერლობით, სახიობით — თეატრით.

დაგივლიათ ჩვენი ქვეყანა და დაჰკვირვებინართ თუ არა ფრიადი კლდის ნაპრალებზე ანუ მთავორებზე აღშართულ ეკლესია-ტაძართა და ციხე-კოშკთ? — გინახავთ, რა ჩუქურთუებით არის ნაგება, რა ლამაზად მოხარატებული!.. უყურებთ და თქვენს ტკბობას, გაოცებას საზღვარი არ ედება. ამ ტაძარ-ციხე-კოშკთ, მტრისაგან მრავალ ქარტე-

ხილ — გადავლილთ ქართველი ერი საუკუნიდან საუკუნემდე თავს აფარებდა, — მისი შორეული საიდუმლო სასიყვარულო ცეცხლით თბებოდა.

და თუმცა არა ერთი საშინელი უბედურება დასტეხია ქრთველ ერს, მაინც ნუგეშისმცემლად ამ სახუროთმოძღვრო ჯეგლთ იგულებდა... იგულებდა და უკეთესი მერმისის რწმენით ცხოვრობდა...

და ეს ხუროთმოძღვრება — მხატვრობის ნაშთნი იმდენად უფრო ამალვებდა ქათველის სულს, იმდენად უფრო განაპტიცებდა მის რწმენას, ოდეს მშობლიურ ხელოვნებას უცხოას შეუდარებდა და რწმუნდებოდა, რომ აქ იყო თავისებურება, იყო თვითარსება, მომხიბლავი, მომჯადოებელი, დაუსრულებლად მიმზიდველი...

ხანგრძლივი და მრავალფერი იყო ცხოვრება ჩვენის ერისა: უცხოთა ბატონობის უღლის ქვეშე ჩვენის ერის ტყვეობა, სამშობლოს განთავისუფლება და ქვეყნის აღორძინება, ჭირი და ღიბი, წუხილი და ზეიმი ერთი მეორესა სცვლიდა... გარდა ამისა ჩვენის ქვეყნის მდებარეობისა და ჰავის ნაირფერობა ქართველის სულს თავისებურ ბეჭედს ასვამდა, თავისებურად აღაგზნებდა... ყოველივე ეს ჩა'ოიქსელა ქართულ სიმღერა-გალობაში. ამ სიმღერა-გალობაში აინარეკლა მთელი ქართველი ერის ხანგრძლივი თავგადასავალი, რომლითაც მუსიკის მეცნიერი, შორეულ მომავალშიც-კი, გამოარკვევს ქართველი ერი როდის და როგორა ცხოვრობდა, რას ფიქრობდა, რითი იღხენდა, რითი იშვებდა.

გალობა აღამიანს მწუხარებას უწვლავს, სიმღერა თვით საქონელსაც-კი გრძელ გზას, მძივე ტვირთის ზიდვის დროს, ჯაფას, სიძძიმეს უსუბუქებს, მუშას თოხნას, ყანის მკასა და სხვა მუშაობაში ახალისებს, თითქო დაღალვას არ აგრძნობინებს, მეოპართ — ბრძოლის ხალისს უატკეცებს. მოიგონეთ სიმღერა-საკრავით აღრფხოთოვანებული მოღხინენი, მოჭიდავენი, მეომარნი ანუ მოცეკვავენი რა ჯადოსნური ძალით აღიგზნებია ხოლმე და თვისდაუნებლიედ სამოქმედოთ რა რიგ აღიძვრიან...

მუსიკა ახალისებს, ამხნევეს, აკეთილშობილებს, ათვინიერებს...

ქართველი ერის სულმა, მტერთაგან შევიწროვებულმა საქართველომ თავსაფარი მწერლობაშიც ჰპოვა...

ჩვენის ერის სულმნათი ჰენიოსი შოთა, საქართველოს ოქროს ხანაში დაბადებულ-აღზრდილი, თითქოს ჰგრძნობდა, რომ თამარის ბრწყინვალე დღეების შემდეგ ერს მოელოდა ტყვევნა, დევნა-შევიწროვება, კერის მოშლა და ამიტოაც შექმნა ფსალმუნისებური საგალობელი —

უდიდესი ხელოვნური ძეგლი, საერო სახარება „ვეფხის ტყაოსანი“, რომლის ზიარებითაც სცოცხლობდა საქართველოს სული და ყოველგაქირვება-დადუხჭირების ეამს გონებიდან არ შორდებოდა, რომ ქართველი დედა წარმოშობს ტარიელ ფრიდონ-ავთანდილს, რომლებიც შერთებულის ძალ-ღონით ქაჯეთის ციხეზე იერიშს მიიტანენ, დაამხობენ და გაჰოხსნიან ტყვედ ქმნილ ნესტან დარეჯანს, — ქართველის მესიერება-ცნებაში მზე-სამშობლოდ გარდაქმნილს.

ქართველი ერის ცხოვრებაში აგრეთვე სასტიკი ხანა იყო მეცხრამეტე საუკუნე. რუსთა მფლობელობის დროს სარწმუნოებრივი ერთობა მთელ ქართველ ერს წარხოცვას ემუქრებოდა, ვნაიდან რუსული ქრისტიანობა — ეს რუსული პოლიტიკის ბატონობა იყო. ეს ის ხანა იყო, როცა საქართველოს დიდი პატიოსანი ილია ჭავჭავაძის სიტყვით:

„აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დავწყებით, რომ ქვეყნად ცასა
ძღვნად მოუცა მარტო მამული!“ —

და ამ დროს „ჩაბლახ-ახლი“ ქართველ ერს მხსნელად მწერლობა მოევიწყა, რომლის ქურუმ-მოციქულებმა თავის მოოვაწეობის დედა-აზრად დაისაბეს „ფიქრი ჩვენის ქვეყნის თავისუფლებისა!“

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი ჩვენის ქვეყნის, მძიმე განცდის დრო იყო. სასაწარმოო, იმედ-გამქრალ ერს მწერლობამ ჩაუნერგა. იმედი რუსის-მიერ აღთქმულ წარჩინებათა დაპირებით გაფულგრილებულთ, რომელთაც წამიერ დიდების მონიჭებით თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარულს გულში უხზობდენ, მწერლობა (ნ. ბარათაშვილი) ჩაჰკირკიტებდა:

„რას არგებს კაცსა ჯეცხო დიდება,
თუ შოაკლდება თავსუფება!“ —

უქნართ, უმოქმედო ქართველთ გულს უგმირავდა ქართული მწერლობის მემამოხე სული (ნ. ბარათაშვილი):

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს;
იყოს სოფელში და სოფელს-კი არა-რა არგოს!“

გადაგვარების გზაზე შემდგართ მწერლობის ჯავარმა (აკაკიმ) ნესტარი ჰკრა:

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია:
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაკარგულია.“

უკაცოდ დარჩენილ ქვეყნისთვის გმირი იყო საჭირო. გმირის გამზდელი დედა-კი არ სჩანდა. მამულიშვილ-მწერალთა ხელოვნურად შექმნილმა სურათებმა „დაფა და ნალარით“ გმირებს მოუხმეს, ხოლო გმირთა აღსაზრდელად გვიჩვენეს ისტორიული დედანი, რომელნიც იგლოვდნენ არა ბრძოლაში გმირულად დაღუპულ შვილებს, არამედ სახლში დიაცურად დარჩენილთ; ბევრი მათგანი თავის ერთადერთ შვილსაც-კი ბრძოლის ველისკენ ისტუმრებდა მამულის დასახსნელად „მაშულო შიწირე, იგი შენიაო“...

ასეთი მამულის მხსნელი გმირი კი წარსულში ძრავად გვყავდა:

„ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა,
და ან ცაზე ვარსკვლავები,
ვინ შეამკოს ღირსგლად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები,—
ვინ მოგვითხროს მათი საქმე,
ურვალავი საგმირონი“—ო. (აკაკი)

მწერლობას ყველაზე უფრო მეტად ჩვენის ქვეყნის დაქსაქსულობა, კუთხობრიობა უწვავდა გულს; ამიტომაც ჩამძღერა (აკაკიმ) გაერთიანების ჰანგები:

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სარჩობელოა!“

როდესაც ქართველთა ცხოვრება ნივთიერ-უფლებრივ ნიადაგზე აქრელდა, სხვადასხვა წოდებანი ვაძოჩნდნენ, საზოგადოებრივ—მოქალაქეობრივი ცხოვრება მოიშხამა, იგივე მწერლობა გამოვიდა უმაღლეს მსაჯულად და გზის მაჩვენებელ კანდელად.

პოლიტიკურად მეფე-მთავართაგან დანაწილებულ საქართველოს მწერლობა მოეკლინა მხსნელად და გამაერთიანებლად.

ვის უნდა „აეყვავებინა სიცოცხლე ედემურადა“ (შ. მღვიმელი), — გმირს. მაგრამ გმირი არ სჩანდა.

თუმცა ერას აღდგენის საგალობელი წმინდა ჰანგები ცაში ისმოდა, „ქვეყანაზედ ჯერ კიდევ იყო სიჩუმე!“ ძილში მყოფს, სასოწარკვეთილ საქართველოს რწმენა გაჰკრობოდა, თითქოს ყოველივე დანთქმულიყო, არ ეგონა, თუ იმდენ გაქირვებით დამხობილი, ჩრდილოეთის ყინვით გათოშალი კიდევ გამოცოცხლდებოდა. აქაც მწერლობამ ჯადოსნურ შთაგონებით, ხელოვნურ ვარდ-ყვავილებით რწმენა გააღვია. რუსთა ბატონობის დროს სამშობლოზე აშკარა ლაპარაკი არ შეიძ-

ლებოდა. ამიტომ მწერლობან ეზოპურ-არაკული სურათებით ხელოვნურად ჩაჰმოქნა გმირთა ძიების უუწმიდესი საგანი. ეს საგანი, უამთავრად უკულმართობის „ტაში“ იყო დამარხული... („ბაზალეთის ტა“ ილიასი).

ქართველი დედა უკვე მიჰხვდა მგოსან-მოაზრის ჩამოგივირისტებულ აზრის საიდუმლოებას და ამ „ოქროს აკვანში“ მწოლარეს ძუძუ აწოვა; „იმა აკვანსა“ გამოუჩნდა პატრონი—**ქართველი ხალხი, საქართველოს დემოკრატია**, თავისი მძლავრი ხელით დასწვდა და „ყრმა“ გულს ჩაიკრა.

„ის ყრმა“ — გაერთიანებული საქართველოა!

და ქართველმა ეს ახალი სამშობლო მთელი თავისი არსებით შეიყვარა, — იგი არც სხვის სამშობლოს ეხება. აღარც თავისას უთმობს, რადგან იმავე მწერლობამ (ვაჟა-ფშაველამ) მისცა ახალი მცნება:

„სამშობლოს არც სწავართმევთ,

და ნურც სხვა წაგვედავება,

თორემ ისეთს დღეს დავაყრით,

მკვდარსაც კი გაეცინება!“

და დღეს აღმდგარ, გაერთიანებულ სამშობლოს სადარაჯოზე ქართველი ამაყად სდგას, თვალს უსწორებს მთელ მოწინავე ქვეყნებს, წარბ შეუხრელად მიისწრაფვის საერთაშორისო ძობა-ერთობის კავშირისკენ, რადგან მას ისეთი საქმე არ ჩაუდენია, რომ ვიღემესი ან **სცხვენოდეს ან ეშინოდეს**. იგი, ახალგაზრდა საქართველო, მით უმეტეს ძლიერია, რომ, საპწერლო ხელოვნებისავე შთაგონებით:

„არვის ებრძვის, პირიქით,

დამხვედურად მეომარია,

ვინც მის ქვეყანას არ ერჩის.

მოძმე და მეგობარია!“

მაგრამ სრულიად საქართველოს სულისა და გულის აღსაგზნებად სამოქალაქო - საზოგადოებრივ გზაზე გამოსაცვანად სამშობლოსთან ერთად მსოფლიოსთან გასაერთიანებლად, ეროვნულისა და კაცობრიულის შესაგნებად თითქო ყველა ეს არ კმაროდა.

საქართველოს ტყვეობის შუა ხანაში თავი იჩინა ხელოვნების ყველაზე უფრო მკვეთრმა დარგმა — სახიობამ, თეატრმა. გაჩნდა ახალი ტიპარი, რომლის სამსხვერპლოზედაც იწოდა ადამიანთა ცოდვანა, აქიდაგებოდა ყოველივე ის, რაც მოქალაქეს სამოქალაქო, ადამიანურ ცხოვრებას უჭირვებდა; იგი მოაწყურებდა ახალს, ლამაზს, ძლიერს და

სანეტაროს. ამ ტაძრის ზღუდეთა შორის შეერთდა ელლინი და ებრაელი, ქართველი და არა ქართველი. ყველაზე უფრო მეტად აქ გამოიქვედა ქართველის ნებისყოფა. აქ ქართველმა ჩაიხედა თავის სულში, შეიცნო თავისი შორეული წარსული, გაიგო რა არის ადამიანის უმაღლესი დანიშნულება, კერძო და საზოგადო, სამშობლო და მსოფლიო, კაცობოყვარეობა და ველოურობა, — ერთი სიტყვით გამოიცნო ჯადო — თილისმა და დღემდე მისთვის ბევრი ფარული რამ ნათელი შეიქნა...

და, ასე, ხელოვნების სხვა-და-სხვა დარგი შეთანხმებულის ჰანგებით მარადის ერთს აზრს ახორციელებდა: განემტკიცებინა ქართველობის თვითარსებობის რწმენა, თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარული, ადამიანობა და უკეთესი მერქისის ურყევი იმედი.

და ვერც ერთმა მეფემ, ვერც ერთმა კანონმდებელმა თუ სარდალმა ვერ შესძლო რაც ხელოვნებამ: არასოდეს საქართველო ასე გაერთიანებული, ერთი ნებისყოფის მატარებელი არ ყოფილა, როგორც დღეს.

საქართველოს გაერთიანებას უძველეს დროიდან არა ერთი და ორი პირი ემახსურებოდა, — მათში მეოთხოდე მიმაჩნია ყურადღების ღირსად: ფარნაოზ მღვფე, დაიით აღმაშენებელი, ბაგრატი და თამარ მღვფე. ჩვენს დროში ამ უკვდავთა რიცხვს ემაჩება ნოე უორდანი, — სწორედ ის პიროვნება, რომელიც ჟამთა მსვლელობის წყალობით მოწოდებულ იქნა საქართველოს აღსადგენათ და გასაერთიანებლად... და თამამად შეიძლება ითქვას, საქართველო არასოდეს არ ყოფილა ისე მძლავრი, დიადი, ერთსულოვანი, ხალხოსნური, როგორც დღეს.

და ამერიიდან საქართველოს ბრწყინვალე ისტორიულ პირთა შორის ოქროს ასოებით აღიბეჭდება ნოე აღმადგენელიც...

ვინ ამაგრეს ამ სახელწიფოს საზღვრებს? — ქართველი მეოპრის მარჯვე ხელი, შეუდრგველი მკერდი და გული, — მაგრამ ამაზე საუბარი სხვა დროისთვის გადავსდეთ.

და რომ ჩვენის სამშობლოს წინსვლას აღარაფერი ვაძაველობოს, ჩვენს რესპუბლიკაში ხელოვნებას უბარკელესი ადგილი უნდა დაეპომოს, შისი ყოველი გვარი უნდა შეცხარკბილებით აღორძინდეს ხელოვნების, აღორძინება-კი იმიტომ არს საჭრო, რომ საქართველო კიდევ უფრო გაერთიანდეს. შედუღადდეს, ერთ განუკვეთელ სხეულად გარდიქმენს: საქართველოს მკვიდრი სხვადასხვა სარწმუნოების ხალხი, ურთიერთისგან ისტორიულ-გეოგრაფიულ, ზნე ჩვეულებით თუ სხვა მიზეზებით გათიშული, ხელოვნებამ უნდა გააერთიანოს ერთის დროშის — საქართველოს

დროშის ქვეშ—საერთო ოჯახის განსამტკიცებლად, საერთო ბედნიერების მისახწევად.

რისთვის ვესწრაფებით **საქართველოს გაერთიანებას?**

იმიტომ, რომ მთლიან საქართველოს განმტკიცებასთან ერთად ველირსებით მსოფლიო მისწრაფებათა გამარჯვებას. გაერთიანებული საქართველო ცხოვრებაში გაატარებს იმას, რაც ასე საჭიროა მსოფლიო მოქალაქეობის, მეზობელთა კეთილდღეობისა და ჩვენის სამშობლოს მშვენიერი ცხოვრებისათვის.

კიდევ რა მიზანი უნდა ჰქონდეს ჩვენში ხელოვნების აყვავება-აღორძინებას?

საქართველოს გაერთიანება სულიერად, ნივთიერად, სახელმწიფოებრივად, მთლიან თაიგულად შეკონვა, იმ კონად, რომელიც ზღაპრულმა მეფემ ვერ გასტეხა.

ხელოვნებამ უნდა აპოვნინოს ქართველს საკუთარი სახე, საკუთარი სული, საკუთარი რწმენა.

ვინაიდან მხოლოდ ასეთ ერს შეუძლიან სხვა ერთა შორის მსოფლიო სუფრაზე უპირველესი საბატიო თუ არა, თანასწორი ადგილი მაინც დაიჭიროს!..

და ვისაც ეს ენატრება—იგი **სამშობლოს ხელოვნების წინსვლას** მთელის თვისის ძალღონით ხელს შეუწყობს.

იოსებ იმედაშვილი.

„ჯაჯილის“ და „ნაკადულის“ გამოქვეყნება

საბავშვო წიგნების გამომცემლობის განვითარება და კერძოთ საბავშვო ჟურნალის გამოცემის საქმის ჯეროვან ნიადაგზე დაყენება უდიდეს საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის.

დღევანდელ პირობებში ჩვენი საბავშვო მწერლობა და განმცემლობა სულ მობილობა, თუ საქმე სავსებით კერძო თაოსნობის ამარა დარჩება, ვინაიდან იგი უზომო ხარჯებს და ძლიერ ორგანიზაციას თხოულობს.

არასოდეს არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში ისეთი მკვეთრი საჭიროება მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებული საბავშვო გამომცემლობისა და ამავდროს არასოდეს არ ყოფილა ისე ძნელი კერძო პირთათვის ამ საქმის მოწყობა და გაძღოლა როგორც დღეს.

სწორედ ასეთს დაუძლეველ სიძნელეს წარმოადგენს არსებულ საბავშვო ჟურნალები „ჯეჯილი“-ს და „ნაკადული“-ს გამოცემის განგრძობა მათ ხელმძღვანელობისათვის. ამ ჟურნალების მოსპობა ან ხანგრძლივი შეჩერება კი მაინებელი იქნებოდა ჩვენი კულტურის და საზოგადოებრივობის უძლეურებისა. მთი დახურვა ცუდად იმომქმედებდა ბავშვთა სულიერ განვითარებაზე და საგრძნობლად შეათერებდა სასკოლო კულტურის აღორძინების საქმეს.

ამიტომ „ჯეჯილი“-ს და „ნაკადული“-ს გამომცემელთა სურვილის თანახმად ერობათა კავშირმა მიმდინარე 1921 წლის იანვრიდან იკისრა მათი გამოცემა გაერთიანებული და გაფართოებული პროგრამით. მან გადასწყვიტა ამ დიდი საქმისათვის არ დაიშუროს არავითარი ნივთიერი და ინტელექტუალური ძალღონე. ერობათა კავშირი დარწმუნებულია, რომ ჩვენი ოჯახი, სკოლა, ფართო საზოგადოება, თვითმართველობა და მთავრობა ამ საქმის გაძლოლაში არ მოაკლებს მას მუდმივ თანაგრძობას და დახმარებას.

ორი საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“ და „ნაკადული“ გაერთიანებულია და გამოვა ერთი რედაქციის ხელმძღვანელობით ორ გამოცემად.

მოზრდილთათვის გამოვა „ჯეჯილი“ თვეში ერთხელ, თვითველ №-ში დახლოვებით 64 გვერდი, თვიური ფასი ნომრისა 125 მან.

მცირე წლოვანთათვის გამოვა „ნაკადული“ თვეში ორჯერ, თვითველ №-ში 32 გვერდი, თვიური ფასი ორივე ნომრისა 125 მან.

ჟურნალს უძღვება სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შედიან ქ-ნი ან. წერეთლისა, ქ-ნი ნ. ნაკაშიძე და ერობათა კავშირის კომიტეტის წევრი პ. საყვარელიძე.

გარდა სარედაქციო კოლეგიისა, ჟურნალთან არსებობს მუდმივ თანამშრომელთა დამხმარე წრე, ექვსი კაცისაგან შემდგარი, რომელიც კვირაში ერთხელ იკრიბება მასალის და ჟურნალის ავკარგიანობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ავტორებს და მთარგმნელებს.

კულტურის უპირველესი იარაღი წიგნია და საქართველოსთვის, რომელიც საკუთარი ძალღონით და გზით შეუდგა კულტურისაკენ

გზის გაკაფვას, არასოდეს წიგნი ისე საქირო არ ყოფილა როგორც დღეს. წიგნი უნდა ქალაქსა და სოფელს, დიდს და პატარას. უწიგნოთ ფეხის გადადგმაც კი არ შეუძლიან როგორც მოაზროვნეს, ისე ფიზიკურად მომუშავეს, ქალაქის და სოფლის მუშას, მოხელეს და პრაქტიკულს მოღვაწეს, მოსწავლეს და მასწავლებელს.

სამწუხაროთ, ჩვენი წიგნის ბაზარი არასოდეს ისე შეკრული და შეზღუდული არა ყოფილა, როგორც დღეს არის. ძველი წიგნი სრულებით გაქრა, ორი-სამი თვე ისე გაივლის ხოლმე, რომ ახალ წიგნს ძლივს შეხვდებოდა კაცი. საოცარი სიძვირისა და ქალაქის უქონლობის გამო კერძო კაცისთვის შეუძლებელი გახდა წიგნების გამომცემლობა. საქიროებამ მოითხოვა სახელმწიფოსი და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩარევა და ამ საქმეშიაც ისე, როგორც ყველა სხვა საქმეში.

სწორედ ამიტომ განიზრახა ერობათა კავშირმა გამომცემლობა ფართო მასშტაბით. საზოგადოებას უკვე ეუწყა, რომ ა. წ, იანვრიდან კავშირმა იკისრა საყმაწვილო ჟურნალები „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ გამოცემა. ახლა კავშირი წიგნების გამოცემასაც შეუდგა, პირველ რიგში განზრახულია სახალხო და საბავშვო წიგნების გამოცემა.

მაგრამ სამწიგნობრო ასპარეზზე მოღვაწეთა და მომუშავეთა გარეშე შეუძლებელია ამ დიდი საქმის გაკეთება. კავშირი მიმართავს ავტორებს და მთარგმნელებს თხოვნით, გაუწიონ დახმარება და მიაწოდონ გამოსაცემათ ყოველგვარი წიგნი, მეცნიერების ყველა დარგიდან, რაც კი წასაკითხად გამოდგება ხალხის, ფართო მასის და ნორჩი თაობისათვის. თავის თავად აშკარაა, რომ ყველა ავტორი და მთარგმნელი შესაფერს ჰონორარს მიიღებს.

მასალების გამოგზავნა შეიძლება ტფილისში ერობათა კავშირში. (რუსთაველის პროს. № 24) კავშირის კომიტეტის სახელობაზე.

ქ რ ო ნ ი კ ა

დამფუძნებელ კრებაში

დ ე კ რ ე ტ ი

არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონის ახალციხის მაზრასთან
შეერთებისა.

1. არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონი შეუერთდეს ახალციხის
მაზრას.

2. ახალციხის მაზრის ადმინისტრაციისა და თანამდებობის პირთა
ხელისუფლება გავრცელდეს ახლად შექმნილებულ რაიონზე.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღეიდან მიღებისა დამფუძნებელი
კრების მიერ.

1920 წ. დეკემბრის 31 ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

მოადგილე გ. ლორთქიფანიძე.

დ ე კ რ ე ტ ი

რესპუბლიკის ბონის ათი მილიარდის მანეთის ემისიისა.

1. უფლება მიეცეს მთავრობას გამოსცეს რესპუბლიკის ბონი ათი
მილიარდი (10,000,000,000) მანეთისა.

2. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღეიდან მიღებისა დამფუძნებელი
კრების მიერ. 1920 წ. დეკემბრის 31 ს.

დამფუძნებელი კრებას თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის

მოადგილე გ. ლორთქიფანიძე.

**შემოსავლის კვალობაზე გადასახადის საცხოვრებელი მინიმუმის
(existenrminimum) შეცვლისა.**

1. დამფუძნებელი კრების 1919 წლის ნოემბრის 21-ს დეკრეტით (კან. და მთავრ. განკარგ. კრებ. 1919 წ. №—18, დეკრეტი №—203) შემოსავლის კვალობაზე დაწესებული საცხოვრებელი მინიმუმის გადასახადის რაოდენობა შეცვლილ იქნეს შედეგადად: ა) შემოსავალი, რომელიც არ აღემატება ოცდა ოთხი ათას (24.000) მანეთს, უკეთუ 1916 წელს მიღებულია აპრილის 6-ს დებულების მუხლი მე-2-ე, პუნქტ მე-4-ის თანახმად, განთავისუფლებულ იქნეს შემოსავლის კვალობაზე დაწესებული გადასახადისაგან; ბ) უკეთუ აღნიშნული შემოსავალი აღემატება ზემოხსენებულ ოცდა ოთხი ათას (24 000) მანეთს, დაიბეგროს ყოველწლიურად დამფუძნებელი კრების 1919 წლის ნოემბრის 21-ს დეკრეტთან დართული შემოსავლის და გადასახადის ნუსხის თანახმად.

შენიშვნა: ამ (1) მუხლში აღნიშნული შემოსავლის ძარდა, სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი დაბეგრილ იქნეს გადასახადით დამფუძნებელი კრების 1919 წლის ნოემბრის 21-ს დეკრეტის 1 მუხლის თანახმად.

2. ოჯახური მდგომარეობის გამო შემოსავლის გადასახადის დებულების 45 მუხლით დაწესებული შეღავათი გავრცელდეს მხოლოდ იმ გადამხდე ოზე, რომლის შემოსავალი არ აღემატება ოთხმოცდა ოცქმეტ ათას (96.000) მანეთს.

3. ავადმყოფობისა ან სხვა რაიმე უბედური შემთხვევას გამო ამ დეკრეტის მე-2-რე მუხლში აღნიშნული დებულების 46 მუხლით დაწესებული შეღავათი გავრცელდეს მხოლოდ იმ გადამხდელზე, რომლის შემოსავალი ას ორმოცდა ოთხი ათას (144.000) მანეთს არ აღემატება.

4) სათანადო ფურცლები გადასახადის რაოდენობისა უნდა დაეგზავნოს გადასხდელებს 1921 წლის იანვრის 15-ე, ხოლო გადასახადი შეტანილ იქნეს სახელწიფო ხაზინაში გადამხდელის მიერ არა უგვიანეს იმავე 1921 წლის მარტის 1-ს.

5. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. დეკემბრის 31-სა.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის

უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

მთავრობის თავმჯდომარის მოად-

გილე გრ. **ლორთქიფანიძე.**

მ თ ა ვ რ ო ბ ა უ ი

გ ზ ა თ ა მ ი მ ო ს ვ ლ ი ს დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ უ ი .

ს ა გ ზ ა ო ს ა ქ მ ე თ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა .

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტთან გამართულმა განსაკუთრებულმა თათბირმა ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით, დეკემბრის 26, საგანგებო კომისიის მოხსენების შემდეგ დაადგინა: 1) იქნეს სასურველად ცნობილი, რომ ათი წლის განმავლობაში ყველა თემები გზატკეცილებით შეუერთდნენ სამაზრო ცენტრს, ხოლო საჩაზრო ცენტრები რესპუბლიკის მთავარ ქალაქს. ამ პროგრამის ასრულება ევალება ერობებს მთავრობის მხრივ დახმარების აღმოჩენით. 2) დაევალოს ყველა საჩაზროებს 1921 წ. 1 მარტისათვის შედგენა და წარმოდგენა გზათა დეპარტამენტში ყოველ წლიურ ასასრულებელი გზების გეგმისა. პროგრამას თან უნდა დაერთოს ქსელი ერობების გზებისა მაზრაში, რომელთა გაყვანა ან შეკეთება არის განზრახული პროგრამით (რუქა არა ნაკლებ 5 ვერ. 1 დიუიმში მასშტაბისა).

ნ ა ტ უ რ ა ლ უ რ ი ბ ე გ ა რ ი ს გ ა ტ ა რ ე ბ ა .

1) ნატურალური ბეგარა გატარდება ადგილობრივ ერობების გამგეობის მიერ თანახმად იმ სამუშაო სიისა, რომელიც გათვალისწინებულია წლიურ გეგმაში, რომელიც შედგენილია თანახმად ზემოდ ნახსენებ პროგრამისა. სახაზინო გზატკეცილებზედ ნატურალური ბეგარა ტარდება იმავე წესით დისტანციის უფროსის მაზრის ერობებთან შეთანხმებით. 2) ყოველივე მუშაობა, ასასრულებელი ნატურალური წესით უნდა განისაზღვროს გაკვეთილებით დეკრეტში აღნიშნულ სამუშაო დღეების მიხედვით და თემები ვალდებული უნდა იქნან აწარმოონ მუშაობა ამ გაკვეთილის დასრულებამდე. 3) როდესაც გზა აერთებს რამოდენიმე თემს, ნატურალური ბეგარით ასასრულებელი სამუშაო უნდა გატარდეს ამ თემების ზაერთო მუშაობით.

დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ე რ ო ბ ე ბ ი ს ა გ ზ ა თ ა დ ე პ ა რ ტ ა მ ე ნ ტ თ ა ნ .

1) საერთო ტექნიკური ზედამხედველობა და საერთო ხელმძღვანელობა ერობების გზებზე მუშაობის წარმოებისა ევალება გზათა დეპარტამენტს.

ტამენტს გზატკეცილების სამმართველოს ინსპექციის სახით. 2) აღნიშნული ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა სრულდება საინსპექციო დათვალიერებით, რომელიც ხდება ყოველწლიურად სამუშაო პერიოდის დადგომამდე და აგრეთვე დროგამოშვებით მუშაობას წარმოების დროსაც. 3) ტექნიკური საკითხები რომლებიც ეხებიან შეკეთებას გზების ჩვეულებრივ და ხელოვნურ ნაშენთა საბოლოოდ სწყდება ადგილობრივ საინსპექციო დათვალიერების დროს. პროექტები და ხარჯთაღრიცხვანი მნიშვნელოვან სამუშაოთა როგორცაა: გზატკეცილების შთლიანი, ძირითადი შეკეთება, ახალი გზატკეცილების გაყვანა და პროექტები და ხარჯთაღრიცხვანი ყველა ხიდებისა, რომელთა სიგრძე თხუთმეტ საყენს აღემატება—ეროვნების გამგეობათა მიერ წინააღმდეგ განსაზილველად და დასამტკიცებლად წარედგინება გზათა დეპარტამენტს, რომელმაც მათი განხილვა უნდა მოახდინოს ორი კვარის განმავლობაში დღიდან მიღებისა. 5) სასურველად იქნეს ცნობილი დაწესდეს ზედამხედველობა. სამეურნეო საქმეებში სახაზინო გზატკეცილების დისტანციების ტექნიკურ შტატზე სამაზრო ეროვნების გამგეობათა მხრივ და აგრეთვე გარკვეული ადმინისტრაციული ურთიერთობა მაზრის ეროვნის გამგეობის და დისტანციის ტექნიკურ შტატის შორის.

განსაკუთრებულ ინსტრუქციის შემუშავება ამის შესახებ ეროვნებისა და დისტანციების სახელმძღვანელოდ დაევალოს გზათა დეპარტამენტს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რესპუბლიკის ყველა მაზრის მილიციის უფროსებს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა.

როგორც სამინისტროში მიღებულ ცნობიდან სჩანს სხვა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებს და აგრეთვე კერძო პირებს კანონიერი გზით შესყიდული აქვთ რესპუბლიკის ზოგერთ ადგილებში სხვა და სხვა საქონელი, როგორც საზღვარ გარეთ გასატანად ისე თავის საჭიროებისათვის დამზადებული. მაგრამ ადგილობრივი სამაზრო ეროვნები თუ თემები მათ ელობებიან წინ უკანონოდ არსებულ ბაჟების და ვადასახადების აკრებით.

გაცნობებთ რა ქვემოთს და ვიღებთ რა მხედველობაში, რომ რესპუბლიკის საერთო-საფემო საბაჟოების გაჩენა ყოველად შეუძლებ-

ლია და დაუშვებელი, რადგან ასეთი წესი სპობს რესპუბლიკის ეკონომიურ საფუძველს, თანახმად მინისტრის ანხანავის ბრძანებისა, წინადადებას გაძლევთ, სასტიკი თვალყური ადევნოთ თქვენს მაზრაში, რათა არ იქნეს დაშვებული ასეთი უკანონო გადასახადების აკრება, ვისაგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ამის ბრძანება, იქნება ის სამაზრო ერობა თუ თემი, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დაუშვით ასეთი გადასახადების აკრება, სასტიკ პასუხის გებაში იქნებით მიცემული.*)

მთავრობამ მოისმინა რა მოხსენება ფინანსთა მინისტრისა სავაქრო და სამრეწველო დაწესებულებების რევიზიის შეახებ, დაადგინა: მისცეს ფინანსთა, ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრს უფლება იმ წარმოებათა რევიზიისა, რომელთაც მიეცათ სახელმწიფო დახმარება, და აგრეთვე იმ წარმოებათა, რომელთაც თუმცა სახელმწიფო დახმარება არ მიუღიათ, მაგრამ რომლებიც საქმის მდგომარეობის და მიხედვით, საჭიროებენ რევიზიას. ამასთანავე მთავრობამ დაადგინა დანიშნოს მთავრობის წარმომადგენლები იმ წარმოებებში, რომელთა რევიზიაც უნდა მოხდეს და მთელი ხარჯები ამავე წარმოებებს გააწეროს.

შრომის მინისტრის მოხსენების შემდეგ, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების მოპარაგების საქმის გაუმჯობესებას შეეხებოდა, მთავრობამ დაადგინა: 1) მისცენ ყველა სახელმწიფო მოსამსახურესა და მუშას ავანსის სახით მანუფაქტურა და სხვა პირველ საჭიროების ნივთები, 3000 მან. ღირებულებისა თვითივე სულზე და ოჯახზე არა უმეტეს 10000 მან. ღირებულებისა. ეს ავანსი მუშებმა და მოსამსახურეებმა უნდა გადაიხადონ 1921 წელში შრომის სამინისტროს მიერ დანიშნულ ვადებში, 2) მიეწოდოს შრომის მინისტრს დაამუშაოს დეკრეტი ამ მიზნისათვის 360 მილიონი მან. გადაღების შესახებ. ეს დეკრეტი უნდა იქმნას შეტანილი დამფუძნებელ კრებაში. ეს თანხა მოთხოვნილ უნდა იქნეს მოპარაგების ფონდისათვის საჭირო კრედიტებთან ერთად. 3) რადგანაც შრომის სამინისტროს არ ჰქონდა

*) ვფიქრობთ ეს ცირკულიარი დიდს გაუგებრობას გამოიწვევს ჩვენ ერობათა ცხოვრებაში. უთუოდ მისამართია შეშლილი. საჭიროდ ასეთ გაუგებრობას მოეღოს ბოლო.

საშუალება მუშებისა და მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად შეეძინა სათნადო რაოდენობის მანუფაქტურისა, ამიტომ მიეცეს უფლება შრომის მინისტრს, რომ მან იმ მუშებს, რომელთაც მანუფაქტურა არ მიუღიათ, მომარაგების ფონდიდან ფულით მისცეს სათანადო რაოდენობის თანხა.

შიდაზან საქმეთა სამინისტროსაზან.

სამაზრო ერობათა გამგეობებს და ტფილისის ქლაქის გამგეობას.

როგორც სამხედრო სამინისტრო იტყობინება, მორიგ გაწვევით მოთხოვნილი პირების თავის დროზე გამოუცხადებლობა აგვიანებს სამხედრო ერთეულების შევსებას, არღვევს მეცადონეობის გეგმას ჯარში და საერთოდ იწვევს დიდ არეულობას. გატყობინებთ-რა აქას კანცელარია ზემო აღნიშნულ არა ნორმალურ მოვლენის თავიდან ასაცდენათ გთხოვთ გასცეთ სათანადო განკარგულება, რათა ყველა ის პირნი, რომლებიც არიან შეტანილი გამწვევ სიებში და რომლებსაც წელს უწევს მორიგი გაწვევა, აუცრლებლად გამოცხადდენ მიმღებ პუნქტებზე სათანადო თემისა, კომისარატისა, სამაზრო ერობისა და ქ. ტფილისის გამგეობის მიერ დანიშნულ დროზე, ხოლო ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს გაწვევისათვის დანიშნულ უკანასკნელ დღისა. ამასთან, გრად უნდა გამოეცხადოს მოქალაქეთ რომ, გამოცხადების უკანასკნელი დღე არავითარ შემთხვევაში არ იქნება გადადებული და ის პირნი, რომლებიც არ გამოცხადდებიან დანიშნულ დროისთვის, იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი, თანახმად 1919 წლ. 2 აგვისტოს დეკრეტისა.

შიდა-მოქმედების სამინისტროში.

ჩაის კულტურა.

შიდა-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში დამუშავდა ცნობები ჩაის კულტურის მდგომარეობის შესახებ. თანახმად ამ ცნობებისა 1918 წლამდე ჩაის გაშენებას სოფლის მცხოვრებლები დიდს ინტერესით ეპყრობოდენ. უკანასკნელ წლებში ეს ინტერესი პურის მოთხოვნილებას გაზრდის გამო, შეტად შენედა. ამ

უამად ჩაის პლანტაციების სივრცე რესპუბლიკაში შექმნევი ციურებში ისახება: ბათუმის ოლქში—ჩაი—გაშენებულია 825 დეს. გურიაში, და სამეგრელოში 75 დეს. სულ რესპუბლიკაში 900 დეს. მიმდინარე 1921 წლის განმავლობაში მოელოან 500.000 გირვანქა ჩაის. შეკრებას ამ რიგად ყოველ დესეტინაზე შეიკრიბება 544 გირ. გამხვარი ჩაი. ჩაქვის სახელმწიფო მამულში ჩაის კულტურას დაკავებული აქვს 500 დეს., მანდარინის კულტურას 32 დეს. და ბაჰუეის ხეებს კი 30 დეს. ჩაქვის მამულში 1920 წელში შეიკრიბა 200.000 გირვანქა ჩაი და 800.000 ცალი მანდარინი.

ოზურგეთის ჩაის პლანტაცია.

ოზურგეთის, სამაზრო ერობამ მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მის განკარგულებაში გადასულიყო ოზურგეთის ჩაის პლანტაცია და ქარხანა, მაგრამ მიწადმოქმედების სამინისტრომ მიიღო რა მხედველობაში ის, რომ ოზურგეთის ჩაის პლანტაცია არის არა სამრეწველო, არამედ სამეცნიერო სამოსწავლო დაწესებულება, ერობის შუამდგომლობის დაჰმაყოფილება შეუძლებლად სცნო. სამინისტრომ მიიღო ყოველგვარი ზოქები ამ კულტურულ პლანტაციის გასაფართოვებლად და გასაძლიერებლად.

ზღვის ღორების დაჭერა.

გერმანელმა რეივალდმა, რომელიც გერმანელ მსხვილ ფირმების და ბანკების წარმომადგენლად ითვლება, მიწად მოქმედების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა რათა მას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ნაპირად შავ ზღვაზე ზღვის ღორების ქერის უფლება მიეცეს. მიწად-მოქმედების სამინისტრომ რეინვალდის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

სამაზრო ერობისთვის საფონდო მამულების შემოსავლიდან 40% მიცემის შესახებ.

ვინაიდან საადგილმამულო რეფორმის ცხოვრებაში გატარება და ხელმძღვანელობა სამაზრო ერობებს დიდ ენერჯიას და დროს ართმევს და აგრეთვე იწვევს აუარებელ დიდ ხარჯებს და ერობები კი თვის ღარიბ სალოროდან ვერ ფარავს ამ რეფორმით გამოწვეულ დიდ ხარჯებს, ამიტომ მიწად-მოქმედების სამინისტროს, ერთად ერთ საშუალებად მიაჩ-

ნია, რომ ერობათა კარშირის შუაქდგომლობა, რათა სამაზრო ერობებს თავიანთ ხაჯგების დასათარავად მიეცეთ სათანადო კრედიტი ან თანხა საფონდო მამულების შემოსავლის თანხიდან სამაზრო ერობებს გადაეცემათ 40⁰/₀, ხოლო დანარჩენი 60⁰/₀ გადავა მთავრობის განკარგულებაში. მიწად-მოქმედების სამინ. სტრომ ამ ს გამო შეადგინა სათანადო პროექტი საფონდო მამულების შემოსავლიდან 40⁰/₀ სამაზრო ერობებისთვის გადაცემის შესახებ. ეს პროექტი წარდგენილი იქნება მთავრობის განსახილველად და დამტკიცებულ კრების დასამტკიცებლად.

ეკონომიური სხოვრება

თამბაქოს მრეწველობა.

ვაჭრობა მრეწველობის პალატამ ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა შედეგები თამბაქოსა და გილზის მრეწველობის გამოკვლევისა. გამოკვლევას მიზანი იყო ტფილისში არსებულ თამბაქოს ფაბრიკათა და გილზის ქარხნებს მდგომარეობის შესწავლა. შემდეგ ვაჭრობა-მრეწველობის პალატას განზრახვა ქონდა შეედარებინა თამბაქოს წარმოების ახლანდელი მდგომარეობა ომამდე არსებულ მდგომარეობასთან და გამოეკვლია შრომის ნაყოფიერების შემცირების მიზეზები და აგრეთვე ნაყოფიერების წინანდელ დონემდე აყვანისათვის საჭირო ზომები. შედარებისათვის აღებული იყო სწორი ცნობები, საიდანაც გამოიჩვენა, რომ შრომის ნაყოფიერების წარმოება შემცირდა ნედლი მასალის უქონლობის, ფაბრიკათა ტექნიკურ მოწყობილობათა გაცვეთისა და სხვათა გამო. სხვა მიზეზთა შორის პალატა აღნიშნავს იმასაც, რომ თანამედროვე პოლიტიკურ და ტრანსპორტის პირობათა გამო შეუძლებელია თამბაქოს გაზიდვა აზერბაიჯანსა, სომხეთსა და სხვა ადგილებში. საზღვარ გარეთის ახალ ბაზრებს ფაბრიკები ჯერ კიდევ ვერ აწვდიან თამბაქოს ნაწარმოებთ სათანადო მანქანებისა და ქალაქის მატერიალის უქონლობის გამო. მეთამბაქოეთა აზრით თამბაქოს ფაბრიკებში შრომის ნაყოფიერების გაძლიერებისა და ამ მრეწველობის განსავითარებლად საჭიროა: 1) ხელი შეუწყოს მთავრობამ ამ ფაბრიკებს ქალაქის მასალისა და გაუმჯობესებულ მანქანათა შეძენით, 2) რომ იწარმოებლებს მეინიქო უფლება ადგილობრივ ბაზრებზე თამბაქოს ფურცლის შექენისა, 3) უცხოეთიდან ჩამოტანილი თამბაქო მონოპოლიიდან გაანთავისუფლონ და სხვა.

ეროვნულ-სოციალური

ეროვნული კავშირები.

რეზოლუციები:

ეროვნული წარმომადგენლობისა და ეროვნული კომიტეტის პლენუმის საერთო სხდომებისა. 19-0 წ. 19—26 დეკემბერი.

თავმჯდომარეობდნენ: (მორიგეობით): ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ნ. გ. ჯუჯუაძე, შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრი ნ. რამიშვილი, ეროვნული კომიტეტის წევრი ი. სტურუა.

სხდომებს ესწრებოდნენ:

ა) კომიტეტის წევრები: გ. ლორთქიფანიძე, დ. ონიაშვილი, ს. ჯანტურიშვილი (თავმჯდომარე—ოზურგეთის ერობიდან), პ. ქავთარაძე (გამგ. წევრი—სენაკიდან) ლ. შენგელაია (თავმჯდომარე—ზუგდიდიდან), ვ. ცაბაძე და კომიტეტის ინსტრუქტორი მ. სმირნოვი.

ბ) სამაზრო ერობებიდან: პ. თოთიბაძე (დუშეთი), მ. კლიშიაშვილი და პ. ეფრემიძე (პირველი თავმჯდ., მეორე გამგეობის წევრი გორიდან), პ. დოლიძე (თავმჯდომარე—თიონეთიდან), დ. ლობჯანიძე (თავმჯდომარე რაჭიდან), დ. კარიჭაშვილი (სიღნაღი), კ. ბერუჩაშვილი (გამგეობის წევრი—ლიხუმიდან), ი. მალანია (თავმჯდომარე სენაკიდან), ლ. ვახვახიშვილი (თავმჯდომარე თელავიდან), ვ. რამიშვილი (ახალქალაქი), შ. მალაკელიძე (ახალციხე), ინჟ. ბორბანენკო (ბორჩალო), ს. მენაღარიშვილი და ვ. ბაჩიძე (პირველი გამგ. წევრი, მეორე თავმჯდომარე შორაპნიდან), ს. თურქია (გუმიბინი), ა. ზუხბაია (გამგ. წევრი სამურზაყანოდან), ი. ხელაძე და ლ. ასათიანი (ტფილისის მაზრა).

გ) გარდა აღნიშნულ პირებისა ესწრებოდნენ: მომარაგების მინისტრი გ. ერაძე, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ს. ავალიანი, გზათა დეპარტამენტის დირექტორი მოქ. ჭიჭინაძე, სახაზინო პალატის გამგე მოქ. ვირსალაძე და ბენეფიციარები: კაჟინსკი, ვოინიჩისაჟონეფსკი, ფინანსური განყოფილების გამგე მოქ. იანოვიჩი და გზა-ტყევილების სამმართველოს უფროსი ინჟინერი კორინთელი.

მდივნობდნენ: კომიტეტის მდივანი ბ. შავლაძე, საქმეთა მწარმოებელი ს. მუსერიძე, ინჟინერი კორინთელი.

მ ო დ ს მ ი ნ ე ს:

1. თეზისები ეროვნული საბიუჯეტო უფლების შესახებ, წარმოდგენილი კომიტეტის ინსტრუქტორის მ. სმირნოვის მიერ.

2. საეროებო თვითმართველობათა კანონ-პროექტი.

ა) საკითხი ერობათა და თემთა ურთი-ერთი დამოკიდებულების და მათ შორის კომპენტენციის განაწილებისა (მოსმენილ იქმნა, სხვათა შორის, ლ. ასათიანის მიერ—წარმოდგენილი რეზოლიუცია).

ბ) საკითხი თემის ორგანიზაციის შესახებ.

3. სამაზრო ერობათა წარმომადგენლობის მორიგი ყრილობის მოწვევისათვის დროს განსაზღვრა.

მოსმენილ იქმნა თავმჯდომარის სიტყვა, საიდანაც გამოიჩვენა, რომ მორიგი ყრილობის მოწვევას ახლო მომავალში აბრკოლებს, როგორც გარდა ბალანსის დაუშთავრებლობა, აგრეთვე ის გარემოება, რომ ანგარიშები ჯერ უნდა დაიბეჭდოს და შემდეგ კი ყრილობის მოწვევამდე ორი კვირით ადრე—დაურიგდეს როგორც მთავრობას, აგრეთვე ერობებს.

4. საკითხი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. გ. ქიქინაძის სამხედრო მინისტრად გაწვევის გამო; ა) მის ნაცვლად კომიტეტის პრეზიდიუმის ახალი თავმჯდომარის და ბ) წევრის არჩევის შესახებ.

5. დეკრეტი სამხედრო სასურსათო ფონდისთვის მაზრებში 100,0000 ფუთამდე სიმინდის შესყიდვის შესახებ.

6. საკითხი კომიტეტის ყოფილი წევრის ცეკვაშილის შესახებ.

მოსმენილი იქმნა მოხსენება კომიტეტის საქმეთა მმართველის მღივნისა, რომლიდანაც გამოიჩვენა რომ ბ. ცეკვაშილს კერძო პირებისათვის მიუყიდნია—და ისიც: აზრის მიხედვით შესაძინევად დაკლებულ ფასებში — ეროკავშირის ისეთი საქონელი, (მავთული და სხვა) რომელიც საჭირო იყო თვით ეროკავშირისათვის და რომელსაც კომიტეტი სამაზრო ერობებსაც კი ვერ უთმობდა.

7. საკითხი საქართველოში გზატკეცილების შეკეთება-გაყვანისა და საგზაო ბეგრის შესახებ.

მოსმენილ იქმნა:

სიტყვა შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრის ნ. რამიშილისა. მოხსენებანი: გზ. დებ. დირექტორის ინჟ. ქიქინაძისა და გზატკეცილების სამმართველოს უფროსის ინჟ. კორინთელისა.

განცხადებანი: ოზურ. ერობის თავმჯდ. ს. ჯანტურიშვილისა, გორის ერ. თავმჯდ. მ. კლიშიაშვილისა და მაზრების ტეხნიკოსებისა.

აგრეთვე: განცხადება დამფუძნ. კრების გზათა კომისიის წევრის

გრ. ურატაძისა — ერობებისაგან გზათა დეპარტამენტისთვის გადასაცემ 1018 ვერ. გზა-ტყეცილების შესახებ.

დ ა ა დ ბ ი ნ ე ს :

მიღებულ იქნას სმირნოვის მიერ შედგენილი კანონ-პროექტი ერობათა საბიუჯეტო უფლების შესახებ.

ა) ურთიერთობა-კომპენტენცია:

1. თქვის მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს ერობა.
2. თემი ყოველ დარგში განაგებს საკომისიო მუშაობის განსაზღვრულ ნაწილს.
3. ეს ნაწილი აღინიშნება კანონით, როგორც თემის კომპენტენციის მინიმუმი.
4. ერობას ეძლევა უფლება ხსენებული კომპენტენციის გაღებისა.

ბ) თემის ორგანიზაცია:

უარყოფილ იქნას თემში კოლლეგიალური ორგანიზაცია და საესებით მიღებულ იქნას ამის შესახებ წარმოდგენილი კანონ-პროექტის ტექსტი.

წარმოდგენილ კანონ-პროექტის მიღებულ შესწორებათა მიხედვით ხელახალი დამუშავება მიენდო კომისიას, რომელმაც კომიტეტის პრეზიდიუმთან ერთად მისი უკანასკნელი რედაქციის შემდეგ უნდა მისცეს მას, კანონ პროექტს სათანადო მსვლელობა.

კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ: ლ. შენგელაია, ს. ქანტურიშვილი და ლ. ასათიანი.

1. მიღებულ იქნას კომიტეტის მიერ სათანადო ზომები, რათა დამთავრებულ იქნას გასული 1919 და 1920 წლ. ანგარიში და ბალანსები.

2. ყველა ანგარიშები მოხსენდეს მომავალ ყრილობას, რომლის მოწვევა დაევალოს კომიტეტის პრეზიდიუმს არა უგვიანეს მომავალ მარტისა.

3. თუ პირველ მუხლში აღნიშნულ დროისთვის 1920 წ. სრული ანგარიშების შედგენა ვერ მოესწროს, მაშინ ყრილობას წარედგინოს 1919 წ. ხოლო საესებით ბალანსი და ანგარიშები 1920 წ. ანგარიშების საერთო ამონაწერი.

1. კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნას ფინანსთა მინისტრის ამხანაგი ს. ავალიანი.

2. კომიტეტის პრეზიდიუმის წევრათ, — ნაცვლად გადაყენებულ ნ. ცეკვაშვილისა, — არჩეულ იქმნას პ. საყვარელიძე.

3. გამოეცხადოს კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს ნ. გ. ქიქინაძეს მადლობა მისი ნაყოფიერი შრომისა და მოღვაწეობისათვის.

1. დაწესდეს მაზრებში ერთი მტკიცე ფასი.

2. პუნქტებზე სიმინდის მიტანა წინასწარ იქნას განსაზღვრული ბეგრისა.

3. სიმინდის თავისუფალი შესყიდვა მიენდოს ერობებს.

4. სასყიდელი გაეცეს სიმინდის დანიშნულ ადგილზე მიტანისათანავე.

5. საჭირო სიმინდის შეკრება დასრულდეს მომავალ 15 თებერვლამდე.

1. გადაყენებულ იქმნას მ. ცეკვაშვილი კომიტეტის წევრობის თანამდებობიდან.

2. მიეცეს წინადადება კომიტეტის პრეზიდიუმს, რათა ბ. ცეკვაშვილის საქმე დაუყონებლივ გადაეცეს სასამართლოს.

3. მიენდოს პრეზიდიუმს — მიმართოს იუსტიციის სამინისტროს, რათა განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყროს ამ საქმეს და იქონიოს ზედამხედველობა გამოძიების დროს.

1. შედგენილ იქნეს საგზაო საქმის პროგრამა.

2. გატარებულ იქმნას ნატურალური ბეგარა.

3. დაწესდეს გზ. დეპ. ინსპექცია ერობათა გზატკეცილებზე.

4. გადადებულ იქმნას ერობათა გზატკეცილების შესაკეთებლად ხაზინიდან ხუთას მილიონ მანეთის სპეციალური ფონდი გზათა მინისტრის განკარგულებაში.

5. დაწესდეს ერობათა ზედამხედველობა გზატკეცილების სამმართველოს ადგილობრივ ტექნიკ. პერსონალურ მოქმედებაზე.

6. იქნეს სასურველათ ცნობილი, რათა 10 წლის განმავლობაში ყველა თემი გზატკეცილებით შეუერთდეს სამაზრო ცენტრს, ხოლო უკანასკნელნი — რესპუბლიკის მთავარ ქალაქს.

7. ყველა გზატკეცილები სახ. — სტრატეგ. მნიშვნელობისა იქნეს გზ. დეპ. მართვა-გამგეობის ქვეშ და ინახებოდეს ხაზინის ხარჯზე.

ყველა ეს და სხვა დადგენილებანი ძირღებულ იქნენ ერთხმად.

თიანეთის ერობაში.

თიანეთის სამაზრო ერობის გამგეობისათვის საქიროა 9 სახალხო მასწავლებელი შემდეგ სოფლებში: ნაქალაქარში, ბოკორმაში, ტოლათ-სოფელში, საყარაულოში, სიონში, ახალსოფელში, ტუმურებში, მუქოში, ყვარელწყალში. სახაზინო ჯამაგირთან ერთად ეძლევა მასწავლებელს ერობისაგან უფასოთ, ნატურიო: ბინა, განათება, გათბობა და ორი გიზვანქა პური დღეში. თხოვნები დოკუმენტებით მიიღება 17 იანვრამდე, აუც ლებელია ექვსი კლასის ცენზი ან 4-კლასის 2 წლის სტაჟით (შეიძლება დაშვებულ იქნას 4 კლასის ცენზით თუ ამავე დროს მოსმენილი აქვს ექვსთვიანი პედაგოგიური კურსები).

თიანეთის სამაზრო ერობის გამგეობა.

გურიის ერობაში.

თემთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილებანი.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

- 1) საკვირაო სკოლების გახსნა.
- 2) სასურსათო ბელღების შექმნა.
- 3) სამხედრო ფონდის შესახებ.
- 4) საგაზო ბეგარის გატარება.
- 5) საექიმო დახმარება.
- 6) სათემო მილიციის რეორგანიზაცია.
- 7) აგრარულ რეფორმის გატარების შესახებ.
- 8) თავდაცვის ფონდის შექმნა.
- 9) დეზერტირების შესახებ.
- 10) ნიგვზის ხის შესახებ.
- 11) განცხადებანი.

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ნ ი:

„საკვირაო სკოლები გაიხსნას გურიის ყველა თემებში. 2 იანვარს, 1921 წ. თემთა გამგეობებს ევალებათ სავალდებულოთ განაცხადონ ყველა უცოდინარო 14—50 წლამდე წერა-კითხვის შესწავლა და აგრეთვე ყოვეოგვარი დახმარება გაუწიონ ერობას ამ დიადი საქმის სისრულეში მოსაყვანათ“.

ს ა ს უ რ ს ა თ ო ბ ე ლ ე ბ ი .

- 1) ყველა თემებში დაწესდეს საზოგადო სიმინდის ბელელი.
- 2) ბელელი უნდა იმყოფებოდეს თემის გამგეობის ხელმძღვანელობაში.
- 3) ბელელი ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამგეობის რომელსამე წევრს, რომელიც პირადათ პასუხისმგებელია თემის საბჭოს წინაშე.
- 4) ბელელიდან სიმინდის ვაცემა შესაძლებელია თემის გამგეობის მიერ საბჭოს დასტურის შემდეგ.
- 5) მეთედი ნაწილი დაგროვილი სიმინდისა იმყოფება სამაზრო ერობის გამგეობის განკარგულებაში, რომელიც ანაწილებს მას სხვა თემებში საქაროებისამებრ.
- 6) ბელელი მუდმივი სასურსათო ფონდია და არავითარ შემთხვევაში ბელლის სიმინდის გაყიდვა დასაშვები არ არის.
- 7) ბელლის სიმინდი მიეცემათ სესხით მხოლოდ მაზრის დამშეულ ოჯახებს.
- 8) სესხათ მიღებული სიმინდი უნდა უკლებლივ დაუბრუნდეს ბელელს არა უგვიანეს შემდეგი წლის 1 იანვრისა.
- 9) ბელლის სიმინდის რაოდენობა შემდეგ ნაირად განისაზღვროს: 1-ლ კატეგ. შემოაქვს სამი ფუთი სიმინდი, 2-რე კატ. 2 ფუთი, მე-3 კატ. ერთი ფუთი და 4-ე კატ. სრულიად განთავისუფლებული იქნას.
- 10) შეატანი სიმინდი თემის საბჭოს მიერ გაწერილი უნდა იქნეს კომლებზე. რაოდენობის განსაზღვრის დოოს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოჯახის მუშა ხელის რაოდენობა და სიმინდის შემოსავალი.
- 11) ბელლის აშენება და მისი შენახვა ხდება თემის ხარჯზე.
- 12) სიმინდის გაწერა თემის საბჭოს მიერ მოხდეს არა უგვიანეს 15 იანვრისა.
- 13) სიმინდის გადახდა არ უნდა გადასცილდეს 15 მარტს 1921 წ.
- 14) ბელლის ზედამხედველის განთავისუფლება მოვალეობიდან შესაძლებელია მხოლოდ თემის საბჭოს მიერ.

ს ა მ ხ ე ღ რ ო ფ ო ნ დ ის შ ე ს ა ხ ე ბ .

მიღებულ იქნას ყოველი ზომები, რათა გამგეობებმა თავიანთი ხეყდრი სიმინდი, თანახმად სამაზრო ერობის გამგეობის განაწილებისა, დახმარებით შეკრიბონ მთავრობის ფასებში და ჩააბარონ ერობას.

მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელი ბარამიძე სთხოვს ყრილობას სისრულეში იქნას მოყვანილი ერობის გამგეობის დადგენილება გაქირვებულ მასწავლებელთათვის სიმინდის იაფ ფასში მიცემის შესახებ.

ყრილობა ადგენს: „დაუყონებლივ გატარდეს ცხოვრებაში ერობის დადგენილება მასწავლებელთათვის თავდებად ფასებში სიმინდის მიცემის შესახებ; აგრეთვე აღიძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს, რომ მასწავლებლებს დაეთმოს ღალის სიმინდი იაფ ფასებში.

საგზო ბეგარა.

ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს სამაზრო ერობას საგზო ნატურალური ბეგრის ცხოვრებაში გატარების საქმეში; მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები, რათა პირველ რიგში გაკეთდეს სამაზრო მნიშვნელობის გზები; აგრეთვე თემები დაუყონებლივ უნდა შეუდგინენ სასოფლო გზების გაყვანა-შეკეთებას სამაზრო ერობის ტექნიკური ხელმძღვანელობით.

საექიმო დახმარება.

თემები ვალდებულიად ხლიან თავს დაუპატონ საერობო საექიმო პერსონალს ერობის ჯამაგირზე იმდენი, რამდენიც დადგენილი იქნება სამაზრო ერობის გამგეობის მიერ საარსებო მინიმუმის ფარგლებში; ეს განსხვავება სამაზრო ერობის მიერ უნდა განაწილდეს თემებზე იმისდა მიხედვით თუ რომელი თემი როგორ სარგებლობს იმ საექიმო პუნქტით, რომელზედაც ის მიწერილია. ეს განსხვავება თემებს ყოველდღიურად შეაქვთ ერობის კასაში საიდანაც საექიმო პერსონალი მიიღებს მას. თავმჯდომარე აცხადებს, რომ თემებს ასეთი ინსტრუქციები დაეგზავნათ; საკითხები მილიციის რეორგანიზაციისა და ახალი თემების გამოჭრის შესახებ მოიხსნა წესრიგიდან.

აგრარული რეფორმა.

თქმთა წარმომადგენლების ყრილობა ენერგიულად მოუწოდებს თემებს, რათა მათ ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში დაჩქარებით გატარებას ამ საქმეში მომუშავეთა დახმარებით იქნება ის თუ სხვა სახით.

ღალის აკრეფა-კი ყრილობას სასურველად მიაჩნია მიენდოს თემებს, რომლებსაც ამისთვის უნდა მიეცეს აკრეფილი ღალიდან რამოდენიმე პროცენტი.

დეზერტირების შესახებ.

ამ საკითხზე გამგ. წევრის კვირკველიას მოხსენების შემდეგ ყრილობა აღგენს:

„მიღებულ იქნას სასტიკი ზომები დეზერტირების წინააღმდეგ; დატყვევებულ იქნან მათი მშობლები, რომ ამით აიძულონ ჩსინი მოიყვანონ თავიანთი დეზერტირი შვილები. ყრილობა აგრეთვე სათანადო ორგანოს ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ დაჭერილი დეზერტირები სათანადოთ არ ისჯებიან.“

თავდაცვისა და დამოუკიდებლობის ფონდები.

ყრილობა გამგ. წევრის პლ. კვირკველიასავე მოხსენებით აღგენს: დაუყონებლივ მოეწყოს თემებში სათანადო ორგანიზაციები, თანახმა უ ინსტრუქციისა, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავდაცვის შესაქმნელათ.“

—ამას წინაზე ერობის საექიმო-სასანიტარო განყ. ინიციატივით შესდგა გურიის ერობის ექიმთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო 13 ექიმი და ფერშალი, კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი. ყრილობაზე ვერ გამოცხადდა მათი პუნქტებზე აუცილებელი საჭიროების გამო ორი ექიმი. ყრილობამ გასტანა ორი დღე.

საექიმო პუნქტების გამგე ექიმებმა გააკეთეს ფართო მოხსენებები შესახებ თავიანთ უბნებში არსებულ ავადმყოფობათა, მათ წინააღმდეგ მიღებულ და მისაღებ ზომებისა, საექიმო პუნქტების საჭიროებათა და სხვა.

ყრილობამ განიხილა მრავალი საყურადღებო საკითხები, ახალგაზრდა საერობო მედიცინასთან დაკავშირებული, და მათ შესახებ მიიღო შესაფერი დადგენილებანი.

უკანასნელათ ყრილობამ აირჩია სამდფიცინო საბჭო ოთხი წევრისგან, რომელიც იარსებებს საერობო გამგეობასთან და ექნება რჩევის ხასიათი.

იმავე დღეებში შესდგა საერობო ვეტერინართა ყრილობაც.

— ოზურგეთის ცენტრალურ საერობო საავადმყოფოსთან მღოწყო სამშობიარო და გინეკოლოგიური განყ., რომელთა ორდინატორად დაინიშნა ექიმი სპეციალისტი ქალი—ვაინი. ამ განყ. კონსულტანტობა-კი მიენდო მთავარ დოსტაქარ კეჩეკს.

— გამგეობამ მ. ბაჟუნაშვილი დანიშნა თავის რწმუნებოლად ტფილისში.

— ოზურგეთის თემს გადაეცა საკუთრებათ, თანახმად 1919 წ. დეკემბრის 5—კანონისა, ქალაქ ოზურგეთის ახლოს მდებარე ტყე, ე. წ. გოშველის აგარაკი, რომლის ექსპლოატაცია თემმა უკვე დაიწყო.

— იმის გამო, რომ ნატანებ-ოზურგეთის გზაზე ხშირად აქვს ადგილი მგზავრებზე თავდასხმას, ერობამ ამ გზის საშუალო ადგილზე—ს. მერიაში დააჩსა სამილიციო სადარაჯო.

— სიმინდის დამზადების რწმუნებულათ მაზრაში გამგეობამ აირჩია თავისი წევრი შ. კოჭუა.

— ერობამ 40.000 მან, გადასდო საკვირაო სკოლების სამეურნეო ხარჯებისათვის, დანარჩენი ხარჯები თემებმა მიიღეს თავის თავზე. მეცადინეობა ამ სკოლებში ამ დღეებში დაიწყება—სულ 150-მდე ადგილას.

— ერობამ შეიძინა ექ. დ. ერისთავისაგან მამული, მდებარე ქ. ოზურგეთში გვარდიის ქუჩაზე, ზედ აგებული საუცხოოთ მორთული სახლით, რომელშიაცა განზრახულია მოათავსონ ან სამასწავლებლო სემინარია და ან ცენტრალური საავათმყოფოს ზოგიერთა განყოფილებანი.

— დაარსდა ახალი-ჯვარცხმის თემი; დროებით საზოგადო კრებაზე არჩეული იქნა 25 ხმოსანი და შესდგა საბჭო.

ასევე საზოგადო კრებაზე არჩეული იქნა 20 ხმოსანი სილაურის ახალ თემში.

—ამ დღეებში გამგეობა დაიწყებს მოქმედებას.

—ცალკე თემათ გამოყოფას ითხოვენ აგრეთვე სოფლები: ბუკის-ციხე და ბუკნარი.

—არსდება აგრეთვე ნინოშვილის თემი, რომელშიაც შეჯგუფებას ითხოვენ სოფ. ყელა, ბულუხარი და ჩანჩეთი.

— ნატანებ-ოზურგეთს შუა ეტლით მგზავრობაზე გამგეობამ, თანახმად მეეტლეთა შუამდგომლობასა ნიხრი გაადიდა; დაწესდა თითო მგზავრზე 700 მან., მაგრამ მეეტლეები ამ ნიხრს არ იცავენ და ხშირათ 1000-1500 მან. ახდებიან მგზავრს. საზოგადოთ აქაური მეეტლეების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ერობამ ზომები უნდა მიიღოს ნიხრის დასაცავად.

გურიის პროფესიონალური კავშირების საბჭომაც თავის მხრივ რაიმე უნდა იღონოს თავის უკვანო წევრების მადაგახსნილობის წინააღმდეგ.

— ერობამ ამ დღეებში სამსახურიდან გაანთავისუფლა მისივე დაქვინებითი თხოვნის თანახმად მაზრის მილიციის უფროსი ლ. თაყაიშვილი.

— მაზრის მილიციის უფროსის მოვალეობის აღმ. დაინიშნა მ. მილიციის უფროსის ლანჩხუაილი თანაშემწე — ჩახვაძე.

— ლანჩხუაის რაიონში ჩახვაძის ადგილზე დაინიშნა მილიციის სუფსის სადარაჯოს უფროსი უშვერიძე.

— სამსახურიდან გავიდა აგრეთვე მაზრის მილიციის უფროსის ჩოხატაურელი თანაშემწე ქარცივაძე; მის ადგილზე დაინიშნა საქამიასერის თემის მილიციის უფროსი თოდუა.

— ყოფილ მილიციის უფროსს თაყაიშვილს ერობის გამგეობამ სამსახურიდან გასვლისას მადლობა გამოუცხადა მოვალეობის პირნათლად და პასუხისმგებლობის სრულის შეგნებით შესრულებისათვის.

— ერობამ მადლობა გამოუცხადა მილიციაში თავდადებულათ თანამშრომლობისათვის და 20.000 მანეთით დააჯილდოვა აგრეთვე თეოფილე მუხაშაგია, რომელიც არჩეულ იქნა სახალხო გვარდიის გურიის საოლქო შტაბის წევრად.

— ერობის გამგეობამ რევიზია მოახდინა მაზრის მილიციის სამმართველოში, სადაც აღმოჩნდა რამოდენიმე დეფექტები, რის გასასწორებლათ წინადადება მიეცა მილიციის უფროსს.

— ჩოხატაურის თემში გაიხსნა სამაზრო ერობის საექიმო პუნქტი.

— უკანასკნელი საეროებო ყრილობის მიერ გამოთქმული სურვილის თანახმად, ერობის გამგეობამ ამ დღეებში მიიღო დადგენილება, რომ ნატანებ-ოზურგეთს შუა გაიყვანოს ვიწრო-ლიანდაგიანი რკინის გზა.

ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ მიღებულია საჭირო ზომები. გამგეობის თავმჯდომარეს დაევალა ამ საქმისათვის საჭირო შტატის შედგენა.

— გამგეობამ გადასწყვიტა ყველა პატარა ე. წ. ერთ-საყნიანი ხიდები ნატანებ-ჩოხატაურის გზა-ტყევილზე აგებული იქნას ცემენტის მასალისაგან.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

(დავ. კლდიაშვილი. მოთხრობები-ტომი I და II.)

(დასასრული)

დავ. კლდიაშვილის სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებთა მეორე ტომში დასტაობულია ყველაზე უფრო ლატერატურულათ დამუშავებული, ჩვენი ცხოვრებიდან ცოკხლათ აღებული და მხატვრულათაც აღწერილი მოთხრობა მისი—„ქამუშაძის გაჭირვება“. აქ დახატულია საცოლე სოფლის ახალგაზდა აზნაური—ოტია ქამუშაძე, რომელიც მოხუცებული დედის ეკვირინეს ამარა ცხოვრობდა მარტო. ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს, ახლო ქალაქ № დან ქამუშაძეებს ესტუმრება სოფლიდან გაქცეულთაგანის, აზნაურის მაქსიმე ბიაშვილის ვაჟი—პორფირე, რომლის მაქანკლობით ოტია ქამუშაძემ ცოლათ შეერთო ქალაქ № ში გაზდილი ქალიშვილი—სონია. ელვის სისწრაფით მოედო თელ სოფელს ოტიასაგან ქალაქელი ქალის დანიშვნის ამბავი და დედა ეკვირინეს სინარულსაც საზღვარი არ ჰქონდა. ახლათ ცოლ შერთული ოტია ერთი ათად გადაიქცა და დაიწყო გულ დასმული, დიდათ ბეჯითი შრომა და ოჯახში მუშაობა. მან ლამაზათ მოაწყო სახლ-კარი, თელი ეზო-გარემო, ოჯახი, ყანები შეაკავა, დახნა და დათესა, ვენახი ყოველიფრათ დაამუშავა და შეამკო, ბოსტამ ნიც კარგი დათესა და საქონელსაც დიდი ყურადღება მიაქცია. დედა ეკვირინეც იმას ცდილობდა, რომ მისი ახალგაზდა რძალი გულით გართულიყო სოფელქვეყანაში, არ მოწყენილიყო. მარა სონიას სოფლის მიყრუებულობა—მივარდნილობა და მკვდარი სიჩუმე გულს საშინლათ უმძიბებდა და ნამეტანს აღონეზდა.

სონიამ გაიცნო ქრმის ნათესავები და მეზობლები ყველგან საცა-კი ფეხი შედგა, ხელმოკლეობა და მოუწყობლობა ჩანდა.

ამ სოფლის დაყრუებულობაში მყოფ ქამუშაძეებს ერთ დღეს მოესმათ საშინელი ყვირილი, კვილი და აწიოკება. იმათ ბიცოლა ეფროსინეს კეტით მიუვარდა აზნაური ომანი, რომელმაც კინაღამ მოკლა და ამოწყვიტა ერთი ოჯახი, ვითომც იმიტომ, რომ იმისი ათი თორმეტი წლის ბიჭი ეფროსინეს კულიანობითა და მავნე სულობით მოკვდა. ამ გაუკონარმა ბარბაროსობამ და სოფლის უშველებელმა ცრუ მორწუნეობამ სონია სულ ერთიან გადარია და იმისი დედამთილი ეკვირინეც სწორეთ ცეცხლზე მდულარეს ასხამს და ეუბნება: წყდებიან ხომ მაინც! ღმერთო, ნუ მიწყენ და იმ ბავშვის სიკვდილი, კაცმა რომ თქვას, მადლიცაა—რა ცხოვრება მოელოდა საწყალ ობოლს, რომ გაზდილიყო... იმდენ სულში, რაც იმ ოჯახშია, რა უნდა რგებოდა მას, რა შეხვდებოდა საწილოში? მადლიცაა...“

ამ სურსათმაც მალე გაირბინა მკაცრი ზამთრის განმავლობაში და გამოზაფხულდა კიდევ. ოტიაბაც, რომელიც, მოგახსენეთ, წინათაც კაი და მარჯვე ყანის მუშა იყო, ახლა, როცა ცოლ-შვილს მოეკიდა, გაიორკეცა მუშაობა და

მეცადინეობა და ღრობით შეუდგა დახვნასა და დათესვას. მარა სონიამ აქაც გამახალისებელი ვერაფერი დაინახა. იგი ძალიან კარგათ ხედავდა, რომ მისი ქმარი, ოტია, გვართ ქამუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი და ეს თავმოყვარეობას უკლავდა მას. სობიამ ღრო შეარჩია და ქმარს მოელაპარაკა, ეზრუნა მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, საქირლებისა და პატიოსნების დაცვისათვის, მიეღო ყოველი ღონე, რომ მათი შვილი ყაზახათ არ გაზდილიყო და იმისთვის აეცილებინა უკიდურესი გაჭირვება, რომელიც მას უსათუოთ მოელოდა.

ამასობაში სონიას ვაჟიც ეყოლა, მონათლეს კიდევ იგი და ნათლიათ გაუხადეს მდიდარი ყაზახი—საქადაძე. მარა ისეთი ზდილობიანი, კარგი შეხედულობის და ოჯახის შვილი, რომ თავადიშვალი გეგონებოდათ, როცა ნახავდით. მარა გაჭირვებას ეს მაინც რას უშველიდა...

გამწარებულმა ოტიამ ხარებით ვაჭრობა მოკიდა ხელი ახლა, რომ ამით რასკე გამორჩენილიყო: ყიდულობდა იაფათ, ასუქებდა და მერე მიყავდა იარაღუქებზე მოგებით გასასყიდათ. მარა აქიდანაც არა გამოდგარა, ხარების საკვების ფასიც არა რჩებოდა. მოინდომა სიმინდით ვაჭრობა, მარა გაცდენა, მისვლა-მოსვლა, შრომა სულ უქმი შეიქნა, ისეთ ნაკლებ ფასს იძლეოდენ ხელმოკლე სოფლელები. სხვაგანაც მოინდომა ოტამ წასვლა, რომ რაიმე საქმისთვის ხელი მოეკიდა. რამდენივე თავის მოგვარესთან ერთად, მან ამხანაგობა გააწყო, ხეებს ყიდულობდენ, ფიცრებათ ხერხავდენ და მახლობელ დაბაში გასასყიდათ მიქონდათ, მარა ვერც ამ ამხანაგობამ ასარგებლარამე უგზობის გამო, საქონელი წყდებოდა მთიდან ხეების ჩამოტანით და ფიცრების დაბაში გატანაზე. ბევრ სხვა საქმესაც შეება ოტია, მარ ხეირი ვერაფრისგან ნახა.

ამ გარეშობამ სულ თლად ცეცხლი წაუქიდა ოტას. ამას ზედ დაერთო უკანასკნელი წლების მოუხსავლობაც და ოტიას კარზე მომდგარი შიმშილი აეტუზა.

ამ ღროს, სოფელში ბოჭაულიც მოვიდა საადგილ-მამულო გადასახადის მოსაკრეფათ და ვისაც ფული არ შექონდა, ბელელს უბეჭდავდენ. ასე მოექცენ ოტიასაც და ესეც თვისი თვალებით დაინახა სონიამ. აივსო სონიას მოთმინების ფიალა და ქმარს გადაწყვეტით უთხრა: —ოტია! ჩვენი აქ დარჩენა სიკვდილია, ოტია... სიკვდილი, ოტია!.. ჩვენ კიდევ უარესი თუ მოგველის აქ, თორე უკეთესი არაფერი.. წავიდეთ იქ, საცა საშოვარი უფრო მეტია, ქალაქ ადგილას, №-ში.

ამის შემდეგ ოტიას ბიძალავანი ქამუშაძე მოკვდა და... „მოკვდა მშიერი.. მშიერი მოკვდა, შიმშილმა მოკლა—ეუბნებოდა თავის თავს სონია. ყველა ამ უბედურობაშია ჩავარდნილი! ყველას ეს დღე მოგველის! არა, შვილებო, არა, გვრიტებო!“ მოკვალი თაობის, შვილების ბედი არ ასვენებდა ამ ქალს.

ოტიას ღრმით მოხვდა გულში სონიას სიტყვები. და, ბევრი აწონ-დაწონვის შემდეგ, გადაწყვიტა:—არა... მეტი საშველი არაა, მეც უნდა ავიბარგო! მეც უნდა შევეხიზნო იქ, საცა ყოველი კაცი საშველს პოულობს. საცა იმოდენი საშოვარია და საშუალება... მეტი გზა აღარ არის!..

ღედა ეკვირინე ძალიან წინააღმდეგი იყო ქალაქ №-ში გადასახლებისა.

მარა, მას შემდეგ, რაც მანანამ ეკვირინეს სირცხვილი აქამა და ყოველიფერი ქორები და ცუდი საქმეები წამოულაგა და პირში ახალა მის რძალ სონიასთან, გულგახეთქილი სონია პირდაპირ გამოჴცხადებს უკანასკნელათ ოტიას:—ოტია... ოტია! მე ხვა...ვე მივდივარ... იცოდე, ხვალვე უნდა წავიდე...

რამდენიმე დღის შემდეგ, ოტიამ უროით ჩაიყვანა ქალაქ № ში ცოლ-შვილი და შეუდგა კიდევ გადასახლებისათვის შემზადებას.

ოტიამ გაყიდა სახლს გარდა ყოველიფერი თვისი ქონება თამარაშენში და № ის ვანაპირაზე იყოდა პატარა ადგილი, იქ ჩაიტანა თვისი სახლი და შეენატა მის გვარათვე გამოქცეულ სოფლებს, რომელთა პატარა სახლების რიცხვი თანდათან მატულობდა და სარტყელივით ერტყმოდა № ის გარშემო. ეს ქალაქში ჩამოსახლებული სოფლელები უდარაჯებდენ დროს, რომელმაც სრულიათ უნდა გაქნას იგინი ქალაქელებში და დაგეშოს ახალ ცხოვრებისთვის.

„ქამუშაძის გაქირვების“ შინაარსზე ზომაზე მეტი ყურადღების მიქცევა აქ იმან გამოიწვია, რომ ეს ნაწარმოები დავე კლდიაშვილის ნაწერებში თავიდან ბოლომდე ნამდვილი რეალისტურია და შედეგრიც; ამასთანავე იგი აშკარათაც ყოფს ავტორის ტალანტის დიდათ დიდ ცხოველ მყოფელობას. თუ ავტორმა სალიტერატურო კრიტიკისა და მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა, სწორეთ ამ მდიდარი შინაარსით შემკული მოთხრობით სავსე სრულიათ გარკვევით დაიხატა ავტორის ნელი, ნაზი იუმორი და ლიტერატურული გემოვნებაც. დავით კლდიაშვილმა გადაგვიშალა და დაგვიხატა ერთი დიდი ძირითადი საკითხი და ნათელ ჰყო ქართველთა აწინდელი ცხოვრების ტენდენცია. აქ დახატულია იმერეთის დღეინდელი ცხოვრების ქონებრივი და სულიერი ვითარება, მცხოვრებთა დიდათ დიდი გაქირვება და სილატაკე აზნაურობისა. სოფლის ენა მოსწოებულებმა და ხუპარებმა ბატონ-ყმობის გაყრისთანავე ხმა დაადგეს—„თავად-აზნაურობა ქალაქათ მიიქცესო,“ ე. ი. ფიზიკური მუშაობისათვის მოუშხადებელნი სოფელს უნდა გაეცალონო, მარა ეს ხმა უფრო და უფრო მჭექარე და ძლიერი შეიქნა შემდეგში, როცა ძველი ცხოვრება სულ გადაბრუნდა და ძირიან-ფესვებიანად შეცვალა, როცა ცხოვრება სოფლად ისე გაძვირდა, რო შიმშილისა და სიტუტვლის მეტი აღარა დარჩარა დამაყრუებელ სოფელში ჯ-ხირი და წვალემა სიკვდილი და გადაშენება, დაღუპვა იყო ნაბატონართათვის.

ქალაქელ ახალგაზდა ქალის სონიას ტანში ურუანტელი უფლის, როცა წარმოიდგენს, თუ რა ჯოჯოხეთი მოელის მომავალში მის უბედურ გვრიტებს—შვილებს და გადაწყვეტს ქალაქში გადასახლებას და ქმარსაც იქით წაიყვანს. სონია დარწმუნებულია და ქმარიც დაარწმუნა იმაში, რო ქალაქში გადასახლება იხსნის ამათ და მათ შვილებსაც დაყრუებასა და დაღუპვისაგან და შეუდგებიან კიდევ ქალაქში გადასახლებას ისე, როგორც თამარაშენიდან სხვებსაც მიუტოვებია სოფელი და ქალაქში გადასახლებულა.

ოტია ქამუშაძე იმერეთის აზნაურებში პირველი მოქალაქეა და ამ მოქალაქეობრივ ცხოვრების ასპარეზზე გამოსული იმისი შვილი შეიქნება პირველი

მერცხალი, რომელიც ქართველობას ახარებს გაზაფხულს და სიხარულს, თანასწორობას და ბედნიერებასაც...

დავ. კლდისშვილის დანარჩენი ნაწერი შეიცავს მხოლოდ პატარა-პატარა ამბავს, სურათსა და ესკიზებს. მაგალითად, პატარა ამბავი „მიქელა“ გვიხატავს ძალზე მოტეხილ, მოხუცებულ, დიდ უბედურებას შეჩვეულ ადამიანს, რომელსაც ორი შვილის შვილისა და დაქვრივებული რძალის მათს მერი, სუყველა გაუწყდა, უფროსი შვილის შვილიც კლექით გაუხდება ავით და იმას თავისი ხელით კარავში გადააწვენს, საცა იგი ერთ წყალდიდობაზე საშინელ ავდარში უპატრონოთ ღამით დაიღუპება. დილით გათენებზე, მიქელა სულყოფილი ფერს წალეკილს ნახავს, მხოლოდ მის შვილის შვილს სპიდონას თავი ეგდო სადღაც მოხუცმა კუბო ურემზე დაუდო დი დიდის წვალებით სულ მარტომ-მარტომ მიწას მიბარა. სასაფლაოდან დაბრუნებულმა ნაეოზოვარში გადაადგომ კუბოს ნადგამი ურემის ზესადგარი, გამოიცვალა ახალუბი და შარვალი, დაბანა ხარები და მერე შევიდა სახლში...

ამიერიდან მოხუცებული მიქელა შეიქმნა უფრო გულდამშვიდებული და სულ პაწიაშვილი შვილზე—ნესტორაზე ფიქრობდა.

ესკიზში „როსტომ მანველიძე“ გამოყვანილია იმერელი აზნაური, როსტომ მანველიძე, რომელიც მარშლების და ბანკის მოღვაწეთა არჩევნებს ყოველთვის ესწრება და ხშირათ „პრაგონიც ქუთაისში ჩასასვლელათ იქიდან“ „მოღვაწეთაგან“ მოდიოდა, ბოლოს, ეს უფლებაც მოესპოთ თავად-აზნაურთ, თავად-აზნაურთა მიწა-წყალზე გადასახადიც შემოიღეს და ამან სულ დაათავა ყოველივე დაკლება და ჩამოთლა როსტომს. ყოველივე ამას როსტომი უმაღავედა თავის ერთგულ ნაშენყმარს—დათას, რომელიც მას ერთგულად შერჩენოდა და ემსახურებოდა.

იმისი ცოლი და ოთხი გასათხოვარი ღამაში ქალიშვილები სულ სხვაგან ნათესავეებსა და მოყვრებში იყვენ გაკრული და სახლში მარტო ტოვებდენ როსტომს თავის ნაშინაყმარით.

—სულ ასე ვეგდოთ, ბიჭო, ჰა? კითხა როსტომმა დათიას.

—ჯორი შემიკაზმე, თუ კაცი ხარ! მეც მომეწყინა.

შეჯღებოდა ჯორზე როსტომი და ეწვეოდა ისიც ნათესავს, ან მეგობარს და ისიც ღვინის სმაში ატარებდა დროს...

მე აქ შევჩერდები კიდევ ერთ პატარა ესკიზზე—„თავადი პეტრე.“ სიმონ ბატონიშვილის დაცინვამ მანუჩარს, თავად პეტრეს წინაპარს—შურის ძიებით შეპყრობილს. ერთხელ გიჟურათ წამოაძახებინა:—განანიებ, თავხედო! თუ კაცი ვყოფილვარ, განანიებ... განანიებ!

ეს უღმერთო მანუჩარი სიმონის უმანკო შვილს, რომელიც მახლობელ მონასტერში იზღებოდა ბერებთან, თავის სასახლეში მიიპატიჟებს... და თავ კაცს აუკრუნს სიმონთან, „საჩუქარიც გაუგზავნა შენნიგრი პატარა კოლოფით.“ სიმონმა და მისმა მეუღლემ გახსნეს კოლოფი... პეტრესაც არ ენახოს ის, რაც იმით ნახეს კოლოფში მათი შვილის მოჭრილი თვი იდო!...

„თავადი პეტრე“ ძალიან პატარა ესკიზია მარა იგი ძალიან ბევრს ეუბნე-

ბა მკითხველის გრძნობა-გონებას. ნიჭიერმა ავტორმა აქ კობტა, თავისებური ენამახვილობით გადავვიშალა ერთი ფურცელი ჩვენი წარსული ცხოვრებისა, თუ რა „სჩვევია ძველთაგან“ ზოგიერთ გვარს ჩვენს არისტოკრატიაში.

მარა იმას კი ჩემსდღეში ვერ წარმოვიდგენდი, თუ „თავადი პეტრეს“ გვარში, ან თელ საქართველოში შურისძიებერ ასეთი უღმერთო მაგალითიც მოიძებნებოდა....

დავ. კლდიაშვილს სცენებიც აქვს დაწერილი!

სცენაში „ირინეს ბედნიერება“ (სურ. სოფლ. ცხოვრებიდან 2 მ.) გამოხატულია აზნაურის—ფილიპე ბარბაქაძის ასული, ირინე, რომელიც, მამა მისის წყალობით, ძალათი მითხოვდება აბესალომს, ისეთ მოქიფებს, რომელიც ცოლ-შვილისა და საოჯახოთ ღმერთს არ გაეჩინა. ამათი ცოლ-ქრმობა რმით დასრულდა, რომ აბესალომ სატევართ სასიკვდილოთ დასჭრის ირინეს, რომლის ბედნიერება ასე მოინდომა მამა მისმა—ფილიპემ.

„დარისპანის გასაჭირში“ (სურ. ერთ მოქმედებათ) დახატულია აზნაური დარისპან ქარსიძე რვისი გასათხოვარი ქალიშვილიც, რომელიც მაჭანკალის (შუამავლის) მართას დახმარებათ უნდა მიათხოვოს ცოლათ ორიკო ხარებაძეს. მარა დარისპანი პირში ჩალა გამოვლებული დარჩება, როდესაც გაიგებს, რომ ორიკო უკვე დანიშნულია...

ორივე ამ პიესას დიდი სახელი აქვს ჩვენს საზოგადოებაში და ყოველ წელიწადს რამდენიმეჯერ იდგმება სცენაზე წარმოსადგენათ. წრეულსაც ბარე, ხუთჯერ იქნა წარმოდგენილი სახელმწიფო თეატრში და ყოველთვის აუარებელი საზოგადოება ესწრებოდა.

ამდენი ღვაწლისთვის შარშან შემოდგომაზე ქათველობამ საყვარელ მწერალს, 35 წლის სამწერლო მოღვაწეობისათვის იუბილე გადაუხადა და მთავრობაც პენსია დაუნიშნა. განსაკუთრებული მნიშვნელობა დავ. კლდიაშვილის ნაწერებისა იმაში მდგომარეობს, რო ქართულ სიტყვა კახულ მწერლობაში პირველათ მან მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომელმაც გამოიწვია გაღარიბებულ, თითქმის პროლეტარათ ქცეულ აზნაურთა სოფლიდან ქალაქში გადასახლება. ამ გადასახლებას ძველებუოათ კერძო, თითო ოროლა, ოჯახი კი არ ეტანება: მას უკვე საზოგადო ხასიათი აქვს და დიდი მნიშვნელობისაც შეიქნა რა თქმა უნდა ჩვენი მწერლობის სასახელოთ ეს ჩვენი ცხოვრების ახალი მოვლინება მას უყურადღებოთ არ დარჩა. ნიჭიერ ავტორს აქ ყოველ სტრიქონსა და სტრიქონს შორის გულიდან ამოაქვს რალაც დიდი და ძლიერი გრძნობა შებრალებისა იმ უბედურ ადამიანებისადმი, რომელნიც თუმცა დიდი გამწარებათ ჯახირობენ, მუშაობენ კიდევ, მარა მაინც შიმშილით კვდებიან, უმკაცრებითა და ცრუმორწმუნოებით იღუპები ნ. და მკითხველიც ხედავს, რომ ავ ჯორი სცენიდან ვაღომდგარი მსახიობივით კ არა დგას მის წინა და იქიდან კი არ კბთხულოს ხელოვნურად შექმნილს თავის გულის ნადებსა და ხრახვებს. არა, იგი თვით პლელვარე ცხოვრების ნაკვერჩხალშია მდგარა, იქიდან პიოდაპირ მოესპის სისხლითა და ცხარე ცრმლებით მოსვრილ ცხოვრების გამწარებული ხეები დი კვნესა, თითონაც საიდუმლოთ კვნესის და გულ-მკერდს

იწიწკნის. მარა იგი მაინც ვაშკაცურის ობიექტივობით ქმნის ლამაზათ აწყობილსა და შეკრულს თაიგულს და თქვენთან ძღვნათ მოაქვს და გეუბნებათ ოდნავ დამცინავის, ნაზი იუმორით: აი, ჩახედეთ ამ სურათებს, ადამიანთა გულსა და ხასიათებს, რამდენი გამწარებული გრძობობა—გონება, რამდენი გამწარალი სისხლ-ხორცი, რამდენი კვნესა გულისა და სულის შფოთვაა იქ ჩამარბული და ყველა ეს—სულ თქვენი საკუთარი არსების ნაწილიაო...

„ქამუშადის გაჭირვება“—რა სევდიან და ღრმათ დამაფიქრებელ მუსიკათ გაისმის აქ ადამიანის მწარე, მოუსვენარი ფიქრი...

აქ ქართული ცხოვრების ნამდვილი და ქეშმარიტი რეალიზმი ხმამაღლა ახეუყველებს: ადამიანის გული და სული სულ თავამდეა ავსებული დიდითა და მდიდარი გრძობით და, რაც იქ ვერ დატეულა, ამ სუსლსა და გულში, პირ და პირ გადმოდენილა ლამაზ, მომხიბვლელ სურათებათ და შექმნილა, დაგვირისტებულა ერთიანი, მთლიანი ნაწარმოები „ქამუშადის გაჭირვება.“

დიდი საუნჯეა მწერლობისათვის იმის ცხოველმყოფელობა და გულწრფელობა!..

მწერლობის, საზოგადოთ, ლიტერატურის დიდი დაფარული საიდუმლოება იმაში იხატება, რომ ავტორი ცხოვრების მრავალ გვარ მოვლენებათა მიმდინარეობაში იმას გამოგვიხატავს, რაც ყოველ დღე თვალებს გვწვავს და გვტანჯავს, ან რაც გვასიამოვნებს და გვატკბობს. მკითხველიც, რასაკვირველია, დიდი მადლიერია ამისთვის და ნიჭიერ მწერალს ასაჩუქრებს თანაგრძობით და სიყვარულითაც...

აი, აქ არი წყარო და დასაბამი ყველაფრისა: შენი პირადი, ინდივიდუალური შემოქმედების გამოცდილება, ცხოვრების დაკვირვება და ტალანტი, რომ არ გაიმეორა ის, რაზეც სხვებს უწერია უკვე, ან შენ თითონვე გიწვრიბა როდისმე, არამედ ახალი მოტივი შეიტანო ლიტერატურაში, რომელიც მიანიჭებს მწერალს ლიტერატურულ ფორმების ორიგინლობას და ცოცხალი სიტყვის ცხოველმყოფელობას. როცა ნიჭიერი მწერალი თლად შეუპყრია დიდსა და მდიდარს, ჯერ სხვის ხელმოუჭიდებელ ცხოვრების მასალას, მაშინ მწერალი—მხატვარი ზუნებრივათ, ძალდაუტანებლათ ეძიებს ახალ ფერადებს მხატვრობისათვის, რომელსაც, ადვილათ შესაძლებელია, ბევრა მიშაძველიც გამოუჩნდეს მწერლობაში. და ეს ასეც არის ხოლმე ყოველთვის და ყველგან...

ცოცხალ ტალანტით დასაჩუქრებულ მწერალს ყოველთვის შეაქვს ლიტერატურაში ახალი რამ: მოტივიც, სიტყვაც, წერას მანიერაც კილოც, და, თუ გნებავთ, შინაარსიც, არაკიც თვისი ნაწარმოებისა და, სწორეთ რომა თქვას კაცმა, აი, ეს არის ნამდვილი ცოცხალი შემოქმედების შინაარსი, რომელსაც სწორეთ ინდივიდუალური სიტყვიერების, გამოთქმის ბეჭდით აღუბეჭდია თვისი ნამოქმედარი ლიტერატურაში.

აი ამითი არი მწერალი—მხატვარი დიდი და ძლიერი, სამახსოვრო და უკვდავი და მკითხველიც დაინტერესებულია ასეთი მწერლის ნაწარმოებით ყოველთვის...

მიკვირს და ვერ ამიხსნი, რათ არის ამდენ ხანს გაჩუქებული დავით კლდიაშვილი და არაფერს წერს? რა რომ „გრდემლის“ პირველი წიგნი დაის-

ტამბა, მას აქეთ მის ახალ ნაწერს არსად შევხვედრივარ... თუმცა ჯერ იგი 60 წლისაც არ არის.

დავით კლდიაშვილის ნაწერებს წინ არ მიუძღვის ვრცელი ბიოგრაფია მწერლისა და ეს კი ჩემ თვალში დიდი ნაკლია გამოცემისათვის.

ორივე ტომი სუფთადაა დასტამული და იაფადაც ღირს.

ბომლელი.

ლადო ალექსი-მესხიშვილი*)

1857—1920 წ.

(ნეკროლოლი)

ა. წ., 24 გიორგობისთვის, ნაშუალამევის 3 ნახ. საათზე, ქ. ტფილისში გულის სიდაბლით უეცრათ გარდაიცვალა ვლადიმერ სარდონის ძე ალექსი-მესხიშვილი.

1876-7 წ. რუსეთის უკანასკნელ ომს ოსმალეთთან, რომელიც ვითომც სლავიანთა გასათავისუფლებლათ იყო დაწყებული, ბათომისა და ყარსის შემოერთება მოჰყვა ჩვენს ქვეყანასთან. სწორეთ ამ ომის შემდეგ, რუსეთში გადაჭრით წამოდგა აბსოლიუტიზმის მოსპობის საკითხიც და 1881 წ., მარტის პირველ რიცხვს იქ მოკლულ იქნა ალექსანდრე II რომანოვი. ამ დროს სატახტო ქალაქები—პეტერბურგი და მოსკოვი ძალიან ამოძრავდა...

ამოძრავდა და გაცოცხლდა ჩვენი ქვეყანა და ნამეტურ ჩვენი დედაქალაქი ტფილისი. ამ საერთო მოძრაობამ დიდი ცხოველყოფელი და მჩქეფარე ნაკადული შეიტანა ქართულ ლიტერატურასა და დრამატულ ხელოვნებაში. და სწორეთ ამ დროს ღრმათ და მკვიდრათაც ჩაეყარა ქართულ ეროვნულ სცენას საძირკველი და მას იმ დღიდანვე გაუჩნდნ უნიჭიერესი მუშაკნი.

ლადო ალექსი-მესხიშვილი იყო პირველი მესვეური და დიდი ქურუმიც ამ სცენისა. და პირველათ, როცა იგი დავით ერისთავის „სამშობლოში“ ხიმშიაშვილის როლში გამოვიდა, ყველას, სალიტერატუ-

*) ეს წერილი აწყობილ იყო, მაგრამ უადგილობის გამო ვერ წავიდა დეკემბერის 18-ში.

რო კრიტიკასაც (ბოსლოველი) და საზოგადოებასაც, დაანახვა, რომ საქმე ჰქონდათ პიოველ ხარისხოვან, დიდ არტისტთან, რომელიც ქართულ ეროვნულ ხელოვნებას დიდსა და მდიდარს სამსახურს გაუწევდა.

ლადო აღექვი-მესხიშვილი იყო კარგათ განათლებული, პირ მცინარე, ლაშაზი სახის და ტანადობის, შვენიერი მანერების კაცი, ნამდვილ და ჭეშმარიტ არტისტათ დაბადებული, ზრდილობიანი თავდაპირველი და კულტურული ადამიანი, რომლის გული და სული, ახალგაზდური, ქაბუკური ცეცხლით იწვოდა, რომ დიდათ საყვარელ საქმეს-ქართულ სცენას სიკვდილამდე შერჩენოდა და მისთვის თავდადებული სამსახური გაეწია. და მისი სერიოზული, დიდათ მოხდენილი თამაში ქართულ თეატრში მუდამ აუარებელ საზოგადოებას იზიდავდა. ამ საზოგადოებამაც გულით და ღრმით შეიყვარა ქართული თეატრი და ეროვნული სცენა.

იმ დროინდელ სათეატრო ასპარეზზე მოღვაწეობა, რომელზეც მე მოგახსენებთ, ძალიან ძნელი, აუტანელიც იყო საქართველოში და ლადოსთანა მომზადებულს და დიდათ ნიჭიერს არტისტს რუსული სცენა მოგვეტაცებდა, მარა იგი მოციქულსავით ემსახურებოდა ეროვნული სცენის წმიდა ტრაპეზს და ამ თავდადებულმა სამსახურმა მიანიჭა მას სახელი და დიდება, სრული უკვდავება...

ქართული სცენის მოკლე ისტორიაში ლადო მესხიშვილმა შექნა კოცხალი საამაყო ტრადიციები და სკოლაც, სადაც თვისი საკუთარი ხელმძღვანელობით აღზარდა თელი თაობა დრამა-ტრადედიებში მოღვაწეების და ამ ნაირათ, ამ უკვდავმა არტისტმა უკვდავების სული ჩაბერა საუკეთესო ქართველ მსახიობებს და აღზარდა თვისი ძლიერი გავლენის ქვეშ.

ლადო მესხიშვილმა, ვითარცა დიდმა, პირველ ხარისხოვანმა არტისტმა ქართულ სცენაზე სრულიათ უნაკლოლოთ განასახიერა დიდი კლასიკური დრამატიული გმირები, რომელნიც-კი დაუხატავთ ისეთს ხოფლიო გენიოსებს, როგორც შექსპირს, შილლერს და გუცკოვს. ვის შეუძლია დაივიწყოს ლადო მესხიშვილის მიერ განსახიერებული ჰამლეტი, მეფე ლირა, ფრანც მოორი, ედმონდ კინი, ურიელ აკოსტა და მთელი კლასიკური ლიტერატურა.

მე მინახავს ადესის სცენაზე დიდი საღვინი და როსი, ბარნაი და ადამიანი. შემძლია სწორეთ ამათ დავამსგავსო და დავადარო ქართველი დიდი არტისტი—ლადოც... ლადო მესხიშვილს, ამ მხრით, ჩვენ-

ში, რათქმა უნდა, ტოლი არ ჰყოლია და შემკვიდრეც არ დაუტოვებია მას საქართველოსთვის. ობლათ მოკვდა და ობლათაც დასტოვა საქართველოც...

აი, სწორედ აქ არის ჩამარხული ჩვენი მწუხარებაც და მგლოვიარობაც.

როცა ქართული თეატრი დაიწვა და არტისტს თავის შესაფარებელი ადგილიც მოესპო, მან მიატოვა საქართველო დროებით და განშორდა თავის სათაყვანებელ მშობლიურ სცენას და გარდაიხვეწა უცხო მხარეს. მარა მან ვერ აიტანა იქ ცხოვრება და მოაშურა უკვე გათავისუფლებულ, მკვრეთით აღმდგარ და სრულიად გაერთიანებულ მშვენიერ საქართველოს, სადაც უნდა ამიერიდან აღორძინებულიყო ქართული სცენა, ქართული დრამატიული ლიტერატურა. ამ დიადი, შვენიერი და მიმზიდველი იმედებით და მზადებით დაიწყო მან კიდევ ენერგიული მუშაობა და ხელიც მოკიდა თავისებურათ ამ ცოცხალ საქმეს. მარა სიკვდილმა გასაქანი არ მისცა და ქართულ ხელოვნებას ხელიდან უღრობით გამოსტაცა დიდი და ქვშმარიტი ქურუმთ-ქურუმი-არტისტი და ამიერიდან ჩვენ ვეღარ ვიხილავთ ამ ყოველის მხრით შვენიერს, დიდსა და მდიდარს თავმოსაწონებელ ქართველ არტისტს.

გულკეთილი.

რედაქტორები

- გრ. ლორთქიფანიძე.
- პ. ხაყვარელიძე.

გამომცემელი: ერობათა კავშირის კომიტეტი.

(Handwritten signature and stamp)

(Red stamp: საქართველოს კავშირის კომიტეტი)

(Handwritten initials: ა. ვ. მ.)

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისათვის ორგანიზაციულ ჟურნალ

წელიწადი
მეორე

„**მ რ მ ბ ა**“ 80

წელიწადი
მეორე

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების ყოველმხრივ გარკვევა-გაშუქებას.



რედაქციისაგან:

რედაქცია სთხოვს ყველა საერობო და საზოგადოდ თვითმართველურ ერთეულებს მოგვაწოდონ ადგილობრივი ცხოვრებიდან მასალები: მნიშვნელოვანი რეზოლიუციები და დადგენილებანი, წერილები, სტატისტიკური ცნობები, გამოცემანი.

თანამშრომლებს ვთხოვთ წერილები დაწერილი იყოს ერთ გვერდზე მელნით და გარკვევით.

რედაქცია იმყოფება: რუსთაველის პრ. № 24
ერობათა კავშირის კომიტეტის ბინა.

981
1921

1921 წელს გამოვა ჟურნალური დასუკრათიგული
საგანწ ლო ურნალეი

„ჯეჯილი“ და „ნაკადული“

ორივე ჟურნალის შეერთება და გაფართოვებული პროგრამით
გამოცემა იკისრა

ე რ ო გ ა თ ა კ ა ვ უ ი რ მ ა,

რედაქციასთან არსებობს მუდმივი დამხმარე სარედაქციო კომისია. კომისიაში შედიან: ალ. მირიანაშვილი, ელ. ელიავა, ალ. მიქაბერიძე, ალ. ფაღავა, ან. ხახუტაშვილი, ელ. ვისალაძისა.

- „ჯეჯილი“ გამოვა მარტო-მარტო თვეში ერთხელ. 64 გვ.
- „ნაკადული“ გამოვა მკვირვლოვანთათვის თვეში ორჯელ 32 გვ.
- ხელის მოწერა მიიღება თვიურად. ფასი ორივე გამოცემისა 250 მ.
- კალ-კალკე 125 მ.

მისამართი: ტფილისი რუსთაველის პროსპექტი № 24, ერობათა კავშირის ბინაზე „ჯეჯილი“ და „ნაკადული“-ს რედაქცია. რედაქტორები: ანასტასია წერეთლისა, ნინო ნაკაშიძე, პაულე საყვარელიძე. გამომცემელი ერობათა კავშირი.

ფასი 200 მან.